# საქართველოს ქალი



2005

№1-2

ეროვნული ბიბლიოთეკა

181

645/ჟ
2005



ინა დივნოგორცევა-გრიგოლია
„გვიანი შემოდგომა"

# Поздняя осень

Пусть осень не будет
так грустно раздета...
Что делать с небом
и серым цветом?
С шуршащей листвою,
пропрелой и ржавой,
С унылою далью,
белесым туманом?
С деревьями черными,
покрытыми инеем.
С дорогами скользкими,
дождями и ливнями.
И с ветром,
И снегом,
кружащимся, вспененным?

Хожу и прячу
озябшие руки...
Качаются ветки
промерзшие, хрупкие,
причудливо свитые,
Как черное кружево,
золотом шитое,
На сером подоле
у неба забытое.
Качаются тени,

Хожу и жадно
глаза насыщаю,
Рукою теплой
стволы согреваю...
Хожу и влюбляюсь,
Хожу и тревожусь...
Как много
Прозрачного света и красок!
Как много гармонии,
серебряных сказок!
Тут полной палитрой бы,



მომავლის მუსიკოსი
ელისო ბოლქვაძე
გვ. 2

ჩემი ანტიგონე
ზინა კვერენჩხილაძე
გვ. 10



კიდევ იქნება აღდგომა
გოდერძი ჩოხელი
გვ. 4





ადამიანები უნდა გიყვარდეს
გელა ჩარკვიანი
გვ. 14



ხანძარს გადარჩენილი ლექსები
ანა კალანდაძე
გვ. 6

კალატოზიშვილის დაბრუნება საქართველოში
გვ. 6



ცაში დაფერფლილი ვარსკვლავი
ნატო ვაჩნაძე
გვ. 18





ჟურნალი ქალებისათვის

მთავარი რედაქტორი
მარინე ნაკაიძე

სარედაქციო კოლეგია: • მარიკა ბარათაშვილი • ნინო ჯავახიშვილი • ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი • ნანული ბუკია • ნაზი თარგამაძე • მანანა იმედაშვილი • ლია კაკაბაძე • ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი) • ირმა ჩოფიკაშვილი.

ნინო არჩვაძე (ტექნიკური რედაქტორი) პაატა მამფორია (კომპიუტერული უზრუნველყოფა)

გარეკანის პირველ გვერდზე– პიანისტი ელისო ბოლქვაძე, მეოთხეზე– მხატვარ ანა კალატოზიშვილის ნამუშევრები

რედაქციის მისამართი: 280096, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ.№14. Vსართ. ტელეფონი: 99-98-71

რეგისტრაციის №06/4 897 ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

მსოფლიოს სცენაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მომავლის მუსიკოსი

ჯერ კიდევ 22 წლის იყო ელისო ბოლქვაძე, როცა ცნობილმა პიანისტმა ვან კლიბერნმა უმაღლესი შეფასება მისცა: „მისი ვარსკვლავი მაღლა აიწევს და მთელი მსოფლიოს ყველა საუკეთესო საკონცერტო დარბაზი მას მიესალმება“.

ეს სიტყვები ერთგვარ წინასწარმეტყველებასავით აღმოჩნდა. საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა განუმეორებელი არტისტიზმით, არაჩვეულებრივი ტექნიკითა და მაღალპროფესიული ოსტატობით მართლაც დაიპყრო მუსიკალური სამყარო.

ამერიკულმა პრესამ მომავლის პიანისტი უწოდა. „ელისო ბოლქვაძე უდიდესი ტალანტის მქონე პიანისტია. მან ამერიკა შტურმით აიღო“ – წერდა „ლოს-ანჯელეს თაიმსი“.

პრესტიჟულმა ავსტრიულმა გაზეთმა „ტიროლერ ტაგეცეიტუნგმა“ მე-20 საუკუნის ცნობილ მუსიკოსს მარტა არგერიხს შეადარა: „მის მსგავსად ელისო ბოლქვაძე ფორტეპიანოსათვის არის დაბადებული. იგი სრულყოფილი და სერიოზული მუსიკოსია, რომელიც მსოფლიოს უდიდესი პიანისტების სიაში ერთ-ერთ ღირსეულ ადგილს დაიკავებს“.

ფრანგულმა პრესამ, არც მეტი არც ნაკლები, ბრილიანტი უწოდა. ბრილიანტი, რომელიც არა მხოლოდ ერთი ერის, არამედ მთელი მსოფლიოს საკუთრებაა.

სამწუხაროდ, მის შემოქმედებას საქართველოს საზღვრებს გარეთ უკეთ იცნობენ. ჩვენ კი მხოლოდ გვსმენია და წაგვიკითხავს მისი ტრიუმფალური გამოსვლების შესახებ.

ქართველი მუსიკოსი ამჟამად პარიზში ცხოვრობს და მოღვაწეობს, თუმცა ხშირად სტუმრობს თბილისს. რაც არ უნდა მოხდეს, არც ფრანგი გავხდები და არც ავსტრიელი. ვიყავი, ვარ და ვიქნები ქართველი, – მითხრა საუბრისას.

ალბათ სწორედ ამაში მდგომარეობს ელისო ბოლქვაძის წარმატების საიდუმლოება. ცნობილი ქართველი პოეტის ზაურ ბოლქვაძისა და ჟურნალ „საუნჯის“ მთავარი რედაქტორის ნანა დარჩიას ერთადერთ ქალიშვილს ხალასი ნიჭი და შრომისმოყვარეობის უნარი მემკვიდრეობით გადმოეცა. მუდამ თან სდევს ველრებად მამის სიტყვები, რომელიც ანდერძი უფროა, ვიდრე ლექსი:

„შვილო ჩემო, ეს გახსოვდეს მეტადრე:
თვალი ბრმაა, გულით უნდა ხედავდე“.

და კიდევ: „გახსოვდეს, რომ ქართველი ხარ!“..

– თუკი რამეს მივაღწიე, ჩემი მშობლების დამსახურებაა. მე რომ მათგან უდიდესი ხელშეწყობა არ მქონოდა, ღირებულს ვერაფერს შევქმნიდი. ყველაფერი გააკეთეს ჩემი სწორი განვითარებისათვის. ისე მზრდიდნენ, პატარაობიდანვე გავაცნობიერე, რომ მე პიროვნება ვარ და არა ვისიმე საკუთრება. ყოველთვის მიტოვებდნენ არჩევანის უფლებას, რითაც საშუალება მომცეს საკუთარი თავი „აღმომეჩინა“ და ჩემი ადგილი მეპოვა ამ ქვეყანაზე.

**– თქვენი მოღვაწეობა უკვე რამდენიმე წელია მთლიანად არის დაკავშირებული პროფესორ მიშელ სონისთან. გვიამბეთ თქვენი ტანდემის შესახებ.**

– ეს არის ადამიანი, რომელმაც ჩემი მუსიკალური შესაძლებლობები ძალიან მაღალ დონეზე აიყვანა. მასთან შეხვედრა მართლაც ბედის გამონათება იყო. უდიდესი შრომა გასწია ჩემთან დაკავშირებით. იგი მრავალმხრივ განათლებული ადამიანია. გარდა იმისა, რომ ლისტის სპეციალისტია და შესანიშნავი მუსიკათმცოდნე, ფილოსოფოსიც გახლავთ. მის გვერდით ყოფნა ჩემთვის დიდი სკოლაა. ბ-ნ სონის მაშინ შევხვდი, როცა ნიჭი და ცოდნა ველარ გშველის, როცა სხვა რაღაც გჭირდება, თუნდაც ახალი სამყარო დავარქვათ, სადაც შეძლებ შენი შესაძლებლობების გამომჟღავნებას. აი, ასეთ რთულ, გადამწყვეტ მომენტში შევხვდი ადამიანს, რომელმაც მთლიანად განსაზღვრა ჩემი მომავალი.





ხუთი წელი ავსტრიაში ვილა შინდლერის მუსიკალურ ცენტრში ვმოღვაწეობდი, სადაც დიდი დრო და შესანიშნავი პირობები მქონდა განვითარებისათვის.

**– როგორ შეეგუეთ საქართველოს გარეთ ცხოვრებას?**

– პირველად ძალიან გამიჭირდა. ბევრ რამეს ვერ ვიგებდი, ბევრსაც ვერ ვეგუებოდი. შემდეგ დადგა გაცილებით რთული პერიოდი, როცა ვერც სამშობლოში ვგრძნობდი თავს კარგად და ვერც ევროპაში. საბედნიეროდ, მაინც მოვახერხე „ოქროს შუალედის“ პოვნა ისე, რომ არც ქართველობა დამიკარგავს და არც დიდად განვსხვავდები ევროპელებისაგან.

თანდათანობით ჩემი გრძნობების მოთოკვაც ვისწავლე. ამაში ისევ და ისევ დაძაბული სამუშაო გრაფიკი „მეხმარება“. ჩემი ცხოვრება ხომ კონცერტიდან კონცერტამდე მიედინება. ვაკეთებ საქმეს, რომელიც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

**– ესე იგი, გადაჭარბებულია ნათქვამი – ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვსო?**

– ყველა საქმე გარკვეულწილად მოითხოვს მსხვერპლს, მაგრამ იმას, რასაც ვაკეთებ, ნამდვილად ვერ ვუწოდებ მსხვერპლს. სხვაგვარად ცხოვრება მართლა არ მინდა და არც შემიძლია.

**– ბედის ვარსკვლავი – ხატოვანი გამონათქვამია, თუ მაინც არის ამაში გარკვეული ჭეშმარიტება?**

– ბედი მართლაც თან უნდა გდევდეს, თუმცა ადამიანი თავად ქმნის თავის ბედს. მე მაინც მგონია, რომ ცხოვრება ყოველდღიური ბრძოლაა, თუნდაც ბრძოლა საკუთარ თავთან. აუცილებლად გაგიმართლებს თუ შრომობ და ეძებ შენს ადგილს. თუკი არაფრისკენ არ მიდიხარ, ბუნებრივია, ვერც ვერაფერთან მიხვალ.

**– ხელოვანი ყოველთვის ფორმაში უნდა იყოს. და მაინც თუ გქონიათ ისეთი მომენტები, როცა საერთოდ არ გინდოდათ სცენაზე გასვლა?**

– დღეს რომ თავიდან ვიწყებდე, არც ერთ კონკურსზე არ დავუკრავდი. ადრე ლაურეატობა კარიერის შექმნაში გეხმარებოდა, ამ გზით იყო შესაძლებელი სასურველი კონტაქტების დამყარება. დღეს კი ისე მომრავლდა კონკურსები და მისი ლაურეატები, რომ ყოველგვარი ფასი დაკარგა.

**– ქართველი მსმენელი მუდამ გამოირჩეოდა მაღალი დონითა და გემოვნებით. დღეს კი კონცერტზე დასწრება ერთგვარ ფუფუნებას წარმოადგენს.**

– კლასიკური მუსიკის მსმენელს გარკვეული მომზადება ჭირდება. სადაც მაღალია კულტურული ცხოვრების დონე, მსმენელიც გაცილებით დახვეწილია. ჩვენ კი ათი წელი, ფაქტობრივად, ფინანსურ და სულიერ ვაკუუმში ვიმყოფებოდით. დანგრეულ გარემოსა და ფსიქიკის აღდგენას კიდევ მრავალი წელი დასჭირდება. ირგვლივ იმდენი პრობლემაა, რომ ვშიშობ, ჯერ კულტურისათვის სათანადოდ ვერ მოიცლიან. თუმცა ვიმედოვნებ, რომ საქართველოში დარბაზის შევსების პრობლემა არასოდეს დადგება. გასაკვირიც კია, როგორ შეინარჩუნა კლასიკური კონცერტის მოსმენის სურვილი და მაღალი დონე ქართველმა მსმენელმა.

**– კონცერტი, რომელსაც თბილისში დიდი ხანია ელოდებოდნენ და არ ჩატარდა...**

– საშობაოდ მართლაც დაგეგმილი მქონდა კონცერტის ჩატარება, რომლის მთელი შემოსავალიც გადაირიცხებოდა სანდრა რულოვსის საქველმოქმედო ფონდში. მაგრამ სამწუხაროდ, ტექნიკური მიზეზების გამო კონცერტი არ შედგა. იმედია, რომ სააღდგომოდ აუცილებლად წარვსდგები თბილისელი მსმენელის წინაშე, რომელიც მართლა ძალიან მომენატრა.

23780



**– თქვენს პირად ცხოვრებაში ჩახედვას არ ვაპირებ, მაგრამ ჩვენს მკითხველებს ძალიან აინტერესებთ ყველაფერი ელისო ბოლქვაძის შესახებ.**

– ჯერ-ჯერობით საკუთარი ოჯახი არ შემიქმნია. ცხოვრება ისედაც რთულია, ხელოვანის – გაცილებით რთული. ვიმედოვნებ, გამოჩნდება ადამიანი, რომელიც მუდამ ჩემს გვერდით იქნება, შეძლებს ჩემი ცხოვრების წესის, რიტმის სწორად გააზრებას და გაზიარებას და, ამავე დროს, ძალიან ეყვარება მუსიკა.

2004 წლის მიწურულს პარიზში ელისო ბოლქვაძემ სოლო კონცერტი ჩაატარა. ათასკაციან დარბაზში ერთი ადგილიც არ იყო თავისუფალი. სიტყვებით ძნელია იმის გადმოცემა, თუ რა ხდებოდა კონცერტის შემდეგ. დიდხანს არ ცხრებოდა დარბაზში აპლოდისმენტები და შეძახილები. მუსიკოსს ხელებს უკოცნიდნენ, მსოფლიოს ცნობილი იმპრესარიოები კი მნიშვნელოვან წინადადებებს სთავაზობდნენ. ქართველ პიანისტს უახლოეს მომავალში მოუთმენლად ელიან ავსტრიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, პოლანდიაში, ეგვიპტეში და, რა თქმა უნდა, თბილისში.

ხელოვნებისთვის არ არსებობს არანაირი ზღვარი. უკიდეგანოა მისი შესაძლებლობები. ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ელისო ბოლქვაძის ვარსკვლავი კვლავ მაღლა და მაღლა მიიწევს.

მწვერვალი ჯერ კიდევ წინაა!..

**მარინე ნაკაიძე**





საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიდევ იქნება აღდგომა...

იანვრის პირველ რიცხვებში გოდერძი ჩოხელს შევეხმიანე, შობა-ახალი წელი მივულოცე და თან ჟურნალისათვის ახალი მოთხრობა ვთხოვე. დიდი ხანია არაფერი დამიწერიაო, სევდა იგრძნობოდა მის ხმაში. არ შევიმჩნიე, თუმცა გამიჭირდა საუბრის გაგრძელება:

– მაშინ... შემპირდით, რომ ახალ მოთხრობას ჩვენს ჟურნალში დაბეჭდავთ.

– მართლა ფიქრობთ, რომ მე კიდევ დავწერ რამეს?

ახლა კი არ მომესმა, თვალნათლივ დავინახე უხარმაზარი სევდა და...

– რას ამბობთ. რა თქმა უნდა, დაწერთ, აუცილებლად დაწერთ. სხვაგვარად როგორ შეიძლება, უფლება არა გაქვთ, რომ არ დაწეროთ.

– დიდი მადლობა.

– პირიქით, გმადლობთ, რომ არსებობთ!

...მაშინ ვერ გითხარით და ახლა შემოგბედავთ: იმ ცეცხლიან წლებში, როცა ძმა ძმას კლავდა, როცა მართლა მიწა გვეცლებოდა ფეხქვეშ და როცა ყოველი ახალი გათენებული დღის გვეშინოდა, განა ჩვენს გასამხნევებლად და გადასარჩენად არ თქვით ეს სიტყვები:

– მთელი სულით და გულით, მთელი არსებით მჯერა, იქნება, იქნება, აუცილებლად კიდევ იქნება აღდგომა!

ჭეშმარიტად, ჩოხელო!

გოდერძი ჩოხელი

# ჩემი მშვენიერი ქვეყანა

პაპუნა ვეშაგურმა უცნაურად ნახა რადიო: ფასანაურიდან სოფელ ბანცურში მიდიოდა. თოვლიან გზაზე ფეხი უცურდებოდა. ირგვლივ ყველაფერი რძისფერი იყო, ახალმოწველილ რძეს რომ ორთქლი ასდის, ისე ასდიოდა გუდამაყრის ხეობას თოვლიანი ბურუსი. წინ ორი ახალგაზრდა ბიჭი მიდიოდა. პაპუნა მათ ვერ ხედავდა, იმიტომ რომ სიბერისგან წელში იყო მოხრილი და მიწას ჩაშტერებული მიდიოდა. თოვლის ფიფქები მის ფიქრებივით დაფარფატებდნენ ირგვლივ. იგი მხოლოდ ამ ფიფქებს ხედავდა, კი არ ხედავდა, უფრო გრძნობდა მათ და აღმა მიდიოდა. წინ რომ ახალგაზრდები მიდიოდნენ, იმათ შეამჩნიეს და პაპუნას რომ არ შეემჩნია, ისე დამალეს გზის თავზე სალოცავი ნიშის სასანთლეში ჩართული პატარა რადიო. თვითონ იქვე დაიმალნენ.

პაპუნა მიდის დაფიქრებული და ნიშთან რომ მივიდა, შედგა პირჯვრის გადასაწერად. შუბლზე შეეყინა ორი თითი.

– ღმერთო, მიშველე! – აღმოხდა და იქვე ჩაიჩოქა. სალოცავი ნიშიდან ლაპარაკი მოესმა და იფიქრა ხატიაო.

რადიო კი ლაპარაკობს და პაპუნა მიწას ჰკოცნის, ცას ევედრება, მთელი სხეულით კანკალებს.

– რა დაგიშავე, ჩემო სალოცავო?! – ვედრებასავით ისმის მისი ხმა.

ახალგაზრდები სამალავში იცინიან.

თოვს.

თითქმის ერთი საათი დგას მუხლებზე პაპუნა და დათოვლილ მიწას ჰკოცნის.

მერე ერთი ხმამაღლა შეჰღრიალა და თავქვე დაეშვა...

მე იგი ხშირად დამინახავს, წელში მოხრილი, თეთრი ულვაშებით და ყოველთვის ახალუხში გამოწყობილი. უხმოდ ამივლია და ჩამივლია მის გვერდით და ერთხელაც არ მომსვლია აზრად, რომ ეს წელში მოხრილი ბანცურელი გლეხი პირადად იცნობდა ილია ჭავჭავაძეს, ვაჟა-ფშაველას...

შემთხვევით გავიგე, რომ იგი ახლა ოთხმოცდათხუთმეტი წლისაა და დიდი ილია ჰყავს საკუთარი თვალებით ნანახი, იმ თვალებით, რომლებიც დღესაც ხედავენ მზეს და იდუმალებაგარეული მზერით დაჰყურებენ ქართულ მიწას.

ღმერთო, მიშველე! მე პაპუნას გვერდით ვზივარ და ის დიდ ილიაზე მიყვება:

– თერთმეტ-თორმეტი წლისა ვიყავი, ბიძაჩემმა და მამაჩემმა ცხორი წაასხეს ქალაქში, მეც თან წამიყვანეს. წეროვანის აქეთ მეველეებმა წაგვართვეს ცხვარი და აღარ გვაძლევდნენ. წავიდა მამაი ილიასთან, მეც თან გავყევი. ილია მე მომეფერა და თქვა:

– ბალღები მიყვარს, ამათ რომ ვუყურებ, თითქოს ცაში უნდა გავფრინდე, ისეთ ხასიათზე ვდგებიო. მერე მეველეებზე გაბრაზდა, მაგათ თუ ხელი კაცის ცოდვაში არ დაიბანეს, არ მაისვენებენო, მექრთამეები არიანო. მერე მამას წერილი გამოატანა იმ მეველეებთან.

– ილიას გარეგნობას თუ იხსენებ ახლა?

– ისე მიდგას თოლებში, როგორც გუშინ ნანახი.

– როგორი კაცი იყო?

– კაცი კი არა, რო იტყვიან, ანგელოზი იყო, მზე გადმოსდიოდა თოლებიდან.

– მეტი რა იცი მის შესახებ?

– დუშეთში მუშაობდა მოსამართლედ. ერთი გლეხიკაცი მაშინ გზის პირას ძროხასა და ხბოს აძოვებდა თურმე. გამოუვლია ცხენოსან თავადს. ხბოები, ხო იცი, ცნობისმოყვარენი არიან, ხოდა გამოსდევნებია ცხენს ხბო. ი გლეხი გამოჰკიდებია, მაგრამ ბატონს აღარ დაუნებებია, ეს ხბო

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი **ცინარა ტერელაძე**

კი არა, ჩემი ცხენის კვიციაო. გლეხს ილიასთან უჩივლია. ილიას თავადი დაუბარებია. შევიდა თავადი ილიასთან და კარებთან გაჩერდა. ილია წიგნებს ჩასცქერის. გავიდა ერთი საათი და ილიამ რომ ყურადღება არ მიაქცია, თავადმა ნაწყენმა უთხრა, რას ჩასცქერო!

– თევზი გამოსულა წყლიდან და ყანა დაუღუპნია, იმის ოქმს ვადგენ-ო, – უთხრა ილიამ.

– თევზი როგორღა შეჭამდა ყანას! – იწყინა თავადმა.

– თუ ცხენს ხბოს მოგება შეუძლია, მაშინ თევზიც შეჭამს ყანასაო, – უთხრა ილიამ.

– მეტი რა იცი?

– მეტი ის ვიცი, რომ ვესროლეთ და მოვკალით.

– რაა?! ვინ ესროლა?

– მე და შენ.

– მე და შენ, არა!

– მარტო მე და შენ კი არა, ჩვენ შემდეგ რომ გაჩნდებიან, იმათაც ესროლეს.

– ისინი რა შუაში არიან?

– იმათაც ჩვენი ჯიში ექნებათ, ჩვენ კი ერთობა არ გვეთქმის, ცალ-ცალკე მივილტვით, ერის უძლები შვილები ვართ და...

პაპუნამ აღარ დაამთავრა. ადგა და წელში ორადმოხრილი გამშორდა. არც მიკითხია, ისე თვითონ გასცა ჩემ მზერას პასუხი, შედგა, შემომიბრუნდა და ჩაილაპარაკა:

– ისეთი მამულიშვილის ხსოვნა, როგორიც ილია ჭავჭავაძე იყო, ჩემისთანა გლეხკაცს რომ მძიმე მოსაგონებლად დააწვება, მოიხრება, მა რა მოუვა.

გაბრუნდა და საყვარელ მიწას დააშტერა ის თვალები, რომლებშიც დღესაც ცოცხლად უდგას დიდი ილია.

მსუბუქად მიაბიჯებდა მიწაზე და იმ წუთში ერთი, მხოლოდ ერთი სურვილი მქონდა მიწისათვის მეთქვა:

– რა კარგი ხარ, დედაო მიწავ! ილიასთანა მამულიშვილებს რომ ზრდი და პაპუნასნაირ მომგონებლებს დღესაც დაატარებ შენს ბეჭებზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხანძარს გადარჩენილი ლექსები

მაგონდება 1983 წლის ივლისის ერთი ულამაზესი საღამო წყნეთში.

მე და ჩემი სიყრმის მეგობარი ეზოში ვისხედით და ვსაუბრობდით. ვსაუბრობდით კი არა, ლექსის თქმით „ვეჯიბრებოდით" ერთმანეთს. ორთავეს ძალიან გვიყვარდა პოეზია და იმ საოცრად ლამაზ ღამეს, ლექსებზე უკეთესს რას ვიტყოდით. მან „მე და ღამე" გაიხსენა და ახლა შენ თქვიო-მითხრა. მეც არ დავაყოვნე და დავიწყე: „გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი"... – მაგრამ ახლა, „ზაფხულია ცხელა, ცხელა, ბული ასდის ქალაქს" – „ჩამომიხტა" თავისი ჩვეული იუმორით, მერე მომიბოდიშა და ლექსი რომ დავასრულე, რომელი საათია-მეთქი ვკითხე. „ეხლა, რა თქმა უნდა, ძლიერ გვიანაა, გულში მწუხარებამ ღამე გაათია"... და, მისი მეუღლეც შემოგვიერთდა, – თქვენთან ჩამოვჯდები ცოტა ხანსო, გვითხრა და დასძინა: შეხედეთ, რა ლამაზია ცა. – ლამაზი კი არა, ულამაზესი – შეუსწორა ცოლმა და... ისევ გალაკტიონი: „შეხედე, რა ცაა! ეს არის რაცაა"...

მე ანამ მიშველა. „შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო, შენ ისე ღრმა ხარ"... და შევჩერდი. – რატომ შეწყვიტე, განაგრძე, განაგრძე, ხომ არ დაგავიწყდაო – მითხრეს. რა დამავიწყებდა, ლექსი დავასრულე და... ახლაც სიამოვნებით გავიმეორებ სამშობლოს სიამაყით ამღერებულ ამ დიდებულ ლექსს:

შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...
სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა
ვერავინ ნახა;
ვერცა ოსმალომ, ვერცა მონღოლმა
და ვერცა სპარსმა...
შენი დიდების მომღერალია
ოშკი და ზარზმა.
ბებერი ტაო...
შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი,
ქართულო ცაო...

კიდევ გავიხსენეთ ანას რამდენიმე ლექსი, წავიღიღინეთ კიდეც „საქართველოო, ლამაზო". მცირე დუმილის შემდეგ, მეგობრის მეუღლემ გვითხრა: – მე არც პოეტი ვარ, არც კრიტიკოსი, მაგრამ მაინც ვიტყვი: ანა მხოლოდ კარგი პოეტი კი არა, ანა ის ვარსკვლავია, რომელიც გალაკტიონთან ერთად იკიაფებს ამ საუკუნეში და მომავალ საუკუნესაც გაჰყვება ისე, რომ მისი ბადალი არ გამოჩნდებაო.

ახლა კი გავიხსენე იმ ფრიად განსწავლული პიროვნების ნათქვამი, მაგრამ ალბათ, თავის მოგონებებში თავად უკეთ დაწერს მისეულ შეფასებას ანაზე.

კარგად მახსოვს ბაცი ჩალისფერი გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება", სადაც პირველად გამობრწყინდა ანა კალანდაძის ლექსები. ეს იყო 1946 წლის ივნისში, მაშინ მეათე კლასში ვიყავი და ჩემი სულიერი საზრდო ლექსები იყო. იმ დროიდან მოყოლებული, ანას ლექსებით ვარ „დაავადებული".

ერთხელ კორექტორმა რედაქციის არქივიდან დედნების რამდენიმე შეკვრა გამოიტანა (1960-1984 წლებში ჟურნალ „მნათობის" რედაქციაში ვმუშაობდი ლიტერატურულ რედაქტორად) და რომელიღაც მასალის ძებნა დაიწყო. რა თქმა უნდა, მივეხმარე. ხელთ ანა კალანდაძის ლექსები შემხვდა, – ლალი, ამ ლექსებს მე ვიტოვებ, – განვუცხადე გახარებულმა. რატომო, გაოცებულმა მკითხა. – რატომ და ეს ანას ხელნაწერებია და არქივში შესანახად არ მემეტება-მეთქი. ცოტა შეცბუნდა. – ნუ გეშინია, „ქურდი" მე ვიქნები და „ცოდვაც" მე მომეკითხება. ვიდრე ცოცხალი ვარ, არ დაიკარგება, – ვუთხარი და მაშინვე ჩემს უჯრაში შევინახე.

მაშინ „მნათობის" რედაქცია რუსთაველის გამზირზე, კავშირგაბმულობის შენობის მეოთხე სართულზე მდებარეობდა.

1992 წლის იანვარში, როცა თბილისში ძმათაშორისი ომი მძვინვარებდა, როცა იწვოდა სახლები და კავშირგაბმულობის უზარმაზარი შენობა ცეცხლის ალში იყო გახვეული, დაიწვა „მნათობის" რედაქციაც და ყველაფერი ფერფლად იქცა. იმ საშინელ ხანძარს გადაურჩა ჩემთან შენახული ანას ხელნაწერი ათი ლექსი, რომელიც ჩემთვის უძვირფასესი რელიქვიაა.

1992 წლის 25 მარტს, ჭადრაკის სასახლეში მწერალთა XVIII ყრილობა მიმდინარეობდა. ეს ის ავადმოსაგონარი დღეა, როცა ვერის ბაღში ქართველი მწერლების წიგნები დაწვეს.

სამი საათის განმავლობაში ქალბატონ ანას გვერდით ვიჯექი, შეწუხებული იყო იმ საშინელი ფაქტით და, საერთოდ, არასასიამოვნო მოვლენებით. საუბრისას, „ქალბატონო ანა" – მეთქი, რომ მივმართე, ასე დამიშალა: „ქალბატონო – არა!"

რა დამავიწყებს, რა უშუალო, უბრალო და, იმავდროულად, რა დიდი და ბუმბერაზი იყო, ჩემს გვერდით, ჩემს ახლოს მყოფი, ჩემი სათაყვანო ქალბატონი ანა.

„ქალბატონო – არა!" – ამ აკრძალვის პასუხად, იქვე, ჩემს წიგნაკში ასეთი სტრიქონები ჩავწერე:

– ქალბატონო ანა!
– „ქალბატონო – არა!"
– მართალს ბრძანებთ, არც გთვლით
ამქვეყნიურ ქალად.
ლექსის ქალბატონო,
მუზის ქალბატონო,
მიწიერებისგან თავად ღმერთიც გფარავთ.
უუსპეტაკესო, უუსათნოესო,
არ ამქვეყნიურო, ქალბატონო ანა,
– „ქალბატონო – არა"!
ბრძანებთ თქვენ და კმარა...

ქალბატონ ანას ღვთაებრიობას მისივე სტრიქონებით დავადასტურებ:

გარდამოვიდა ჩემზე ნათელი
და მე ვმაღლდები ზეცის კარამდე.

**ნაზი თარგამაძე**



ანა კალანდაძე

x x x

აჰა, დავბრუნდი მწუხარებიდან
და შენს კარებთან [illegible] [illegible]:
[illegible] შიგან [illegible] [illegible]
და [illegible] კართან [illegible] [illegible]...
ბრწყინავს, წამწამებში [illegible] ჯვარცმანი,
[illegible] ნათელი სიმღერა [illegible]...
[illegible] [illegible] [illegible],
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]...
ნათლით დავბრუნდი მწუხარებიდან...

1972.

x x x

[illegible] სიხარულო [illegible]
[illegible] შენით [illegible]...
ო, [illegible], [illegible] [illegible],
[illegible] ნათელი [illegible] [illegible]!
[illegible] [illegible] ხემი [illegible]:
- სინათლე [illegible] - [illegible] [illegible]! -
[illegible] [illegible] [illegible] სინათლე,
მე.. [illegible] [illegible] [illegible]!

1972.

x x x

სამებისა მაქვს საყდარი
გაბრწყინებული ფარული სხივით...
[illegible] [illegible] [illegible],
[illegible] ხემი სინათლის სიმი...
და... [illegible] სხვა-სამყოფელი,
წმიდათაწმიდა [illegible] ალი...
მაგრამ... აჰა, კვლავ გულში-ცეცხლი:
სინათლის ხემი [illegible] კვალად!
სამებისა მაქვს საყდარი...

1971

x x x

[illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible]...
ო, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] —
[illegible] [illegible] ბრწყინვალებით [illegible] [illegible],
[illegible] [illegible] [illegible] სინათლით [illegible] [illegible]

1970

x x x

[illegible] იყო [illegible]
[illegible] და .. [illegible] [illegible]...
მალულ-მალულნი [illegible] [illegible]
შენთა [illegible], ო, სიხარულო!

1970

# კალატოზოვის დაბრუნება საქართველოში

მიხეილ კალატოზიშვილი, ყველა დროის დიდი რეჟისორი, ქვეყანაში გამეფებული მრუდე პოლიტიკის გამო იძულებული გახდა თბილისი დაეტოვებინა და მოსკოვში მიხეილ კალატოზოვად დამკვიდრებულიყო. კარგა ხანს არც გამოუხედავს საქართველოსკენ, თუმცა მუდამ მისი ყურადღების ცენტრში იყო ყველაფერი ქართული, განსაკუთრებით, კინო და ფეხბურთი. დიდი ტალანტისა და განუმეორებელი ხელწერის წყალობით, მან შეძლო გაეკეთებინა ის, რაც მანამდე საბჭოთა კინოს ვერცერთმა კლასიკოსმა ვერ შეძლო. კანის ფესტივალზე მისი ფილმი „მიფრინავენ წეროები“ საუკეთესო ფილმად აღიარეს და მთავარი პრიზი „ოქროს პალმის რტო“ მიანიჭეს. ეს გამარჯვება კოლეგებთან ურთიერთობაში თავისებურად აისახა: „მოსფილმში“ უყვარდათ, მიშიკოს ეძახდნენ და არა „მიხაილ კონსტანტინოვიჩს“, მაგრამ ეიზენშტეინის, დოვჟენკოს, პუდოვკინის გვერდით არასოდეს იხსენიებდნენ. სამაგიეროდ, მისი ფილმებით („მათი სამეფო“, „ჯიმ შვანთე“, „მამაცობა“, „ვალერი ჩკალოვი“, „განწირულთა შეთქმულება“, „ერთგული მეგობრები“, „პირველი ეშელონი“, „წითელი კარავი“, „მიფრინავენ წეროები“, „მე – კუბა“) აღფრთოვანებული მსოფლიო ლეგენდები ფელინი, ჩაპლინი, კუროსავა, პიკასო საბჭოთა კინოს ლიდერად მიიჩნევდნენ. სხვათა შორის, ვიქტორ როზოვის სცენარის მიხედვით გადაღებული „მიფრინავენ წეროები“ კარგა ხანს იყო თაროზე შემოდებული. რადგან უკეთესი ფილმი ვერ მოიძიეს, „გოსკინო“ იძულებული გახდა კალატოზოვის ფილმი გაეგზავნა კანში. რეჟისორი, ბუნებრივია, არ გაუშვეს, მისი ავადმყოფობა მოიმიზეზეს. მოგვიანებით „ოქროს პალმის რტო“ თავად ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარემ ჟარკ სადულ ჩამოიტანა მოსკოვში და პირადად გადასცა კალატოზოვს.


● მიხეილ კალატოზოვი

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება დიდი რეჟისორის რძლის ჯინა მიქაძე-კალატოზიშვილის მოგონებები:

– მიხეილ კალატოზოვი საქართველოს 30 წლის შემდეგ ეწვია „წითელი კარვით“. იმხანად ფილმი მხოლოდ იტალიასა და მოსკოვში ჰქონდათ ნანახი. ჩვენება „რუსთაველის“ კინოთეატრში გაიმართა. რეჟისორს გაუჭირდა მონატრებულ ქართველ მაყურებელთან შეხვედრა და ცრემლმორეულმა თავი კულისებს შეაფარა.

**– არ ამბობდა, ვის ან რის გამო დატოვა საქართველო?**

– თავის გულისტკივილს ოჯახის წევრებთანაც არ ამჟღავნებდა. მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავი მეგობრები ვიყავით, ჩემთანაც არ დასცდენია საყვედური. მიხეილ კალატოზოვის წარმომავლობაზე უამრავია სათქმელი, რა ჟურნალი დაიტევს... პირადი ცხოვრება კი... მისი პირველი მეუღლე, ჩემი დედამთილი, იტალიელი ჟანა ვალაცი სიცოცხლის ბოლომდე საქართველოში ცხოვრობდა. მეორე მეუღლე ლენინგრადელი მსახიობი, ულამაზესი ელენა იუნგერი იყო. მესამე კი ალექსეი ტოლსტოის ყოფილი ცოლი ლიუდმილა გახლდათ.

**– ოჯახური რელიქვიები თუ შემოგრჩათ?**

– ჩვენს ოჯახში კარგა ხანს ინახებოდა ჩემს მამამთილთან დაკავშირებული მართლაც უძვირფასესი ნივთები, რომელიც მოგვიანებით მუზეუმს გადავეცით: ჩარლი ჩაპლინის ფოტო-ავტოგრაფი, მისი ცნობილი ხელჯოხი, „ოქროს პალმის რტო“ და მრავალი სხვა.

**– მისი ერთადერთი ვაჟი ტიტო – გიორგი თქვენი მეუღლე იყო. სამწუხაროდ, მის შესახებ ბევრი არაფერი იციან კინოს მოყვარულებმა.**

– ძალიან საინტერესო პიროვნება იყო. მაგნიტივით იზიდავდა ადამიანებს. რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, მამას უნდოდა, რომ სწავლა ფიზიკა-მათემატიკურზე გაეგრძელებინა, რისი გაგონებაც არ უნდოდა ტიტოს. ამიტომ მამის უკითხავად მოეწყო მოსკოვის კინოინსტიტუტში, საოპერატორო ფაკულტეტზე. მისი, როგორც ოპერატორის, ნამუშევრებია: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ „მე ვხედავ მზეს“, „თეთრი ქარავანი“, „ლონდრე“, შემდეგ რეჟისურაშიც მოსინჯა ძალები და რამდენიმე ფილმი გადაიღო: „კავკასიელი ტყვე“, „ბებერი მეზურნე“, „ფილატელისტის სიკვდილი“. „სკაპენის ოინებზე“ მუშაობისას გარდაიცვალა 54 წლის ასაკში და ფილმი ჩვენმა მიშიკომ დაასრულა.

ტიტო ბევრ დროს უთმობდა სამეგობრო წრეს, რომელიც სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს აერთიანებდა. რომელი მათგანი გავიხსენო: ფარაჯანოვი, ვისოცკი, ტარკოვსკი, ახმადულინა, ბულატ ოკუჯავა, თამაზ მელიავა, თემურ ჩირგაძე, თენგიზ ვაჩნაძე, გურამ ასათიანი, გიგა ლორთქიფანიძე...

ტიტოზე საინტერესო მოგონება დაწერა გია ყანჩელმა. ჩვენ არა მარტო ცოლ-ქმარი, განუყრელი მეგობრებიც ვიყავით, ერთმანეთისთვის დაბადებულნი. გული მტკივა, რომ ჩემი ბედი პირად ცხოვრებაში არც ერთ შვილს არ გამოჰყვა. რაც შეეხება ჩემს შვილებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



● ანა ქალიშვილ ელენესთან ერთად



● კადრი ავერბახის ფილმიდან „ხმა". მთავარ როლებში ტიტო კალატოზიშვილი და ლეონიდ ფილატოვი



● რეჟისორი მიშა კალატოზიშვილი კინოფილმ „რჩეულის" გადაღებაზე

– მიშა უფროსია. მოსკოვში კალატოზოვის ფონდი ჩამოაყალიბა და მისი პროდიუსერია. ჰყავს მეუღლე, დიდი თეატრის კოსტიუმების მხატვარი და ხუთი წლის გოგონა.

ანა სამი წლის ასაკიდან ხატავს. ჩვენი სახლი ნახატებს „მიაქვს". შეიძლება ითქვას, სახელოსნოში ვცხოვრობთ. ბავშვობაში მსახიობობაზე ოცნებობდა, ბალეტიც იზიდავდა. სულით ხორცამდე შემოქმედია. ფულზე საუბარი ეუხერხულება, რის გამოც სრულიად უსასყიდლოდ აკეთებს ბევრ რამეს.

ანას ნამუშევრები დაცულია თბილისში, სანკტ-პეტერბურგში, მოსკოვში, ვენაში, პარიზში, მიუნხენში, ბარსელონაში, ნიუ-იორკში, ვაშინგტონში. მან გააფორმა მიშა კალატოზოვისა და ნატო ვაჩნაძის ფესტივალები, „სამეფო უბნის თეატრში" „მაკნატუნა". ამჟამად მარჯანიშვილის თეატრში გიზო ჟორდანია დგამს ბრეხტის „სამგროშიან ოპერას", რომელსაც ანა გააფორმებს. სულ ახლახან კი ქალბატონმა სოფიკომაც მიიწვია თეატრ „ვერიკოში". დღეს საქმეში ყელამდეა ჩაფლული, თუმცა მანამდე საკმაოდ რთული პერიოდები ჰქონდა ცხოვრებაში. კარგა ხანს ცხოვრობდა ვენაში მეუღლესთან და პატარა შვილთან ერთად. ვიდრე გერმანულს დაეუფლებოდა, ბავშვებს რუსულს ასწავლიდა. სწორედ იქ გახდა ხელოვნების მაგისტრი. მაქსიმალურად ვუწყობ ხელს, მისგან მუდამ ახალ-ახალ იდეებს და წარმატებებს ველოდები. უდავოდ ნიჭიერი და შრომისმოყვარეა, ბაბუის ღირსეული მემკვიდრე.

**საუბრისას ანა კალატოზიშვილიც შემოგვიერთდა:**

– მხატვრის ბედი ისეა მოწყობილი, რომ ზოგჯერ მოზღვავდება შეკვეთები, ზოგჯერ კი... რთული პროფესია მაქვს. იცვლება ცხოვრების სტილი და წესი, შეძლებისდაგვარად მეც ვექვემდებარები ამ ცვლილებებს. ხელოვნებისთვის თითქოს შეჩერდა დრო. სამწუხაროდ, არ ფუნქციონირებს დიდი თეატრები, ამის გამო ბევრ რამეს ვერ ვაკეთებ ისე, როგორც ჩაფიქრებული მქონდა, თუმცა მომავლის იმედით ვცოცხლობ. და, რადგან სიცოცხლე და ჯანმრთელობა ყველაზე დიდი განძია ამ ქვეყნად, ღმერთს მუდამ ჩემი ოჯახის წევრების კარგად ყოფნას შევთხოვ.

მთელი სიამოვნებაა, როცა მნახველს მოსწონს შენი შემოქმედება. კოსტიუმების კერვის ყველა დეტალში აქტიურად ვერევი. თეატრი, კინო, ეს მთელი კონცერნია. როცა მარტო არა ხარ და როცა ხან შენი პოზიციის დაცვა გიწევს, ხან კი დათმობა. თეატრში მუშაობის მეტი გამოცდილება დამიგროვდა. კინოს სხვა თავისებურებები ახასიათებს. იქაც მოვსინჯე ძალები, და დიდი სიამოვნებაც მივიღე. ეს იყო ჩემი ძმის ფილმ „მისტერიაზე" მუშაობა. მისი მეორე ფილმი „რჩეული" თამარ ფოცხიშვილმა გააფორმა. ახლა მოსკოვში მესამე ფილმს ამთავრებს. მის მომდევნო ფილმს კი, რომელიც გეგმაში აქვს, ალბათ მე გავაფორმებ.

და მაინც ვთვლი, რომ ჩემი ადგილი თეატრშია.

**– ჟურნალისტებს წყალობთ, თუ გაღიზიანებთ მათი ცნობისმოყვარეობა?**

– არაჩვეულებრივი პროფესიაა, პატივს ვცემ. თუმცა მაინცდამაინც არ მიყვარს ინტერვიუების მიცემა, პირად საკითხებზე საუბარი. პირადი ხომ იმიტომ ჰქვია, რომ ჩემია და მე მეკუთვნის. ვცდილობ, ნაკლებად გამოვჩნდე, მაგრამ ამას ხელოვნურად კი არ ვაკეთებ, არამედ ჩემი ბუნებიდან გამომდინარე. ჩემს საქმეს ვაკეთებ და თუ ვინმეს მოსწონს, რა თქმა უნდა, კარგია.

**– რა გეგმები გაქვთ?**

– გეგმები მართლაც ბევრი მაქვს. მაგრამ წინასწარ ლაპარაკი არც ამაზე მიყვარს, რადგან ვერ გეტყვით, რამდენად შევძლებ მის განხორციელებას. ჩემი დღევანდელი გეგმები მომავალში გამოჩნდება, როცა ხორცს შეისხამს.

**ნანული ბუკია**

# ანტიგონე ხომ იგივე ზინაა!

ცოტა ხნის წინათ თეატრის მოყვარულებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. გამომცემლობა „პეტიტმა“ გამოსცა ზინა კვერენჩხილაძის წიგნი „ჩემი ანტიგონე,“ სადაც ავტორი მაღალი ოსტატობით, უზადო, დახვეწილი ქართულითა და უდიდესი მონატრებით აღწერს ჟან ანუის „ანტიგონეზე“ მუშაობის ურთულეს პროცესს. ანუ, როგორც თავად ამბობს, მკითხველის სამსჯავროზე გამოაქვს ის, რაც მთელი ცხოვრება ფეხდაფეხ თან სდევდა, ვით ბედი მდევარი. „ბედი აღმაფრენისა და ბედი განხილვისა, რომლის გარეშე თითქმის არაფერი ხდება მზის ქვეშეთში, რადგან ისაა მუდმივი თანამგზავრი ყოვლისა ცხოველმყოფელისა და მით უფრო, შემოქმედისა.“

მიუხედავად ჩვენი დიდი თხოვნისა და მცდელობისა ინტერვიუზე დაგვთანხმებოდა, მაინც უარი მივიღეთ. მართალი გითხრათ, არც გაგვკვირვებია. სათქმელს რა გამოლევს, მაგრამ როცა სიტყვას გულისტკივილი სჭარბობს, ალბათ მართლაც უკეთესია არაფერი ითქვას. სხვისი რა მოგახსენოთ და ქ-ნ ზინას ნამდვილად აქვს გულისტკენის უფლება და მიზეზი. დიდი ხელოვანი, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქართველ ანა მანიანად მონათლეს, სამწუხაროდ, ჩრდილში ყოფნას არჩევს, თუმცა განმარტოებას მაინც ვერ ახერხებს, რადგან მისი ტალანტის თაყვანისმცემლები მოსვენებას არ აძლევენ, ეხმიანებიან, ეფერებიან. მასთან სულ პატარა დიალოგიც მონოსპექტაკლია, მის მიერ წარმოთქმული თითოეული ფრაზა კი – გულში ჩამწვდომი სრული ჭეშმარიტება. დღეს იყო პოპულარული – სამარცხვინოა! – გვითხრა საუბრისას თავისი განუმეორებელი ხმითა და ღიმილით და საუბარი იმედიანი ხვალისთვის გადაგვიდო. მანამდე კი მისივე თანხმობით ვბეჭდავთ ეპიზოდს წიგნიდან, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება და მეტ-ნაკლებად ავსებს ხელოვანთან შეხვედრის დეფიციტს.

ანტიგონეს ზინა კვერენჩხილაძის შემოქმედების მწვერვალად აფასებენ კრიტიკოსები, თავადაც ოცდაათ წელზე მეტია ეფერება, ელოლიავება საყვარელ გმირს, როგორც თავად ამბობს: „მიჭირს თუ მილხინს, შინ თუ გარეთ – ყველგან ჩემთან არის. ველაპარაკები, მონატრებული სიყვარულითა და სინაზით, რადგან დღესაც ბევრი გვაქვს სალაპარაკო, გადასაწყვეტი.“

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს და ამის „საშიშროება“ ნამდვილად არის, ვინაიდან უსასრულოდ შეიძლება ზინა კვერენჩხილაძეზე საუბარი, ბ-ნი გიზო ჟარნაძის სიტყვებით დავასრულებთ, რომელიც შესანიშნავად გამოხატავს შემოქმედისა და მის მიერ განხორციელებული გმირის ერთარსებობას:

– ანტიგონე ხომ იგივე ზინაა, ოღონდ სცენის ჩარჩოებში მოქცეული! ზინაც ხომ ისეთივე ზნემაღალი, შეუპოვარი და თავშეწირულია, როგორც მისი გმირი! საოცარია ფრიად, თითქოს ანუიმ, სწორედ ზინას თარგზე მოჭრა ანტიგონეს სახე!



ზინა კვერენჩხილაძე სერგო ზაქარიაძესთან ერთად



სცენა სპექტაკლიდან „ანტიგონე“





ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

იმ დღეს მაინც განსაკუთრებით მიჭირდა, მთელი სხეული მტკიოდა, ბატონმა მიშამ დამამშვიდებელი და თავის ტკივილის გამაყუჩებელი მომცა. ის იყო დავლიე და ჩამოვჯექი, რომ კარი გაიღო და ოთახში ახალგაზრდა ქალი შემოქრიალდა. არც მიმიხედავს, – ხმაზე ვიცანი, ვინც იყო.

– ისვენებთ? – იკითხა ყალბი სითამამითა და გადაიკისკისა. ისარივით მომხვდა გულზე მისი უპატივცემულო ტონი. მე ტკივილებისაგან ლამის გული შემიწუხდეს, იქით ბატონი სერგოც არ არის გუნებაზე, ბატონი მიშაც დაღლილია, ჰაერი გაჯერებულია სიცხის ოხშივარით, ეს კი დგას და უხნეო ბავშვივით აგრძელებს ტიკტიკს: აბა, მაჩვენეთ, რა გააკეთეთო. დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, გადასკვნილი ხელები მუხლს შემოაჭდო და ნაძალადევი ღიმილით ისევ გაიმეორა, – აბა, მაჩვენეთ! – აბა, მაჩვენეთო. აბა, მაჩვენეთო!.. – ექოსავით მესმოდა ყურში სატანისეული ხმა. ღმერთო ჩემო, ვის უნდა ვაჩვენოთ, ან რატომ უნდა ვაჩვენოთ? აქ ხომ ბატონი სერგო ზის, ბატონ მიშაზე რომ აღარაფერი ვთქვა, ვის მეგობრადაც თვლიდა თავს. ესე იგი, არავის არ დაერიდა და ყველას მოსთხოვა თავისი უბადრუკი სურვილის დაკმაყოფილება? რა უფლებით? ვინ არის? ან რატომ არის აქ? ისევ ამერია ყველაფერი, რატომ შემოიჭრა ეს სატანა მაინცდამაინც დღეს, ახლა, ამ წუთს, როცა ასე ცუდად ვარ, როცა ტკივილისაგან კრუნჩხვები მემართება, რატომ არ მოერიდა არავის, ასე რატომ გადაევლო თავზე ყველას და ყველაფერს... რატომ? და იმდენად ვიყავი შეურაცხყოფილი ჩემი ორი იდეალის გამო, რომ უცებ ყველაფერი დამიამდა. გამოვენთე და პირდაპირ მივახალე: – თქვენ თუ აქ სანახავად მობრძანდით, ტყუილად გარჯილხართ, ამისათვის არსებობს სხვა დრო, სპექტაკლის „ჩაბარება“ ანდა პრემიერა, დღეს კი რიგითი რეპეტიციაა, რეპეტიცია და სანახავი ჯერჯერობით არაფერია, მით უმეტეს თქვენთვის“, – და იქვე დანადგარზე ჩამოვჯექი.

ბატონი სერგო არც განძრეულა, ისევ ზურგით იჯდა, მე მგონი, ჩემზე უარეს დღეში იყო. ბატონი მიშა კი გაოგნებული შემომცქეროდა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ბატონმა სერგომ ჩაახველა თუ ჩაიცინა, ვერ გავიგე. ისიც ვერ გავიგე, ის მაჟორული ქალბატონი როგორ გაქრა ოთახიდან.

– რა გააკეთე? – მისაყვედურა ბატონმა მიშამ.

– არაფერი. რაც ეკადრებოდა, ის მივუზღე.

– ასე როგორ შეიძლება.

– აბა, ისე შეიძლება?

– რა შენი საქმეა!

– მართალია, გეთანხმებით, ჩემი საქმე არ არის, თუმცა რატომ არ არის ჩემი საქმე? ჩემი თანდასწრებით შეურაცხყოფა რომ მოგაყენათ, როგორ უნდა ამეტანა? თვალი დამეხუჭა და „რა ჩემი საქმეა“-ს პოლიტიკა მეხმარა? მაშინ ხომ მე, მე აღარ ვიქნებოდი.



– არავის არ სჭირდება ეგ შენი „მე“, – უფრო გამიბრაზდა, არა, კი არ გამიბრაზდა, საერთოდ გაბრაზდა ბატონი მიშა.

– სჭირდება, სჭირდება, ჩემს შვილს სჭირდება, მე მჭირდება, ჩემს მეგობრებს... – და ვიგრძენი, რომ დიალოგი, რომელიც ჩვენს შორის გაიმართა, ანტიგონესა და კრეონტის დიალოგს წააგავდა, ცოტაც და კამათში შემოვიდოდა კონკრეტული თემა, თემა მარადიული – ადამიანი და მისი დანიშნულება ცხოვრებაში. პატარა შესვენების შემდეგ ისევ გაგრძელდა რეპეტიცია.

არაჩვეულებრივი რბილი ტონით დაიწყო კრეონტის ტექსტი ბატონმა სერგომ. ასეთი ტონი, შეიძლება მხოლოდ მშობელს, ან ყოვლად ბრძენს ჰქონდეს თავისი შვილის, ან თავისი შეგირდის დაუშვებელი, მაგრამ მაინც სწორი, და მართებული საქციელის გამო, მისი პირველი და, რაც მთავარია, დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების გამო. ამით ბატონმა სერგომ ბევრი რამ მითხრა, ბევრ სასიკეთოზე მიმანიშნა. აი, თურმე რატომ დუმდა და, რატომ გამიყვანა მე ბრძოლის წინა ხაზზე მარტო, ამის საშუალება როგორც კი შეიქნა. ეს იყო გამოცდა, მსა-



ხიობური ალღოს შემოწმება. შემეძლო თუ არა გაუთვალისწინებელ ვითარებაში სათანადო რეაქციის გამოხატვა და ელვის სისწრაფით მისი გამოყენება. მივხვდი, რომ ბატონმა სერგომ ამით გამოცდა ჩაიბარა და, მგონი, ნიშანიც კარგი დამიწერა. ამან, რა თქმა უნდა, ფრთები შემასხა, რწმენა შემმატა და მთელი შეგრძნებით ჩავები დიალოგში. მე ხომ სწორედ ეს მაკლდა – დამოუკიდებლობა, რადგან თვითკონტროლმა ხასიათი წამიხდინა და გაუბედაობა დამიმკვიდრა.

მიუხედავად მთელი რიგი სირთულეების, რასაც ბევრი უსიამოვნება მოჰყვა, ის დღე მაინც იდეალურ შემთხვევად ჩამრჩა მეხსიერებაში.

როგორც კი მოვაგროვე „სულიერი ფასეულობანი“ ჩემი, ცოტა დავწყნარდი, რადგან მივხვდი, რომ უკვე შემეძლო შევჭიდებოდი დიდზე დიდ საქმეს, მოქალაქეობრივი პოზიციის გამოკვეთას და დაცვას. დაიცვა აზრი შენი, დაუპირისპირდე უზნეობას, სიყალბეს, თუნდაც სიცოცხლე გაიღო ამისათვის – განა პატარა საქმეა? ეს ზნეობრივი თვისებების გამოვლენაა, პიროვნების წარმოჩენა. ეს დიდი საქმე, რომელსაც ახლა ანტიგონეს დახმარებით უნდა შევჭიდებოდი, ჩემი დიდი ხნის სურვილი იყო, ფარული ოცნება – იდეა-ფიქსი.

ბედნიერად ვიგრძენი თავი, როცა დავრწმუნდი, რომ უკვე შემეძლო საკუთარი თავის მართვა, როცა შემეძლო პირდაპირ შემეხედა კრეონტისათვის თვალებში და მეთქვა ისე, როგორც იმ მაყორულ ქალბატონს ვუთხარი: რომ სიყალბე არ ყოფილა და არც არასოდეს იქნება სიკეთის საფუძველი; რომ პატივმოყვარეობა თავმოყვარეობის ლახვარია; რომ შური, შენიღბული ცბიერებითა და ცინიზმით, მომაკვდინებელი ბანგია და სხვა არაფერი.



● ზინა კვერენჩხილაძე და ზეინაბ ბოცვაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**დათო მაღრაძე – ავტორი წიგნებისა: „მარულა", „გახუნებული აფიშა", „მეფური ნაკლი", „ნიკალა". 1977 წელს „წლის საუკეთესო ლექსებისათვის" მიენიჭა გაზეთ „კავკასიონის" პრემია. 2002 წელს თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე ლექსების წიგნი „ნიკალა" დაჯილდოვდა ფესტივალის მთავარი პრიზით „საუკეთესო ლექსების კრებულისათვის". 2003 წელს კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის ექსპერტთა და მკვლევართა საბჭომ პოეტი დათო მაღრაძე დააჯილდოვა ოქროს მედლით – „წლის საერთაშორისო მწერლის" ნომინაციის გამარჯვებული. მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, რუსულ და სომხურ ენებზე.**

* * *

შევცურე ზურგზე პურის ყანაში
ხორბლის სურნელით სველდება კეფა
და ყურს მოსწვდება შორით თამაში
და მონადირის მაღლების ყეფა.
ვლივლივებ ალზე გაშლილ ყანაში,
ნელი დგაფუნი მკლავის ნიჩბების...
ყვითელი სივრცის ვრცელ ქვეყანაში
სიყვარულისთვის არ დაისჯები.
პურში და მზეში მოწოლილ ვნებას
არ გავაკარებ წესს და შალაშინს,
სველი სტრიქონი ქაღალდზე შრება,
ამოვლებული პურის ყანაში.
მოუხელთებელ ტალღებად ჩანან
ხორბლის შვავები, ქერი და შვრია
და ქარის ფრთაზე აშლილი ყანა
ახალ რვეულში დაიწყებს შრიალს.
და მწიფე პურის მოვარდნილ წყალში
დავკიდები კიდეს კიდობნის,
ძველ ხელნაწერებს შხეფებით წაშლილს
ყდაზე სათაურს ვაწერ:
— მშვიდობით!

თავთავის ქაფზე ფეხშველი ქალი
წამოვა, როგორც ძახილზე ჰეტრე
და შეერევა ნიავის ძალით
აიალქნებულ თავშლებს და ზეწრებს...
როგორც ნათელის ჩამონათალი
დღესასწაულის თანამეცხედრე.
მშვიდი ყვითელის ძალას და სითბოს
ხორცით და ძვალით და სულით ვენდე,
გაიჟღინთება ტრფობით სათიბი,
როგორც საწოლი
ჯვრისწერის შემდეგ.
საით წაიყვანს პოეტს სადაურს
ზღვად დარწეული მწიფე სათიბი
და მიკარნახებს ახალ სათაურს
თმაში მცურავი ხელი ნატიფი.
ნაკურთხი მარცვლით სავსე მაქვს ჯეში
დაკარგულ წყალში სევდით მეტივის
და მინდა თქვენთან და მინდა თქვენში
და ვეძებ მიწას
ნოეს მტრედივით.

## ოსანა...

როდესაც ჰალატი დატოვა პილატემ,
...ღალატი, ღალატი, ღალატი დილამდე...
და ცოდვა პირადი, ცოდვათა ჰარადი
რწმენის ჰაროდიით სავსეა პირამდე.
— შემოდი, ვინა ხარ?! — დუმილი...
დუმილი,
დუმილიც დამალე, დამალე და მალე
ანგელოსთ ამალა მოაგნებს სამალავს,
სოსანის ბუმბულებს შეარხევს ფრთოსანი
და კრიალოსანის მაფია არილი
არილზე ასხმული ცხოვრების მარილი —
— სიტყვები:
— ოსანა, ოსანა, ოსანა...
ჩვენი საუკუნე... საკანის უკუნი...
უკუნის სიმშვიდე, ჰალატა მეშვიდე
და ცოდვის შვილები — დაუნი, დებილი,
სასტიკი დროება და დაუნდობელი...
კოჭლია კამარა და თაღი დაბალი.
როდესაც ჰალატი დატოვა პილატემ,
ღალატი, ღალატი, ღალატი დილამდე...

ხელს იბანს ყოველი
მას მერე ვინც არი,
ვის, საით მოელის
შეკრული ფიცარი

და დროის საცერით
გაცრილი ნაცარი,
წყალს მოაქვს ფაცერი
და დანაფიცარი.
ხელს იბანს მოხუცი,
ხელს იბანს ყმაწვილი,
ვის სადაც მოუწევს
ონკანის ნაწილი.
ხელს იბანს ვაჭარი,
ხელს იბანს მოხელე,
ერთმანეთს ამჩნევენ
და მკლავებს მოხვევენ.
ხელს იბანს მმობილი,
ხელს იბანს დობილი,
დრო ჩვენგან შობილი
და დაუნდობელი.
ტოვებენ ჰალატებს,
მისდევენ პილატეს,
დილიდან ღამემდე,
ღამიდან დილამდე...
... და ისმის:
— ოსანა!
— ოსანა!
— ოსანა!..

**ამბობენ, პოპულარობა დროებითი მოვლენაა და მის შესანარჩუნებლად ზოგჯერ უკადრებელს კადრულობენ მავანნიო. საბედნიეროდ, ამ წესიდან გამონაკლისიც არსებობს – არიან ადამიანები, ვისი ცხოვრების სტილი, პიროვნული ღირსებები თუ ოჯახური გარემო გამუდმებით იწვევს საზოგადოების ცხოველ ინტერესს და მუდამ პოპულარულნი არიან. სწორედ ასეთი გახლავთ ცნობილი პოლიტოლოგი და სოციოლოგი, ინგლისური ენის ბრწყინვალე სპეციალისტი, მუსიკოსი და იუმორის დიდი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, ბ-ნი გელა ჩარკვიანი, რომელიც დღეს ჩვენი ჟურნალის სტუმარი გახლავთ.**



# „ადამიანები უნდა გიყვარდეს...“



● გელა ჩარკვიანი „ოქროს ახალგაზრდობისას“

**– ბ-ნო გელა, ნათქვამია – პოლიტიკა ბინძური საქმეაო. თქვენ წლების მანძილზე აქტიურად მოღვაწეობდით დიდ პოლიტიკაში, მაგრამ არასოდეს გასვრილხართ და არ გაგტეხიათ სახელი...**

– დიდი მადლობა, თუ ასე ფიქრობთ. ყოველ შემთხვევაში, მართლა ვცდილობდი, ასე ყოფილიყო. ადამიანები უნდა გიყვარდეს და რაღაც აქციების, პერსონალური მოგების გამო არ გაწირო ისინი. პრინციპი მარტივია და ამის გათვლა ნებისმიერს შეუძლია, ამიტომ ნურავინ იტყვის, რომ შემთხვევით შეცდა.

**– თავად თუ გქონიათ ისეთი სიტუაცია, როცა ორჭოფულ მდგომარეობაში აღმოჩენილხართ?**

– რასაკვირველია, არის სიტუაცია, რომელშიც თითქმის შეუძლებელია, არავის არაფერი ავნო. მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდება და, თანაც, ხომ არსებობს შედარებით ნაკლები ბოროტების პრინციპი.

**– თუ „დაგიჩაგრავთ“ საკუთარი თავი სხვისი კეთილდღეობის გამო?**

– ეს უკვე გმირობის ტოლფასია, რისი პრეტენზიაც არასოდეს მქონია. ამ დროს ცხოვრების დრამატიზება ხდება და მოზომვა ძნელია. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი – თავადაც იყო ზომიერი და სხვისგანაც არ მოითხოვო ბევრი.

**– თქვენ ე.წ. „ოქროს ახალგაზრდობის“ წარმომადგენელი ბრძანდებით, ჩვეულებრივ მოკვდავთაგან იმ ხანებში ოჯახით, გარეგნობით, განათლებით, ეკონომიკური პირობებით განსხვავებული...**

– საინტერესო რამ უნდა გითხრათ – მე მართლაც ერთადერთი ვარ, ვინც საკუთარი მშობლის ცკ-ის მდივნობის დროს დაიბადა საქართველოში. დანარჩენ მდივნებს ამ პოსტზე მუშაობისას საამისოდ არ მოუცლიათ. „ოქროს ახალგაზრდობას“ კი ნამდვილად არ ვეკუთვნოდი მხოლოდ იმიტომ, რომ მკაცრი დედა მყავდა (ქ-ნი თამარ ჯაოშვილი ოფთალმოლოგი გახლდათ. რედ.). პოლიტიკაში მყარი ნიადაგი არ არსებობს, დედა კარგად ხედავდა ამას და არ გვანებივრებდა, შვილებს მუდამ იმას ჩაგვჩიჩინებდა, რომ კეთილდღეობა დროებითი მოვლენა იყო. სწორედ ამ აღზრდის შედეგი გახლდათ, რომ ბავშვებს გვრცხვენოდა საკუთარი უზრუნველი ცხოვრების, რადგან სხვებთან შედარებით, მართლა განსაკუთრებული პირობები გვქონდა.

**– რამ განსაზღვრა თქვენი მომავალი პროფესია?**

– მშობლები წინააღმდეგი იყვნენ ჩემი არჩევანის. მამას ძალიან უნდოდა არქიტექტორი გავმხდარიყავი და მართლაც, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარე, მაგრამ მეორე კურსიდან უცხო ენათა ინსტიტუტში გადავედი. ვგრძნობდი, გაცილებით ფართო ასპარეზი მჭირდებოდა, ენა კი ის ერთადერთი იარაღი იყო, რომელიც მეტი ინფორმაციის მოპოვების საშუალებას მომცემდა.

**– თქვენ იმ დროს შეისუნთქეთ ნამდვილი დემოკრატიის ჰაერი, იმ დროს აღმოჩნდით შეერთებულ შტატებში, როცა ბევრისთვის ეს ქვეყანა მხოლოდ რუკაზე არსებობდა. როგორ გაემგზავრეთ, როგორ შეეგუეთ იქაურობას და როგორი იყო შტატებიდან დანახული საბჭოეთი?**

– ამერიკაში 1970 წელს სტაჟიორად გავემგზავრე და ეს იყო უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რომელმაც ბევრი რამ შეცვალა ჩემს აზროვნებაში. რადგან ენა სრულყოფილად ვიცოდი, ძირითადად სოციოლოგიას, სოციო-ლინგვისტიკას, სოციალურ ფსიქოლოგიასა და პოლიტოლოგიას ვეუფლებოდი, ის პერიოდი ამერიკისათვის გადამწყვეტი იყო: ახალგაზრდული რევოლუციის პიკი, ვიეტნამის ომის დასასრული, ფემინიზმის გააქტიურება. ამ პროცესში მეც აქტიურად ვიყავი ჩართული. სამშობლოში დაბრუნებული უკვე აბსოლუტურად დარწმუნებული გახლდით ჩემს ლიბერალურ პოზიციებში, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, ჩვენთან ასე მალე რომ არ შეიცვლებოდა სიტუაცია. ამ საკითხზე ხშირად მქონია მამასთან საუბარი. იგი ღრმა მარქსისტი, მაგრამ ძალიან განათლებული ადამინი გახლდათ და ჩემი კარგად ესმოდა, თუმცა ეშინოდა, კონფლიქტი არ მომსვლოდა რეალობასთან.

**– შეერთებულ შტატებში ყველაზე მეტად რასთან გაგიჭირდათ შეგუება?**

– პირველი თვე შოკისმომგვრელი აღმოჩნდა გარეგნული და აზრობრივი ფაქტორებითაც, მაგრამ ალბათ ჩემშიც ფარულად იგივე ღირებულებები იდო და იქაურობას იოლად შევეჩვიე. ბევრად უფრო რთულად გახლდათ საქმე გარეგან სიმბოლოებთან დაკავშირებით – ეპატაჟის, პროტესტის ხანა იყო და ხალხი დაუბანელი, ნახევრადშიშველი დადიოდა.

**– ცნობილია, რომ ულამაზესი მეუღლე გყავთ. როგორ შეხვდით ქ-ნ ნანას?**

– ქუჩაში მეგობართან ერთად მოდიოდა. თავიდან ვერ შევნიშნე მისი სილამაზე, მაგრამ როცა მის პროფილს დავაკვირდი, მივხვდი, ასე მარტივად არ დასრულდებოდა საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გელა ჩარკვიანი მეუღლესთან და შვილიშვილთან ერთად



ბებია და შვილიშვილი: ნანა და ანა



ნანა თოიძე ქალიშვილთან ერთად

**– ოჯახმა უპრობლემოდ მიიღო თქვენი არჩევანი?**

– ნანას ოჯახს – ქ-ნ შურა თოიძეს, ბიძებს ირაკლისა და გიორგის კარგად იცნობდნენ ჩემი მშობლები. ასე რომ, არანაირი პრობლემა არ გვქონია.

**– მეუღლისთვის ეჭვიანობის საბაბი თუ მიგიციათ ოდესმე თუ თავად უფრო ეჭვიანობდით?**

– სადაც სიყვარულია, იქ ეჭვიანობასაც ვხვდებით და სხვათა შორის – შვილის ურთიერთობის გამყარებას, რადგან ერთგვარი სასარგებლო სტიმულია. ამიტომ ვფიქრობ, ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს ეჭვიანობის გრძნობაც და ცოტა მიზეზიც.

**– ძალიან თანამედროვედ მოაზროვნე პიროვნება ბრძანდებით. რამდენად ტრადიციული ხართ?**

– ჩემი თანამედროვეულობა ინფორმაციის ჭარბი მიღების შედეგი უფროა. ადამიანი გამუდმებით უნდა ვითარდებოდეს, ამიტომ ყოველდღე ვიღებ ჩემთვის საინტერესო თანამედროვე ინფორმაციას. რაც შეეხება ტრადიციულობას, ჩემი ოჯახიდან გამოსულ კაცს არ შეიძლება, იგი არ ჰქონდეს – ძალიან ბევრი რამ იყო ჩვენს აღზრდაში პატრიარქალური. ოჯახი უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად მიმაჩნია და ეს უკვე ტრადიციული მიდგომაა. ვცდილობ, მქონდეს ტრადიციის რაღაც ხიბლოები.

**– თქვენ მელომანი ბრძანდებით, თავად წერთ მუსიკას, ასრულებთ. რა მუსიკალური განათლება გაქვთ?**

– ნიჭიერთა ათწლედში ვსწავლობდი. ნანამ კონსერვატორია დაამთავრა და მთელი მისი პროგრამა თეორიულად მაქვს გავლილი. იყო დრო, როცა ეკონომიურად გვიჭირდა, ორკესტრებისთვის პარტიტურებს ვწერდი. ძირითადად ჯაზურ კომპოზიციებზე ვმუშაობ.

**– ხალხურ სიმღერასთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

– კარგი შემსრულებელი არა ვარ. სუფრაზე პირველ ხმას ვერა, მაგრამ ბანს ვამბობ ხოლმე.

**– თქვენი ვაჟი, ირაკლი მუსიკოსია და მოთხრობებსაც წერს...**

– ირაკლიმ უნივერსიტეტის დას. ევროპისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა და ოქსფორდშიც ლიტერატურის განხრით სწავლობდა. 23 წლის იყო, როცა მოთხრობების კრებული გამოაქვეყნა. „ძველმა სათამაშოებმა“ ბევრი ცნობილი მწერლის მოწონებაც დაიმსახურა. სიმღერა ნაწილობრივ ჩემი ზეგავლენით დაიწყო, პატარ-პატარა დავალებებს ვაძლევდი ხოლმე, თუმცა მუსიკალური განათლებაც აქვს. ქალიშვილი თეონა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელია. საოცრად მოწესრიგებული ადამიანი და შესანიშნავი დედაა.

**– ერთ-ერთ გადაცემაში ვნახე, რა ოსტატურად ტრიალებდით სამზარეულოში. გურმანი ბრძანდებით?**

– ცოტას შეგისწორებდით – გურმანი მაინც ბევრის მჭამელს ნიშნავს. ინგლისელებს აქვთ შესანიშნავი სიტყვა „გურმე“, რაც პირის გემოს მცოდნეს ნიშნავს. მეც სწორედ გურმე ვარ და მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ხელოვნებაა. სადილების კეთება დიდად არ მიყვარს, ძირითადად ალგორითმებს ვქმნი და სხვებს ვკარნახობ.

**– თუ თარგმნით რამეს?**

– სერიოზულ თარგმანზე მხოლოდ ერთხელ ვიმუშავე – შექსპირის „მეფე ლირი“, რომელიც ლილი ფოფხაძესთან ერთად გადმოვაქართულე, რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუამ დადგა. მას შემდეგ არ მითარგმნია, მძიმე სამუშაოა და ვცდილობ, თავი ავარიდო.

**– ორიოდე სიტყვა თქვენი გადაცემების ციკლის „ქართველები კრემლში და მის გარეთ“ შესახებ. რამდენად იოლად დაიყოლიეთ ბ-ნი კანდიდი?**

– მამა ბრძენი კაცი გახლდათ და იცოდა, რომ საჭირო იყო ამის გაკეთება. მისი საუბარი ჯერ საავადმყოფოში აუდიოკასეტაზე ჩავიწერე, შემდეგ ვიდეოზე სახლში. უნდა გითხრათ, რომ აუდიოზე უფრო თამამი იყო.

**– ბ-ნო გელა, იმ გადაცემაში ყველაფერი ითქვა თუ კიდევ დარჩა სათქმელი?**

– რასაკვირველია, დარჩა. მერე გამიჩნდა კითხვები, რომლებზეც აღარავინ მიპასუხებდა. არის რამდენიმე ეპიზოდი, რომელიც დღესაც ფეთქებადსაშიშად ითვლება, მაგრამ, შესაძლოა, ჩემს მემუარებში ოდესმე გამოვიყენო.

**– რას უსურვებდით ჩვენს ჟურნალს?**

– „საქართველოს ქალი“ ჩვენი ქართული ყოველდღიურობის აუცილებელი ატრიბუტი იყო მუდამ და სურვილი მექნებოდა, კვლავაც ასეთად დარჩეს ნებისმიერი ოჯახისთვის. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ტრადიციული დამოკიდებულება ქალის მიმართ აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ და ამაში სწორედ თქვენმა ჟურნალმა უნდა შეგვიწყოს ხელი. გისურვებთ წარმატებებს.

**– გმადლობთ.**

**მანანა იმესაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამარ ტაბახმელაშვილი – 1993 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი მხატვრული თარგმანის განხრით. ნორვეგიულის შესწავლა დაიწყო 1999 წლიდან, რასაც დღემდე აგრძელებს. 2001-2003 წლებში მიიწვიეს ოსლოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მუშაობდა თემაზე „ჰამსუნი და საქართველო.“ ეს თემა არის ნაწილი პროექტისა, რომელსაც პროფესორი ფრუდე ჰერმუნდსგორდი ხელმძღვანელობს და, რომელსაც ჰქვია „ჰამსუნი და კავკასია.“ ეს მწერალი ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მას ეკუთვნის ნაწარმოებები საქართველოზე და ეს სფერო არ არის გამოკვლეული საფუძვლიანად. ამჟამად მუშაობს კნუტ ჰამსუნის რომანზე და პარალელურად თარგმნის ნოველებს.

**შელ ასკილდსენი**

# შინ დაბრუნება

სარკის წინ თმა გულდაგულ დავივარცხნე: რა ჯადოსნური სარკეა, იმაზე მშვენიერი ვჩანვარ, ვიდრე სინამდვილეში ვარ. თითქმის შეუმჩნეველი წარბები გავიმუქე, ტუჩები შინდისფრად შევიღებე, ლოყები ოდნავ შევიფერადე. ბაღში გავედი და ზამბახები დავკრიფე. ნატიფ ლარნაკში მოვათავსე. ესიამოვნება, რომ დაინახავს.

თითქმის მთელი საათია ველოდები. ყვავილებს ვყნოსავ, სარკეს ვუღიმი, ჯადოსნურ სარკეს. რა მშვენიერი ვარ!.. მოუთმენლად ველი, მიუხედავად იმისა, ვიცი, ასე მალე არ მოვა.

რას იტყვის, რომ დამინახავს, ჩემი სიყვარული...

ჭიშკართან ვდგავარ და ქვემოთ გზას გავყურებ. უცებ საყურე გამახსენდა და სამკაულების ყუთთან მივირბინე, სარკის ქვეშ იდო. ჯადოსნური სარკე. ლიფის სამხრეები ავიჭიმე, მოშვებული მომეჩვენა. სარკის წინ სკამზე დავდექი და ქვედაბოლო ავიწიე. და ისე, რომ სულაც არ მიგრძნია თავი სულელად, ხმამაღლა ვთქვი:

– მოვეწონები ნეტავ?

ახლა მართლაც ბედნიერი ვარ. სადაცაა მოვა. გავალ და შევეგებები... არა. აქ ვიჯდები, მისი მოლოდინით ბედნიერი. რას მეტყვის ჩემი სიყვარული? რა მშვენიერია, იჯდე და ელოდებოდე, რომ, რომ ერთ წამში... ჩუ! აი, კარს აღებს. ახლა კეტავს.

სასტუმრო ოთახში რომ შემოვიდა, ქალი დივანიდან წამოდგა და შესაგებებლად გაიქცა.

– ჩემო საყვარელო!

– ძვირფასო!

– რა კარგია სახლში დაბრუნება. გადავიღალე...

– გენატრებოდი?

– როცა დრო მქონდა.

– მე კი საშინლად მომენატრე.

– მეც...

ქალისგან თავი გაითავისუფლა. რადიოსთან მივიდა, ჩართო, მაგრამ უმალვე გამორთო.

ეშმაკმა წაიღოს ეს ხარახურა რადიო! მაგიდის უჯრიდან გაზეთი ამოიღო და სავარძელში მოკალათდა.

– ახლავე ისადილებ, თუ ცოტა ხანში?

– ჯერ დავისვენებ, მატარებელში წავიხემსე, – უპასუხა კაცმა ისე, რომ გაზეთიდან თავი არ აუღია. ქალი მიუახლოვდა, სავარძლის სახელურზე ჩამოუჯდა და ქმარს მოეხვია.

– როგორ მენატრებოდი...

– ჰოო?



– ვოცნებობდი სახლში შენს დაბრუნებაზე.

– სასიამოვნოა ამის მოსმენა.

– თუ გაზეთს გვერდზე გადადებ, უფრო მეტსაც გეტყვი.

– ერთი წამით მაცალე, სტატიას ჩავამთავრებ.

ქალი წამოდგა და რადიოსთან მივიდა. ჩართო და მუსიკა იპოვა, მაგრამ ხრიალი და მუსიკა ერთმანეთში იყო არეული.

– უკეთეს არხს ვერ იპოვი?

– ყველგან ესაა.

– მაშინ, უმჯობესია გამორთო.

– მოწყენილი ვარ...

– მსიამოვნებს ამის მოსმენა.

– რაა?..

– სასიამოვნოა იმის მოსმენა, რომ სახლში ჩემი მოსვლიდან ათი წუთის შემდეგ უკვე მოწყენილი ხარ.

ქალმა არაფერი უპასუხა. ვერც ვერაფერს ეტყოდა. რადიო გამორთო და საძინებელ ოთახს მიაშურა. სარკის წინ შეჩერდა და საკუთარ გამოსახულებას ენა გამოუყო. ცრემლი შენიშნა თვალის კუთხეში, და, დიდი ტკივილი შიგნით, გულის სიღრმეში იმედგაცრუებისა კი არა, უფრო თანაგრძნობის იმ ქალისადმი, რომელიც სულ რაღაც ერთი წუთის წინ სარკის წინ სკამზე იდგა, მოლოდინითა და მონატრებით სავსე...

**ნორვეგიულიდან თარგმნა თამარ ტაბახმელაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეუღლეობა – ტვირთის განაწილება



როგორც არ უნდა ცვლიდეს დრო დეკორაციებს, მაინც უცვლელი რჩება პიესა, რომელშიც ზოგს წარმატებული ადამიანის როლი აქვს, ზოგს – წარუმატებლის. ზოგი ცნობისმოყვარეა, ზოგიც დარდიანი, თავის თავში ჩაკეტილი. პიესის მოკლე შინაარსი კი დაახლოებით ასეთია: ადამიანები გამუდმებით ეძებენ რაღაცას, რაც მათ სიცოცხლეს აზრს და სილამაზეს მიანიჭებს. ცდილობენ თავიანთ უფერულ ცხოვრებას ფერადოვნება შეჰმატონ. ეძებენ ერთმანეთს, რათა შემდეგ, ხშირ შემთხვევაში, ისევ დაკარგონ ერთმანეთი. მიზეზი მრავალგვარია, ხანდახან ყველა ტკივილზე უფრო მტკივნეული. ცხოვრებით დაბრძენებული მოხუცები კი გვასწავლიან: ,,სატკივარზე ხმამაღლა იჩივლე და გამოჩნდება ვინც საშველს გასწავლისო.'' სანამ მშველელი გამოჩნდებოდეს, მორწმუნე ქრისტიანები ყველა საჭირბოროტო კითხვებზე პასუხს ბიბლიაში ეძებენ, ეძებენ და პოულობენ კიდეც. როგორც პავლე მოციქულთან ვკითხულობთ: ,,მთელი წერილი ღვთივსულიერია და სარგო – სამოძღვრებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად და სიმართლის სასწავლებლად'' (2 ტიმ: 3:16). ეკლესია ქადაგებს, თუ ძალისხმევას გამოვიჩენთ და ჩვენს ქმედებებს ბიბლიურ პრინციპებზე დავაფუძნებთ, მრავალი სირთულის გადალახვას შევძლებთ.

დღეს ოჯახების უმეტესობა კრიზისს განიცდის, რის შესახებაც ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ იწინასწარმეტყველა პავლე მოციქულმა: ,,ხოლო ეს იცოდე, რომ უკანასკნელ დღეთა დადგომისას მოიწევა ბოროტი ჟამი, რადგანაც კაცნი იქნებიან თავმოყვარენი, ვერცხლისმოყვარენი, ქედმაღალნი, ამპარტავანნი, მგმობელნი, დედ-მამის ურჩნი. უმადლონი, უღირსნი, კაცთმოძულენი, გულღრძონი, მაბეზღარნი, აღვირახსნილნი, გულმხეცნი, სიკეთის მოძულენი, თავხედნი, უფრო მეტად განცხრომის მოყვარენი, ვიდრე ღმერთისა. მოსაჩვენებლად ღვთისმოსაობის მსახურნი, მაგრამ მისი ძალისგან განდგომილნი, მათგან შორს დაიჭირე თავი'' (2 ტიმ. 3: 1-5).

რელიგიაში მკაცრად განსაზღვრული იერარქია არსებობს – დედამიწაზე უპირატესი ღვთის წინაშე მამაკაცია, მის შემდეგ დგას ქალი. მაგრამ წმინდა წერილის მიხედვით ამ დაქვემდებარებაში არაფერია დამამცირებელი – ყველაფერი ჰარმონიაშია: ბუნებით ძლიერი მფარველობს სუსტს, სუსტი ემორჩილება ძლიერს ნებაყოფლობით, სიყვარულით, რაც ორივესთვის სასიამოვნო და მისაღებია. ღმერთმა ადამის სიმარტოვის შესავსებად შექმნა ევა: ,,თქვა უფალმა ღმერთმა: ,,არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა. გავუჩენ შემწეს, მის შესაფერს'' (დაბ. 2:18). დიახ, შემწეს და არა მეტოქეს. ქმარი უნდა იყოს მოსიყვარულე მეთაური, ცოლი კი სიყვარულის, პატივისცემისა და ნებაყოფლობითი მორჩილების გამომვლენი. თუ ჩვენ ძალისხმევას, სულიერ სიფხიზლეს, კეთილგონიერებას გამოვიჩენთ და ამ მოდელით ვისარგებლებთ, ამით პატივს მივაგებთ არა მხოლოდ ერთმანეთს, არამედ ღმერთსაც.

ქალთა საკონსულტაციო ცენტრის ,,სახლი''-ს ხელმძღვანელი, ფსიქოლოგი რუსუდან ფხაკაძე ცოლისა და ქმრის ურთიერთობაზე მსჯელობისას ამბობს:

– ქმარი, თუ მას სწორად აქვს გაცნობიერებული თავისი ადგილი და როლი ოჯახში და, თუ მას საკმარისი შინაგანი კულტურა გააჩნია, ყოველთვის უნდა ცდილობდეს ოჯახში ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებას. ხანდახან უნდა დათმოს კიდეც თავისი პოზიციები, უნდა შეძლოს კომპრომისების გამონახვა, მაშინაც კი, როდესაც აბსოლუტურად დარწმუნებულია თავის სიმართლეში. თუ როგორი ,,ამინდი'' იქნება ოჯახში, ბევრადაა დამოკიდებული მამაკაცზე. იგი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, კონფლიქტის მომგვარებელი და არა გამჩაღებელი.

სამწუხაროდ, ,,მოძალადედ'' ქალიც შეიძლება მოგვევლინოს. გაუთავებელი წუწუნი, ბუზღუნი, წყევლა, ,,თავის ტკივილი,'' რომელიც მიზეზი უფროა ვიდრე რეალობა, ეს უკვე ძალადობაა გარკვეულწილად.

ოჯახის გადარჩენის მჯამზარეულ ,,რეცეპტს'' კი ისევ ბიბლიაში ამოიკითხავთ: ,,... ერთმანეთს ასწრებდეთ ურთიერთპატივისცემას'' (რომ 12:10), მოგვიწოდებს პავლე მოციქული. პატივისცემაა, როცა უთანხმოებას არ მივიღებთ, როგორც გამოწვევას, არ ვიქნებით სასტიკნი ერთმანეთის მიმართ, პატივისცემაა ,,მშვიდი პასუხი, რომელიც გულისწყრომას აცხრობს'' და, როცა ცდილობ, უთანხმოება ურთიერთშეთანხმებით მოაგვარო.

ეს კი სწორედ ის არის, რასაც შეუძლია აზრი და სილამაზე შეჰმატოს ჩვენს ცხოვრებას.

**რუსუდან (ლალი) ლაშხი**

23780

# ცაში დაფერფლილი ვარსკვლავი



მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია 1923 წელს დაიწყო, როცა რეჟისორმა ამო ბეკ-ნაზაროვმა თბილისელი ფოტოგრაფის ატელიეს ვიტრინაში გასაოცარი სილამაზის ქალიშვილის პორტრეტს მოჰკრა თვალი.

ცხრამეტი წლის ნატო ვაჩნაძე მაშინვე ორ ფილმში გადაიღეს: ამო ბეკ-ნაზაროვმა ნუნუს როლი მიანდო („მამისმკვლელი"), ხოლო ვლადიმერ ბარსკიმ არსენას საცოლის ნენოს თამაში დაავალა.

ამის შემდეგ პერესტიანმა ერთდროულად ორ როლზე მიიწვია ნატო ვაჩნაძე.

თავბრუდამხვევ წარმატებასთან ერთად იმედგაცრუებაც ეწვია.

პასიური, ტანჯული და უნუგეშო გმირის სახე ფილმიდან ფილმში მიჰყვებოდა მსახიობს, რომელიც 1926 წელს წერდა: „დასანანია, რომ როლები, რომელთა თამაშიც მიწევდა, ერთფეროვანი იყო. ყოველთვის პასიურ ქართველ ქალს ვასახიერებდი. ალბათ, იმიტომ, რომ ცხოვრებაშიც სწორედ ასეა. ქართველი ქალის ახალი ტიპი მხოლოდ იბადება. ძალიან მინდა ვითამაშო აქტიური როლი. იქნებ გამომივიდეს ასეთი ხასიათი?"

ბრძოლა ნამდვილ მსახიობად ქცევისათვის გრძელდებოდა. ჯემას როლი მარჯანიშვილის „კრაზანაში" მიზნისაკენ გადადგმული ნაბიჯი იყო. „რაც უფრო მემატებოდა სახელი, მით უფრო ხშირად ვეუბნებოდი საკუთარ თავს, რომ როგორმე უნდა გამეძლო ამ ძნელი ხანისათვის, გადამეტანა საკუთარი პოპულარობა და ნამდვილი მსახიობი გავმხდარიყავი", წერდა ამ პერიოდზე მსახიობი.

1926 წელს ახალგაზრდა რეჟისორებმა ლ. პუშმა და ნ. შენგელაიამ მთავარ როლზე მიიწვიეს ფილმში „გიული". სწორედ გიულის როლი გახდა ნატოს კიდევ ერთი სერიოზული განაცხადი პროფესიულ ოსტატობაზე.

როცა მუნჯი კინო ამეტყველდა, კინემატოგრაფში პირველი ადგილი უმალ თეატრალურმა შემსრულებლებმა დაიკავეს. „თეატრის მსახიობი გვეჯიბრებოდა, – წერდა მსახიობი, – კარგად იყო შეიარაღებული: ფლობდა საკუთარ ხმას, პროფესიონალიზმს. საჭირო გახდა გზა და გზა გვესწავლა ბევრი რამ, რათა არ ჩამოვრჩენილიყავით, რადგაც არ უნდა დაგვჯდომოდა".

ნატო ვაჩნაძე ერთ-ერთი გახლდათ მათ შორის, ვინც გაიმარჯვა. დიდი მსახიობის არქივში ათობით რვეული ინახება, სადაც ბეჯითი მოსწავლის ხელით არის ჩაწიკწიკებული ფონეტიკური სავარჯიშოები. იგი შესაშური შრომისმოყვარეობით მუშაობდა დიქციაზე, რათა ვერავინ შედავებოდა.

ნატო კინოთი ცოცხლობდა და სულდგმულობდა. როდესაც გადაღებებს შორის პაუზა უსაშველოდ გაიწელა, ასისტენტად მუშაობასაც არ თაკილობდა. 1932 წელს იგი შეგირდადაც კი დაუდგა ცნობილ დოკუმენტალისტს ესთერ შუბს, მაგრამ საბოლოოდ ისევ მსახიობობას დაუბრუნდა, რადგან „მთელი გულით, არსებით ამ პროფესიას ეკუთვნოდა და მისთვის სხვა არაფერი არსებობდა".

თავის პირველ ფილმებს ნატო ვაჩნაძე „საყვარელ ბავშვობას" უწოდებდა. „ჩემს ბიოგრაფიას ყველა ბედნიერს უწოდებს, მაგრამ არავინ იცის, რამდენჯერ გამცრუებია იმედი და უკმაყოფილო დავრჩენილვარ საკუთარი თავით. აქამდე ისე მგონია, რომ ჩემი ნამდვილი როლი წინ მელოდება, ხოლო ყველაფერი, რაც დღემდე გამიკეთებია, პირველი ფრთხილი ნაბიჯებია".

„რა ცოტა რამაა, თურმე საჭირო იმისათვის, რომ კინოს წარმატებული მსახიობი გახდე. ჩვეულებრივზე გამორჩეული გარეგნობა და ახალგაზრდობაც საკმარისია. მაყურებელი, რატომღაც, უეცრად მოიხიბლა შენით. მოეწონა თვალები, გული გაუღლო შენმა ცრემლებმა, მოაჯადოვა ღიმილმა. ვინ იცის, შემთხვევაა თუ კანონზომიერება. ანდა ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი ვარსკვლავი გაელვებულა ეკრანზე და უკვალოდ გამქრალა?... კინოში ფეხის მოსაკიდებლად საჭირო იყო ბედნიერი მენატურიდან შრომისმოყვარე მსახიობად ქცეულიყავი", – ასე მსჯელობდა საკუთარ ბედზე ეკრანის ვარსკვლავი ნატო ვაჩნაძე.



● „უკანასკნელი მასკარადი"



● კადრი ფილმიდან „აკაკის აკვანი"

ვინ მოთვლის, კიდევ რამდენჯერ გაახარებდა დიდი მსახიობი თაყვანისმცემლებს, მაგრამ მოულოდნელად მისი სიცოცხლე სასტიკად შეწყდა: 1954 წლის 14 ივნისს თვითმფრინავი, რომლითაც ნატო ვაჩნაძე მოსკოვიდან სამშობლოში ბრუნდებოდა, ჭექა-ქუხილის ზონაში მოჰყვა და დაიღუპა. ასე დაიფერფლა ცაში ლეგენდარული სილამაზე...

**ლია ენუქიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სილამაზის გაკვეთილები



**შემოგთავაზებთ სილამაზის გაკვეთილებს, რაც დაგეხმარებათ სწრაფად და მარტივად აითვისოთ კოსმეტოლოგიის ანბანი.**

უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ საკუთარი კანის ტიპი. ამისათვის, პირის დაბანიდან 1,5-2სთ-ის შემდეგ სახეზე მივიდოთ ქაღალდის ხელსახოცი. თუ ცხიმიანი ლაქა ხელსახოცის ცენტრში და გვერდებზე დარჩა, კანი ცხიმიანია, თუ მხოლოდ ცენტრში, კანი შერეული ტიპისაა, ხოლო თუ ხელსახოცზე ლაქა არ აღინიშნება, კანი მშრალია. კანის ტიპის განსაზღვრა საშუალებას მოგვცემს სწორად შევარჩიოთ კოსმეტიკური საშუალებები.

კანის მოვლა წყლის პროცედურებით იწყება. დაუშვებელია ფტორისა და ქლორის შემცველი ონკანის წყლის გამოყენება, რადგან იგი აშრობს კანს. ონკანის წყალი შეიძლება რამდენიმე ხერხით დავარბილოთ: ხანგრძლივად ვადუღოთ, ან 1ლ. წყალზე 1 ჩაის კოვზი საჭმლის სოდა დავუმატოთ. წყალი არ უნდა იყოს ცხელი ან ცივი, რადგან ცხელი წყალი სისხლძარღვებს აფართოებს, ცივი კი – ავიწროვებს. ამიტომ უმჯობესია გამოვიყენოთ ოთახის ტემპერატურის წყალი.



კანი, სასურველია, გავიწმინდოთ ყოველ საღამოს, დაძინებამდე ერთი საათით ადრე. ძალიან კარგ შედეგს იძლევა კანის ზეითუნის, მზესუმზირის ან სიმინდის ზეთით გაწმენდა. გაწმენდის შემდეგ ზეთის ნარჩენი უნდა მოვიცილოთ ჩაის სუსტ ნაყენში დასველებული ბამბით.

უნივერსალურ გამწმენდად ითვლება თხევადი ემულსიები და ლოსიონები.

მშრალი კანის გასაწმენდად 3/4 ჭიქა ანადუღარ წყალს შევურიოთ ¼ ჭიქა რძე. ცხიმიანი კანისათვის კი რეკომენდებულია შვრიისა და ხორბლის ქატო.

მეცნიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდგორის ბრძოლა: 1121 თუ 1122 წელი?

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დიდი მეფის მრავალწლიანი მოღვაწეობიდან, განსაკუთრებით გამოყოფდა ბოლო ოთხწლეულს. ვინაიდან დავითი 1125 წლის დასაწყისში, 24 იანვარს გარდაიცვალა, ცხადია, ეს წელი ოთხწლეულის სათვალავში ვერ შევიდოდა და აღნიშნულ პერიოდს 1121-1124 წლები უნდა შეესაბამებოდეს. მაგრამ ტექსტში მოყვანილი ქორონიკული დათარიღებით ოთხწლეულის პირველ წლად არა 1121, არამედ 1120 წელი არის დასახელებული. შესაბამისად, მეორე წელი – დიდგორის ომის წელი, 1121 წლით, ხოლო მესამე წელი – თბილისის აღების წელი, 1122 წლით არის დათარიღებული. რაც შეეხება მომდევნო პერიოდს, ის დაუთარიღებელია, მაგრამ ტექსტის ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, დავითის გარდაცვალებამდე ეს პერიოდი ორ წელიწადს უნდა შეიცავდეს. აქედან გამომდინარე, დავითის ცხოვრების ბოლო პერიოდს 5 წელი შეესაბამება, მაშინ, როდესაც ისტორიკოსის განცხადებით ის ოთხწლიანი უნდა ყოფილიყო.

ერთიდაიმავე წყაროს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობა, ცხადია, იმ გარემოებაზე მეტყველებს, რომ აქედან ერთ-ერთი მცდარი უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ მოსაზრებას, რომელიც ვარაუდის დონეზე გამოითქვა ქართულ ისტორიოგრაფიაში (თ. ჟორდანია, მზ. შანიძე). ამ მოსაზრების თანახმად, „დავითის ცხოვრების" თარიღების ერთი ნაწილი, მათ შორის ოთხწლეულის შესაბამისი ფრაგმენტის თარიღებიც, ეკუთვნის არა თხზულების ავტორს, არამედ ადრეულ რედაქტორს, რომელმაც ეს თხზულება „ქართლის ცხოვრების" კრებულში შეიტანა.

ასეთ რედაქტორს კი, რომელიც აღწერილი მოვლენების თანამედროვე ვერ იქნებოდა, ადვილად შეეძლო შეცდომები დაეშვა დათარიღებისას. ამასთან დაკავშირებით, „დავითის ცხოვრების" ტექსტში ყურადღება მიიქცია ერთმა ცნობამ, რომელიც დღემდე განხილვის საგანი არ ყოფილა. კერძოდ, ამ ტექსტის თანახმად, დასავლეთ საქართველოდან ქართლში მოულოდნელად გადმოსული დავითი თურქმანებს ბოტორაში დაესხა „ათორმეტსა თებერვალსა," ხოლო აქედან დაძრული „მოვიდა ღანუხს და მასვე შვიდეულსა პირმარხვასა აღიღო შარვანის ქალაქი კაბალა." „პირმარხვა" აქ მოძრავი მარხვის – დიდმარხვის საწყის დღეს, ხოლო „შვიდეული" – კვირის დღეს აღნიშნავს. ვინაიდან პირმარხვის დღე, რომელიც ყოველთვის ორშაბათია, ტექსტის თანახმად კვირის დღით 14 თებერვალს თანხვდება („მასვე შვიდეულსა"), ცხადია, მოცემულ წელს ამ უკანასკნელსაც ორშაბათი დღე შეესაბამებოდა. აქედან გამომდინარე, პირმარხვის თარიღი 14 თებერვლიდან შვიდი ან თოთხმეტი დღის რიცხვით დაცილებულ კალენდარულ თარიღს უნდა შეადგენდეს. ასეთი დღე კი თებერვლის თვეში 21 ან 28 თებერვლიდან (14+7=21 14+14=28) ერთ-ერთი უნდა იყოს.



• დიდგორის ბრძოლის სადიდებელი ძეგლის პროექტი. ავტორი მერაბ ბერძენიშვილი. არქიტექტორი თ. ჯუნია

საეკლესიო 532 წლიდან პასქალურ ცხრილში, ადვილად შეიძლება დადგინდეს, თუ რომელ წელს უნდა დამდგარიყო პირმარხვა 21 ან 28 თებერვალს. ცხრილით სარგებლობისას სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ტექსტში 1120 წლით დათარიღებულ პირველ წელს პირმარხვის კალენდარული დღე არა 21 ან 28 თებერვალს, არამედ 1 მარტს შეესაბამებოდა. სამაგიეროდ, ჩვენს მიერ საძიებელი თებერვლის ორი თარიღიდან ერთ-ერთი, კერძოდ კი 21 თებერვალი, მომდევნო 341 ქორონიკონის ანუ 1121 წლის პირმარხვის დღეს დაემთხვა.

აღნიშნული თანხვდენა იმაზე შეიძლება მიუთითებდეს, რომ ისტორიკოსი განცხადებული ოთხწლეულის პირველ წლად არა 1120, არამედ 1121 წელს გულისხმობდა. ეს ახლად გამოვლენილი თარიღი დაეჭვების საბაბს არ იძლევა, ვინაიდან ის კვირის დღით, თვისა და რიცხვით არის გადმოცემული. ერთდროულად სამი მონაცემის თანხვდენით მიღებული თარიღი კი ცხადია, სანდო უნდა იყოს. ამ თარიღის სიზუსტეს ისიც ადასტურებს, რომ მისი შესაბამისი 1121 წელი ზუსტად ემთხვევა ოთხწლეული პერიოდის რიგით პირველ წელს.

ახალი თარიღის გამოვლენა საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ მთელი რიგი ქრონოლოგიური მონაცემები. კერძოდ, ტექსტში 1120 წლის ნაცვლად 1121 წლით უნდა დათარიღდეს ბოტორაში თურქმანთა განადგურება, კაბალას აღება, შირვანის დარბევა და ა.შ. მეორე წლით, ანუ 1122 წლით – ხუნანზე თავდასხმა და თურქმანთა ამოწყვეტა, ბარდავის დარბევა და, რაც მთავარია, დიდგორის ბრძოლა, რომელიც აქამდე ზემოთ მოხსენებულ მოვლენებთან ერთად 1121 წლით თარიღდებოდა.

თბილისის აღებასთან დაკავშირებული მესამე წელი, რომელიც ტექსტში მოხსენებულია როგორც „მეორესა წელსა" და 423 ქორონიკონით ანუ 1129 წლით არის დათარიღებული, ცხადია, 1123 წლით უნდა თარიღდებოდეს.

ეს გადათარიღებები რომ სრულიად სამართლიანია, ამას საბოლოოდ ადასტურებს ერთი წერილობითი წყარო, რომელიც ასევე აქამდე არ ყოფილა სათანადო განხილვის საგანი. ეს წყარო შ. თარხნიშვილის თანახმად, წარმოადგენს ვატიკანის ბიბლიოთეკის ბორჯას ფონდში დაცული N4 ქართული ხელნაწერის („მამათა მოძღვრებანის") ჩანაწერს, რომელიც იუწყება, რომ „ოდეს ესე დაიწერა, ქორონიკონი იყო სამას ორმეოც და სამი. მას ჟამსა მოიწუა ტფილისი ქალაქი დავითის მიერ დიდსა მის ხელმწიფისა..." ასე რომ, 1123 წელი (343+780=1123) ნამდვილად უნდა მივიჩნიოთ თბილისის აღების წლად.

ახლად გამოვლენილი თარიღების ფონზე ყურადღებას იმსახურებს არაბი ისტორიკოსის მუჰამედ ალ-ჰამავის ქრონოლოგიური მონაცემები, რომელიც დიდგორის და თბილისის მოვლენებს ჰიჯრის 517 წლით ანუ ჩვენი წელთაღრიცხვით 1122 წლის 12 მარტიდან დაწყებულ და 1123 წლის 28 თებერვლით დამთავრებული პერიოდით ათარიღებდა. აქედანაც ჩანს, რომ დიდგორის ბრძოლას ადგილი ჰქონდა 1122 წელს, ხოლო თბილისი დავითს აუღია 1123 წლის იანვარ-თებერვალში.

თბილისის აღების ფრაგმენტს ტექსტში მოსდევს გაზაფხულზე შირვანში სულთნის შემოჭრის ამბავი, რომელიც თითქოს მომდევნო წლის მოვლენებს უნდა აღწერდეს, ვინაიდან იწყება სიტყვებით: „მეორესა წელსა." ამის მიუხედავად, ორივე ფრაგმენტში ერთი და იმავე წლის ამბები უნდა იყოს მოთხრობილი, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ თითქმის ერთი წელი დავითმა სრულ უმოქმედობაში გაატარა. ეს კი გამორიცხულია, ვინაიდან ისტორიკოსის სიტყვებითვე, ოთხწლეულის თითოეული წელი გადატვირთული იყო სხვადასხვა მოვლენებით. სულთნის ფრაგმენტის ცალკე წელიწადთან შესაბამისობა იმ მხრივაც არის გამორიცხული, რომ მაშინ ოთხწლეული ოთხის ნაცვლად ხუთი წლისგან უნდა ყოფილიყო შედგენილი, ასე რომ, მეორე გამოთქმა „მეორესა წელსა," როგორც ჩანს, „მეორესავე წელსას" მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო გადმოცემული, ხოლო მესამე, ე.ი. 1123 წელს თბილისის აღებასთან ერთად, ადგილი უნდა ჰქონოდა შირვანში შემოჭრილი სულთნისა და მისი დამხმარე რანის ათაბაგის დამარცხებას, შირვანის „თავადი" ქალაქის გულისტანის აღებას და სხვ.

დაუთარიღებლობის მიუხედავად, ადვილად შეიძლება მეოთხე, ანუ 1124 წლის შესაბამისი ტექსტის გამოყოფა, რომელშიც, წინა წლების მსგავსად, მოვლენათა მთელი სპექტრი არის აღწერილი (დმანისის აღება, დარუბანდელის დამარცხება, ანისის აღება, შირვანის მთლიანად დაპყრობა და სხვ.) ამრიგად, ამ წლით მთავრდება ოთხწლეულის სათვალავი, რომელიც მოპოვებული ქრონოლოგიური მონაცემების საფუძველზე 1121-1124 წლებით თარიღდება. ცხადია, რომ ამიერიდან ამ ოთხწლეულის თითოეული წლის ნებისმიერი მოვლენა ახალი თარიღებით უნდა იქნეს წარმოდგენილი. მათ შორის კი, განსაკუთრებით, აღსანიშნავია დიდგორის ბრძოლა და თბილისის აღება, რომელთა ჭეშმარიტი თარიღები, როგორც აღმოჩნდა, არა 1121-1122, არამედ 1122 და 1123 წლებს შეადგენს.

**რაულ ჩაგუნავა**
ქიმიის მეცნ. კანდიდატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიროვნების ყოველმხრივი განვითარება

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მოითხოვს ახალი ადამიანის აღზრდას, ისეთი ადამიანის ფორმირებას, რომელიც არა მარტო შეესატყვისება მოწინავე მეცნიერებასა და ტექნიკას, არამედ თავადაც გამოდის ამ ტექნიკური პროგრესის მძლავრ „დამჩქარებლად“.

აღზრდას ადამიანის ჩამოყალიბებაში ცენტრალური ადგილი უკავია. რა დიდიც არ უნდა იყოს სოციალური გარემოს ზეგავლენა მის განვითარებაზე, საზოგადოებას მაინც არ შეუძლია ენდოს ამ პროცესის სტიქიურ დინებას. იგი ისწრაფვის იმოქმედოს ადამიანზე, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაზე, უხელმძღვანელოს მის ფორმირებას, წარმართოს იგი თავისი ამოცანების შესატყვისად. ადამიანი პიროვნებად მხოლოდ საზოგადოებაში ყალიბდება. ამასთანავე, ადამიანი საზოგადოების უბრალო ნაყოფი კი არ არის, ის თავად ქმნის საზოგადოებას და მისი განვითარების ხელშემწყობი აქტიური ძალაა.

ადამიანის ყოველმხრივი განვითარების პრობლემა შორეულ წარსულში წარმოიშვა, მას საფუძვლად ცხოვრებისეული მოთხოვნები დაედო. პიროვნების ჩამოყალიბება და განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების ორგანიზაციასთან. საზოგადოების კლასობრივმა დაყოფამ მოახდინა ფიზიკური და გონებრივი შრომის გამიჯვნა, რასაც, ცხადია, თავის დროზე პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ პროცესს ჩანასახშივე თან დაჰყვა გონებრივი და ფიზიკური შრომის შეერთების ტენდენციაც. ადამიანს ახასიათებს შემოქმედების თანდაყოლილი უნარი. ამიტომ ფიზიკური შრომა როდი გამორიცხავს მისდამი შემოქმედებით მიდგომას, ამასთან, ყოველგვარი გონებრივი შრომის შედეგები გულისხმობს მათ პრაქტიკულ გამოყენებას.

აღორძინების ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეცნიერებისა და კულტურის ჰუმანისტურ იდეას, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდას. ეს იყო დრო, რომელმაც ბუმბერაზები წარმოშვა, ბუმბერაზები აზრის სიძლიერით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით. იმ დროს მცხოვრები თითქმის ყველა ღირსშესანიშნავი ადამიანი შორეულ მოგზაურობაში იყო ნამყოფი, რამდენიმე ენას ფლობდა და სხვადასხვა დარგში მოღვაწეობდა. ეს იყო დრო, როცა ევროპის სულიერ ცხოვრებაში მოხდა ღრმა გარდაქმნები. ეს გახლდათ უდიდეს გეოგრაფიულ აღმოჩენათა და პირველ ბურჟუაზიულ კონსტიტუციათა შექმნის ხანა, ლეონარდო და ვინჩისა და მიქელანჯელოს გენიალურ ქმნილებათა ეპოქა, დრო, როდესაც ჩამოყალიბდა ევროპის უდიდესი ერები.

საზოგადოებრივი წარმოება წინსვლის გარკვეულ ეტაპზე მოითხოვდა მწარმოებლის ყოველმხრივ განვითარებას. ასე რომ, ადამიანის ჰარმონიული განვითარების მოთხოვნას ობიექტური საფუძველი აქვს. საზოგადოებრივი წარმოების განვითარება პიროვნების ჰარმონიული განვითარების პირობებს ქმნის.

ყოველმხრივი განვითარების პროცესი ადამიანის სულიერი სიმდიდრის წყაროა. მოღვაწეობის რომელიმე ერთი სფეროს პროფესიული დაუფლებისათვის აუცილებელ წინაპირობას ფართო მომზადება წარმოადგენს. რაც უფრო მრავალმხრივი იქნება იგი, მით უფრო უკეთ შესძლებს ადამიანი ერთ-ერთში გამოავლინოს თავი. გოეთეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი „ერთის შექმნით სხვასაც ქმნის... ამ ერთში, სრულყოფილად შექმნილში, იგი ხედავს ყველა იმის სიმბოლოს, რაც სრულყოფილებაში ხორციელდება“.

ვიწრო ტექნიკური სპეციალიზაცია ადრე თუ გვიან მარტივ ხელოსნურ ჟონგლიორობამდე მიგვიყვანს. მხოლოდ საკუთარი პროფესიით შემოფარგვლას „პროფესიული კრეტინიზმი“ უწოდეს. თავისუფალი სამყარო ყველა ადამიანს არ გადააქცევს რაფაელად, მაგრამ ყველას, ვისაც რაფაელის უნარი აქვს, მისცემს შესაძლებლობას, მთლიანად გაშალოს და გამოავლინოს ეს უნარი. განთლებულია ადამიანი, ვისაც აქვს არა მარტო სპეციალობა და თავის საქმე დაწვრილებით იცის, არამედ ერკვევა ხელოვნებაში, მეცნიერების მიღწევებში. ასეთ ადამიანს ესმის მთელი კონცერტი, რომელიც მის გარშემო არის გამართული, ყველა ბგერა მისთვის მისაწვდომია. ისინი ქმნიან ერთ ჰარმონიას, რასაც ჩვენ კულტურას ვუწოდებთ. ამავე დროს, იგი თავადაც უკრავს ერთ-ერთ გარკვეულ ინსტრუმენტზე და თავისი წვლილი შეაქვს საერთო სიმდიდრეში. ასეთია ინტელექტუალურად განვითარებული ადამიანი.

პიროვნების უნივერსალური, ჰარმონიული განვითარების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ისეთი განვითარება, როცა ერთი მოღვაწეობა ამდიდრებს მეორეს, როცა ერთი ფორმულირებული მოთხოვნილება წარმოადგენს სხვა მოთხოვნილებათა წარმოქმნის პირობას, როცა ერთი გატაცება იწვევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიროვნების მრავალმხრივ ინტერესთა განვითარებას.

„არც ერთ დარგში არ შეიძლება იყო სულიერად განვითარებული, — წერს ჰეგელი, — თუ არ გაქვს ესთეტიკური გრძნობა". ადამიანის ესთეტიკური ურთიერთობა გარე სამყაროსთან უნივერსალურია. საკუთარ თავთან ურთიერთობასაც ადამიანი „სილამაზის კანონების მიხედვით" ქმნის.

ტექნიკური ცოდნის უკმარისობა ჯერ კიდევ არაა დიდი უბედურება — ცოდნას ყოველთვის შეიძენ. ბუნებრივი მონაცემების ნაკლებობა უფრო დიდი ნაკლია, ხოლო, თუ ადამიანს გულით არ უყვარს თავისი პროფესია, არ აქვს საქმისადმი მზარდი და წრფელი ინტერესი, მაშინ საქმე სრულიად უიმედოა. საქმის, არჩეული სპეციალობის ძალით შეყვარება, ისევე როგორც სხვა ადამიანის ძალით შეყვარება, თითქმის შეუძლებელია. როცა ტაძრის აგებისას მშენებლებს კითხეს, თუ რას აკეთებდნენ, ერთმა უპასუხა: „ხელურიკით ქვებს დავათრევ, ეშმაკმა დალახვროს", მეორემ თქვა: „ცხოვრების სარჩოს ვშოულობ", მესამემ კი ამაყად მიუგო: „მე ტაძარს ვაგებ!"

ძველი საბერძნეთის დიდი მოაზროვნე, ატომისტიკის ფუძემდებელი დემოკრიტე ძალიან მდიდარი იყო. იგი სახელმწიფოს მეთაურად აირჩიეს. მის სადიდებლად ფულიც მოჭრეს და ზედ მისი სახელი ამოტვიფრეს. დემოკრიტეს შეეძლო ესარგებლა პატივისცემით და მშვიდად ეცხოვრა, მაგრამ იგი სამშობლოში არ დარჩა და ცოდნის შესაძენად შორეულ ქვეყნებში გაემგზავრა. „ბრძენი კაცისათვის კარი ყველგან ღიააო", — ამბობდა იგი. სიცოცხლის უმეტესი ნაწილი მოგზაურობაში გაატარა. იგი მოგზაურობდა არა როგორც ვაჭარი, არამედ როგორც მკვლევარი. ყოველი გემი, რომელსაც იგი ქირაობდა, ძვირი ღირდა, სარგებელი კი არაფერი ჰქონდა. ეგვიპტეში, ბაბილონსა თუ ინდოეთში მხოლოდ ცოდნას აგროვებდა. მთელი ფული გზაში დახარჯა, შინ კი ღარიბი დაბრუნდა. ძმას რომ არ შეეფარებინა, ლუკმაპურიც არ ექნებოდა.

სამშობლოში დიდ პატივს სცემდნენ დემოკრიტეს, მან კი ქარაფშუტა ყმაწვილივით უცხო ქვეყანაში მიმოფანტა თავისი სიმდიდრე. ამან ისე აღაშფოთა თანამოქალაქენი, რომ იგი სამართალშიც კი მისცეს. სასამართლოზე, თავის მართლების ნაცვლად საკუთარი თხზულების კითხვას შეუდგა. წაყენებულ ბრალდებებსა და მის წიგნს შორის თითქოს არაფერი იყო საერთო, მაგრამ დემოკრიტემ ისე მომხიბლავად დახატა სამყაროს სურათი, რომ ბრალმდებლებს დაავიწყდათ თავიანთი ბრალდება. მოსამართლენი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დემოკრიტეს ქალაქის კანონები არ დაურღვევია. მართალია, მოგზაურობაში დიდძალი ფული დახარჯა, მაგრამ სხვა, უფრო დიდი სიმდიდრე — ცოდნა მოიტანა შინ. ჯერ არც ერთი ვაჭარი არ დაბრუნებულა ასეთი მოგებით. მოსამართლეებმა დაადგინეს, მისცენ დემოკრიტეს დახარჯული სიმდიდრის ნახევარი და სიცოცხლეშივე ბრინჯაოს ძეგლი დაუდგან.

მომხიბლავია დემოკრიტეს თავისუფლების შინაგანი მოთხოვნილება, როგორც ჭეშმარიტების მაძიებლის აუცილებელი თვისება. ამბობდა კიდეც: „დემოკრატიულ სახელმწიფოში სიღარიბე სჯობია, მონარქიულში სიმდიდრეს, ისე როგორც თავისუფლება სჯობს მონობასო". „ბედნიერება და უბედურება სულშია" — ამ იდეითაა განმსჭვალული დემოკრიტეს მრავალი გამოთქმა. „კეთილგონიერია ის, ვინც კი არ ნაღვლობს იმას, რაც არა აქვს, არამედ ხარობს იმით, რაც გააჩნია". „არა ამქვეყნიური ძალები და სიმდიდრე ხდის ადამიანს ბედნიერად, არამედ სიმართლე და მრავალმხრივი სიბრძნე".

ჰერაკლიტემაც მეფის ტახტს ფილოსოფოსობა ამჯობინა.

ჯორდანო ბრუნოსგან მოითხოვდნენ, რომ უარი ეთქვა თავის შეხედულებებზე და ეპასუხა: „დიახ". ამით სიცოცხლესაც შეინარჩუნებდა და ტანჯვასაც აცდებოდა. კიდევ ბევრის გაკეთებასაც შეძლებდა თავის სიცოცხლეში. ბოლოს და ბოლოს, სინამდვილეში პრაქტიკულად რა შეიცვლებოდა იმით, რომ მას დადებითად ეპასუხა ინკვიზიტორთა კითხვაზე? დედამიწა ხომ სულ ერთია მაინც იბრუნებდა. ბრუნო კი პასუხობს: „არა!" და ამ ერთი სიტყვის გამო მოწამებრივი სიკვდილით სჯიან — წვავენ კოცონზე. სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა, რადგანაც წარსული ცხოვრებისათვის ხაზი უნდა გადაესვა და სხვა ადამიანად გადაქცეულიყო.

ვერავითარმა გაჭირვებამ ვერ მოდრიკა ღატაკი ბრძენი დიოგენე. ძველ თიხის კასრში ცხოვრობდა და ამბობდა: „მეფეებზე ბედნიერი ვარო". მონათა ბაზარში გასაყიდად რომ გაიყვანეს, მყიდველს უთხრა: „თუ გსურს ბატონი იყიდო და არა მონა, მაშინ მე მიყიდეო".

როდესაც ალექსანდრე მაკედონელი მთავარსარდლად გამოაცხადეს, — გადმოგვცემს პლუტარქე, — სახელმწიფოს მრავალმა მოღვაწემ და ფილოსოფოსმა მოწიწებით მიულოცა მას ეს მაღალი წოდება. ამასვე მოელოდა დიოგენისაგან. მაგრამ დიოგენე ოდნავ ყურადღებასაც არ აქცევდა ალექსანდრეს ირგვლივ მომხდარ ამბებს. მაშინ მთავარსარდალი ამალის თანხლებით თვითონ გაემართა ფილოსოფოსთან. და აი, ერთმანეთს შეხვდა ორი ამაყი ადამიანი — ქვეყნიერების მფლობელი ალექსანდრე და კასრის მფლობელი დიოგენე. მთავარსარდალი თავაზიანად მიესალმა ფილოსოფოსს, რომელიც ამ დროს წამოწოლილი იყო და მზეზე თბებოდა, და ჰკითხა: „ხომ არაფერი გჭირდებაო?". დიოგენემ მხოლოდ ეს სთხოვა: „ცოტა იქით გაიწი, მზეზე ნუ მეფარებიო!". წასვლისას ალექსანდრეს უთქვამს: „ალექსანდრე რომ არ ვიყო, დიოგენობას ვინატრებდიო".



**რამაზ გახოკიძე**
თსუ ბიოორგანულ კათედრის გამგე,
პროფესორი

(გაგრძელება იქნება)

# თქვენთან ვარ, ძალიან მიყვარხართ!

ალექსანდრე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ მოსკოვის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო, რომ მისი მეცნიერული კვლევით დაინტერესდნენ. სწავლის დასრულების შემდეგ კათედრაზე დატოვეს, სადაც ლექციებს კითხულობდა, თან პარალელურად ქალთა უმაღლესი კურსების მსმენელებს ასწავლიდა. სწორედ იქ გაიცნო ლამაზი პოლონელი ქალიშვილი ზინაიდა მოსურსკაია და ცოლად შეირთო. ახალგაზრდა წყვილის სიყვარული კიდევ უფრო განამტკიცა პატარა ნინოს დაბადებამ. გოგონას მამა ქართულად ელაპარაკებოდა, დედა რუსულად. რუსი ძიძა კი ქართულ იავნანას უმღეროდა, ბ-ნმა ალექსანდრემ რომ შეასწავლა.



შაბათობით მათთან ჩვეულებრივ ქართველი სტუდენტები იკრიბებოდნენ. დიასახლისი ჩაითა და ნამცხვრით უმასპინძლდებოდა. ნინოც იქვე თამაშობდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ესმოდა მამის სიტყვები:

მალე სამშობლოში დავბრუნდებით!.. მანამდე კი მის მიერ დაარსებულ სტუდენტთა სათვისტომოს პატრონობდა. ახალგაზრდებს ქველმოქმედთა შემოწირულობას თანაბრად უნაწილებდა.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს მეცნიერ-გეოგრაფი ოჯახთან ერთად საქართველოში დაბრუნდა, სადაც მოუთმენლად ელოდნენ ახლობლები, ნათელ მოგონებად დარჩა ქ-ნ ნინოს სოფელი ძევერა, დიდი სახლი, ხეხილით სავსე ეზო. ქალები სადილის მზადებას დილიდან იწყებდნენ. პატარა ნინო მათთან ერთად ხალისით აგუნდავებდა ცომს და ცდილობდა თონეში ჩაეკრა. ყოველდღიურად დიდი სუფრა იშლებოდა, რადგან მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდათ: ბებო, პაპა, მამიდები, ბიძები, მათი შვილები, შვილიშვილები.

საღამოობით სოფლის გოგო-ბიჭები სოფლის დიდ მოედანზე იკრიბებოდნენ, სიცოცხლით სავსე ნინოც მათთან ერთად მღეროდა და ცეკვავდა.

თბილისში ვერაზე ორსართულიან სახლში ცხოვრობდნენ. სახლის პატრონი გერმანელი იყო. მისი ოჯახის ერთი წევრი ნინოს გერმანულს და ფრანგულს ასწავლიდა, მეორე კი მუსიკის გაკვეთილებს უტარებდა.

შვიდი წლის ნინო სკოლაში რომ შეიყვანეს, ტოლებისაგან იმდენად გამოირჩეოდა ცოდნით, რომ პირველის ნაცვლად მესამე კლასში დასვეს. თხუთმეტი წლისამ სკოლა ექსტერნად დაამთავრა და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა.

ანატომიის კათედრის ხელმძღვანელი ალექსანდრე ნათიშვილი თავიდანვე დაინტერესდა ნინოს ნიჭით და წარჩინებული სტუდენტი გვერდით ამოიყენა. ცოტა ხანში ნინომ კათედრის ასისტენტს მემედ კომახიძეს დაუკავშირა თავისი ბედი.

მათ ხშირად ხედავდნენ სამხატვრო გამოფენებზე, თეატრებში, პრემიერებზე, კონცერტებზე. ხელოვნება დღესაც ქ-ნ ნინოს ჰობია, შესანიშნავად ხატავს და უკრავს.

მან ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ანატომიის კათედრაზე დაიწყო მუშაობა. 26 წლისამ დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 33 წლისამ – სადოქტორო დისერტაცია.

ომის დროს ქ-ნი ნინოს მეუღლე ბ-ნი მემედი ჰოსპიტლის მთავარ ქირურგად მუშაობდა. შინ დაღლილი ბრუნდებოდა, მაგრამ ძალას ის მატებდა, რომ ოპერაციები, კარგი შედეგებით მთავრდებოდა. პროფესორი ალექსანდრე ჯავახიშვილი, რომელიც იმხანად სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, სიძეს და ქალიშვილს გვერდში ედგა და ამხნევებდა.

ომის შემდეგ ქ-ნ ნინოს მიენიჭა დოცენტის, ხოლო 1953 წელს – პროფესორის წოდება. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ალექსანდრე ნათიშვილის გვერდით მუშაობდა, რომელიც თავის მხრივ ყურადღებას და რჩევას არ აკლებდა ახალგაზრდა მეცნიერს.

ნინო და მემედი მომხიბვლელობით, ერუდიციით, პროფესიონალიზმით საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყვნენ. მათ დიდი სიყვარულის გარდა ერთმანეთთან პროფესიული ინტერესები აკავშირებდათ. როცა მემედი სისხლძარღვებზე რთულ ოპერაციას აკეთებდა, ასისტენტობას ხშირად მეუღლე უწევდა.

ბევრი მეგობარი ჰყავდათ მოსკოვში, ქირურგთა საზოგადოებაში, რომელთა შორის იყვნენ აკადემიკოსები ალექსანდრე ვიშნევსკი და ბორის პეტროვსკი. როცა დიდი მეცნიერები სამეცნიერო საკითხებზე ცხარედ კამათობდნენ, ნინო და მემედი გასაოცარი ტაქტით აშოშმინებდნენ მათ.

ისინი ხან ერთად ბრუნდებოდნენ შინ, ხან ცალ-ცალკე. ვინც პირველი მოვიდოდა, სადილსაც ის ამზადებდა. მერე დასხდებოდნენ და ერთმანეთს ჩვეული იუმორით უამბობდნენ რა გადახდათ იმ დღეს.

მემედ კომახიძე იყო ბრწყინვალე ქირურგი-კლინიცისტი, მეცნიერი, ორგანიზატორი, ახალგაზრდების აღმზრდელი. ფართო დიაპაზონის ქირურგისთვის არ არსებობდა ტექნიკურად მიუდგომელი ორგანო. გაკეთებული ჰქონდა ათასობით ოპერაცია ადამიანის ორგანიზმის თითქმის ყველა არეში: თავის ქალასა და თავის ტვინზე, პერიფერიულ ნერვებზე, გულზე, მუცლის ღრუსა და მენჯის ორგანოებზე, კიდურებზე, მაგისტრალურ სისხლძარღვებზე. გამოქვეყნებული ჰქონდა სამასზე მეტი ნაშრომი, 32 მონოგრაფია.



ეროვნული ბიბლიოთეკა



● ნინო მეუღლესთან ერთად

ქ-ნი ნინო ხან პარიზშია, როგორც ქალთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, ხან ამსტერდამში ან ლონდონში, როგორც საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარე. ხშირად კითხულობს ლექციებს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში, გამოდის მოხსენებით კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ ენებზე. ყველგან ტაშით აჯილდოვებენ.

ქ-ნი ნინო პირველ რიგში მეცნიერი და მკვლევარია. მან უკვე გამოაქვეყნა 262 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორის 7 მონოგრაფიაა. ბევრი მათგანი დაიბეჭდა უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალებში, რასაც გამოხმაურება და აღიარება მოჰყვა. ბოლო სამეცნიერო ნაშრომმა „სისხლძარღვთა პლასტიკა" ნამდვილი სენსაცია მოახდინა. ნინო ჯავახიშვილმა მსოფლიოში პირველმა დაამტკიცა, რომ ვენებს შეუძლია არტერიების შეცვლა. დღეს ამ მეთოდს წარმატებით იყენებენ გულის იშემიური დაავადებების ოპერაციების დროს. 1961 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1979 წელს აკადემიკოსად.

...ოჯახში სამი აკადემიკოსი ცხოვრობდა – ალექსანდრე, მემედი, ნინო. ალექსანდრე ჯავახიშვილმა ას წლამდე მიაღწია, ბოლომდე იშრომა და ლოგინად არ ჩავარდნილა, ისე უჩუმრად წავიდა იმქვეყნად. ცხოვრება ღლის ადამიანებს, განსაკუთრებით ქირურგებს. დროის შეუნელებელი რიტმი და საოპერაციო მაგიდასთან გატარებული ყოველი დღე საგრძნობლად ამცირებს ქირურგის ცხოვრებას. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თავის პროფესიას „შეეწირა" მემედ კომახიძე, თუმცა ამქვეყნიური ვალი კაცურად და პირნათლად მოიხადა.

შვილი არ ჰყოლიათ, მაგრამ ნინოს და მემედის შვილები ის სტუდენტები არიან, რომლებიც ახლა პროფესორებად, დოქტორებად, დოცენტებად, კანდიდატებად მუშაობენ. შვილი არ ჰყოლიათ, მაგრამ მათ ოჯახში ნინოს სამი დისშვილი გაიზარდა, დაქალდა. ისინი მემედს მეორე მამად თვლიან, ნინოს – მეორე დედად, რადგან მათი დედა ეთერ ჯავახიშვილი, პროფესიით გეოლოგი, უმეტესად შინ არ იყო, ველზე მუშაობდა.

სიცოცხლე გრძელდება. ნინო თავს უფლებას არ აძლევს საქმე მიატოვოს. ამას არც მემედი მოუწონებდა. ის დღესაც მორფოლოგიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობს. მისთვის დილა იმედიანად თენდება. ადრე დილით უკვე სამსახურშია. თანამშრომლები სიყვარულით და პატივისცემით შესცქერიან.

საღამოობით კი მოუთმენლად ელიან ოჯახის წევრები – სამი ქალიშვილი, ექვსი შვილიშვილი, ორი შვილთაშვილი. ხომ არ დაიღალა, ხომ კარგადაა? ნინო ღიმილით ბრუნდება შინ: „თქვენთან ვარ, ძალიან მიყვარხართ".

**ლია კაკაბაძე**



● ნინო ჯავახიშვილის ნახატი

# ნინო ბურდული: ადამიანი მანამ არ ბერდება, სანამ სიყვარულის უნარი აქვს

**სულის მშვენიერება და უბრალოება მსახიობ ნინო ბურდულის ერთგვარი სავიზიტო ბარათია. მასთან ერთი შეხვედრაც კი საკმარისია იმისათვის, რომ თავისი გასაოცარი გულწრფელობითა და სისადავით დაგიპყროთ. ასეთივე ბუნებრივი, გულწრფელი და ეფექტურია იგი სცენასა თუ ეკრანზე.**

**ნინო ჭიაურელების რძალია, ჭეშმარიტი სიყვარული უდევს საფუძვლად მის ურთიერთობას კინორეჟისორ ანდრო ჭიაურელთან და სწორედ ეს სიყვარულია ცხოვრებას რომ ულამაზებს და უმსუბუქებს. უფროსი ვაჟი – სანდრო, უკვე თვრამეტი წლისაა, უმცროსი – ნიკოლო (ნიკა) კი – ათის.**

**ეს ისე, ძალიან მოკლედ, დანარჩენს კი თავად ქ-ნ ნინოს საუბრიდან შეიტყობთ.**



– მართალი გითხრათ, თეატრზე არც კი მიოცნებია, კინომსახიობობა მინდოდა. სამწუხაროდ, კინოში ძალიან ცოტა როლი მაქვს ნათამაშევი, ძირითადად თეატრალური როლებით ვარ დაკავებული... თუმცა, სადღაა ქართული კინო, მაგრამ მაინც... გული მწყდება, რომ კინოში ვერ დავიმკვიდრე ადგილი. მართალია, ამ ბოლო დროს ტელესერიალებში მიწევს გადაღება, მაგრამ კინო მაინც სულ სხვაა.

**– მსახიობობაზე ბავშვობიდანვე ოცნებობდით?**

– არა, ეს სურვილი მოგვიანებით გამიჩნდა, თუმცა ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა წარმოდგენების გამართვა, ცეკვა, ცალკეული სიუჟეტების გათამაშება... მოკლედ, ამ მხრივ ჩამოუყალიბებელი მიდრეკილებები მქონდა, მხოლოდ სკოლის ბოლო კლასებში გადავწყვიტე, რომ მსახიობი გამოვსულიყავი. მართალი გითხრათ, გამოცდები ძალიან ცუდად ჩავაბარე – ქალბატონი ლილი იოსელიანისა და მიშა თუმანიშვილის გარდა, კომისიის ყველა წევრმა ორიანი დამიწერა. მაშინ ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი იყო, რას ითხოვდნენ ჩემგან. მესამე ტურზე ერთი ძალიან ჩვეულებრივი ეტიუდი მომცეს, სადაც, მოქმედებათა რიგი უნდა მომეფიქრებინა, მაგრამ ვერაფრით ვერ გავიგე „მოქმედებათა რიგი" რას ნიშნავდა. ამ ტურზე მე და მარინა კახიანი ერთად გავდიოდით. მარინა ბალერინა იყო, ძალიან კარგად ცეკვავდა და იმის მაგივრად, რომ ჩემი ეტიუდი მომეფიქრებინა და მომემზადებინა, აუდიტორიის ღია კარიდან სიამოვნებით ვუყურებდი მარინას წარმოდგენას. როცა ჩემი რიგი მოვიდა, მივიღე კიდეც ორიანები, თუმცა ლილი იოსელიანმა თავის ჯგუფში მაინც ამიყვანა, შემდეგ ბატონ მიშა თუმანიშვილთან მოვხვდი კინომსახიობთა თეატრში... ამჟამად თავისუფალი მსახიობი ვარ – სხვადასხვა თეატრებში ვმოღვაწეობ...

**– და რას გაძლევთ სხვადასხვა თეატრებში მოღვაწეობა?**

– ერთი და იგივე რეჟისორი, ნაწარმოებების ჟანრის მიუხედავად, ყოველთვის მაინც ერთ სამყაროს ქმნის. მე კი სწორედ განსხვავებული „სამყაროები" მიზიდავს, რისი შემოთავაზებაც მხოლოდ სხვადასხვა რეჟისორებს შეუძლიათ, საოცრად მსიამოვნებს ასეთი ცვლა...

**– თქვენი წარმატებული კარიერის დასაწყისად რომელი როლი მიგაჩნიათ?**

– „კარიერა" პირობითად დავარქვათ და ობიექტურად რომ შევხედოთ, ალბათ, ვერც წარმატებულს ვუწოდებთ. ეს უფრო სირთულეებით სავსე პერიოდებია... ისე, ჩემი პირველი სპექტაკლი იყო ჰაუპტმანის „მარტოსულნი", სადაც ძალიან კარგი როლი მქონდა – მე რომ მიყვარს ისეთი...

**– და როგორი როლი გიყვართ?**

– უფრო ისეთი პერსონაჟები მიყვარს, რომელთაც რთული ცხოვრება აქვთ. დადებითი და იოლად მისაღები პერსონაჟები არ მაინტერესებს. სწორედ ასეთი იყო ანა მარი ჰაუპტმანის პიესაში, თუმცა მაშინ მესამე კურსზე ვიყავი და რამდენად გავიაზრე ჩემი გმირის რთული ხასიათი, ვერ გეტყვით, ალბათ, ინტუიციით ვგრძნობდი ყველაფერს. მეოთხე კურსზე ჯულიეტას როლი ვითამაშე სპექტაკლში „რომეო და ჯულიეტა." თუმცა, ჩემთვის ჯულიეტა უფრო მითია, ვიდრე როლი, პიესა კი – სიყვარულის ჰიმნი.

**– მიუხედავად ამისა, საინტერესოა, ცხოვრებაში როდის აღმოჩნდით ჯულიეტას როლში?**

– მე მგონი, ოთხი წლიდან (იცინის)... მახსოვს, ჩემს ეზოში ცხოვრობდა ერთი ბევრად უფროსი ბიჭი და პირველად ის შემიყვარდა. ვაიმე, თან ძალიან მიყვარდა!.. პატარა ვიყავი, კი არ დავდიოდი, სულ დავრბოდი, რომ დავვეცემოდი, ის მპატრონობდა და სახლში ავყავდი. ეზოში პინგ-პონგის მაგიდა იდგა, გოგონებს ახლოს არ აკარებდნენ, მე კი მისი ხათრით მათამაშებდნენ. დღეს პინგ-პონგს რომ კარგად ვთამაშობ, მისი დამსახურებაა... საერთოდ, ჩემთვის „შეყვარება", დღემდე იმის ნიშანია, რომ ცოცხალი ვარ. ადამიანი მანამ არ ბერდება, სანამ სიყვარულის უნარი აქვს. მოკლედ, ბევრჯერ ვიყავი შეყვარებული, მაგრამ ერთადერთი სიყვარული, რომელმაც წლებს და უამრავ სირთულეს გაუძლო, არის ჩემი მეუღლე – ჩემი შვილების მამა...



ეროვნული ბიბლიოთეკა



● ფილმი „ყავა და ლუდი"

**– ბატონი ანდრო, ანუ თქვენი „რომეო" სად და როდის გაიცანით?**

– ოო, ანდრო ბევრად უფრო ადრე გავიცანი, ვიდრე მივხვდებოდი, რომ ის ჩემი რომეოა (იცინის)... ერთ პერიოდში ვსწავლობდით თეატრალურ ინსტიტუტში, ანდრო – კინოსარეჟისოროზე, მე – სამსახიობოზე, მაგრამ სხვადასხვა ადგილას გვქონდა ლექციები და ერთმანეთს ვერ ვხვდებოდით. პირველად მისი საკურსო ფილმის გადაღებისას შევხვდით, სადაც მეც მქონდა პატარა როლი. წლების შემდეგ ისევ ფილმის გადაღებისას შევხვდით ერთმანეთს – ფილმს ახლა უკვე მისი მეგობარი იღებდა, ანდრო ასისტენტი იყო, მე – მსახიობი. გადაღებები ყირიმში გვქონდა და შეიძლება ითქვას, იქ უფრო კარგად გავიცანით ერთმანეთი. შემდეგ თვითონ დამკავა თავის სადებიუტო ფილმში. მიუხედავად იმისა, რომ „პაწაწუნა" როლი მქონდა, დიდი გატაცებით ვიმუშავე. ფილმის დასრულებისას უკვე დაქორწინებულები ვიყავით. ახლა რომ ვუკვირდები, ძალიან ბევრი საერთო გვაქვს, ბევრი რამით ვგავართ და რაც დრო გადის, კიდევ უფრო მეტად ვემსგავსებით ერთმანეთს (სიცილი ძალიან უხდება)... ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს იმ ფაქტს, რომ ორივეს ერთი პროფესია გვაქვს, სხვა პროფესიის ადამიანთან ასეთი ჰარმონიული ოჯახური ურთიერთობა ვერც კი წარმომიდგენია...

**– თუ გახსოვთ ქორწინებამდე რაზე ოცნებობდით?**

– ქორწინებამდე და ახლაც ვოცნებობ საკუთარ სახლზე, რისი საშუალებაც არასოდეს მქონია. ვთვლი, რომ ოჯახი ცალკე უნდა ცხოვრობდეს. იმ ესთეტიკის მიღწევა, რომელიც მე მომწონს, საკუთარი სახლის გარდა, სხვაგან შეუძლებელია. მიყვარს მეტი სივრცე, ნაკლები ნივთები, მყუდრო კუთხეები, ორიგინალური განათებები...

**– არ გიყვართ სამკაულები?**

– მე არ ვატარებ, თორემ სხვებზე მომწონს. მითუმეტეს, თუ იმ ადამიანს უხდება... სხვათა შორის, როდესაც მე და ანდრო დავქორწინდით, ანდროს ზომის ბეჭედი კი აღმოვაჩინეთ, მაგრამ ჩემი ზომისას ვერსად მივაგენით, ბოლოს რაც იყო, ის ვიყიდეთ. ოცდახუთ დეკემბერს დავქორწინდით და იმ ღამესვე წავედით საქორწინო მოგზაურობაში დაგომისში. მახსოვს, ჩვენს ქორწილში ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე (ანდროს ბებია) ცეკვავდა და მთხოვეს, მეც მასთან ერთად მეცეკვა. ფიქრის გორაზე, სახლში, სადაც ახლა ერთი მსახიობის თეატრია, მაგიდები ისე იყო გაშლილი, რომ გამოსვლა ვერ მოვახერხე და მაგიდაზე გადამიყვანეს ბიჭებმა – რის გამოც თავი ძალიან უხერხულად ვიგრძენი.

ქალბატონი ვერიკო არაჩვეულებრივი ქალი იყო, გულით ერთდროულად ატარებდა ტკივილსაც და სიხარულსაც. როცა მისი რძალი გავხდი, უკვე საკმაოდ ხანდაზმული გახლდათ და ხანგრძლივი ურთიერთობა ვერ მოვასწარით, მაგრამ, მახსოვს, მანამდე რამდენჯერმე მეგობრებთან ერთად ფილმების საყურებლად მივედით მათთან და ერთხელ მკითხა კიდეც: რატომ დადიხარ ანდროსთან ერთადო? საოცრად ჭკვიანი და დაკვირვებული ქალი იყო და, როგორც ჩანს, ჩვენს ურთიერთობაში რაღაც ისეთი დაინახა, რის გამხელასაც ჯერ არ ვაპირებდით. სანდრო ალბათ, ორი თვის თუ იქნებოდა, ვერიკო რომ გარდაიცვალა. მახსოვს, პირველად ბავშვის სანახავად რომ მოვიდა, აღფრთოვანებული დარჩა. პატარებს უმეტესად სძინავთ, ეს კი აბრიალებდა დიდ ლურჯ თვალებს და, დახედა თუ არა ვერიკომ, პირველი რაც თქვა, ეს იყო: „Божественный ребёнок".

**– ქალბატონო ნინო, ერთხელ მითხარით, რომ, თუ ოჯახს შექმნი, ის უნდა იყოს ისეთი, როგორიც მე მაქვსო. მაინც როგორი ოჯახი გაქვთ?**

– არსებობს შეყვარებულობა და არსებობს ისეთი სიყვარული, რომელსაც ვეღარაფერი დაარღვევს. სწორედ ეს სიყვარული მმატებს ძალას, როდესაც ჩემს ცხოვრებაში რთული მომენტები იჩენს თავს. ასეთ ძლიერ გრძნობაზეა დაფუძნებული ჩემი ოჯახი, რომელიც ვფიქრობ, ნებისმიერ გამოცდას გაუძლებს.

**– რა თვისებას აფასებთ მამაკაცში?**

– ვერ ვიტყვი, რომ არსებობს რაღაც განსაკუთრებული თვისებები, რაც ქალს უნდა ჰქონდეს და მამაკაცს – არა, ან პირიქით. რაც შეეხება ქალის ქალურობას და მამაკაცის მამაკაცურობას, ეს უბრალოდ ფიზიოლოგიური მონაცემებია და სხვა არაფერი... საერთოდ კი, ადამიანში ვაფასებ თავშეკავებულობას, გულწრფელობას, ღირსების შეგრძნებას, საკუთარ თავში დარწმუნებულობას...

**– მეუღლის დამოკიდებულობა თქვენი შემოქმედების მიმართ?**

– მაქსიმალურად ობიექტური. საერთოდ, როცა რაიმე ახალ როლს ვთამაშობ, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ მისი შეფასებაა, რადგან ვიცი, რომ იგი არასოდეს მომატყუებს და ყოველთვის გულწრფელად მეტყვის აზრს. საერთოდ კი თვლის, რომ კარგი მსახიობი ვარ (იცინის)...

ნინო ბურდული რომ კარგი მსახიობია, ამას მის მიერ განსახიერებული თეატრალური (კინომსახიობთა, მარჯანიშვილის, ახმეტელის, სამეფო უბნის და თეატრალური სარდაფის სცენაზე) და კინოროლებიც (ფილმებში: „სანამ წვიმა გადიღლიდეს," „საფეხური," „სკაპენის ოინები"...) მოწმობს. გარდა ამისა, ამ ორიოდე წლის წინათ ჟურნალისტადაც მოგვევლინა „რუსთავი 2-ის" გადაცემაში „სასამართლო დარბაზი," სულ ახლახანს კი წამყვანის როლში ვიხილეთ გადაცემაში „სუსტი რგოლი." თარგმნის პიესებს გერმანულიდან... ერთი სიტყვით, უქმად მყოფს ვერ ნახავთ, გაგიკვირდებათ კიდეც როგორ ახერხებს ყველაფერს, მაგრამ გაიცნობთ თუ არა, მიხვდებით, რომ ეს უბრალოდ მისი ცხოვრების სტილია.

**თამარ ოთიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ემართებათ  ჩვენს შვილებს?!

**ოჯახური კონფლიქტების, ძალადობის შედეგად ყველაზე მეტად ბავშვები ზარალდებიან. პრობლემურ ოჯახებში პოტენციური მოძალადეები იზრდებიან. ბოლო წლები, ეკონომიკურ-სოციალური თვალსაზრისით, ძალიან მძიმე გამოდგა საქართველოსთვის. როგორ მოქმედებს შექმნილი მდგომარეობა მოზარდებზე, ტოვებს თუ არა უარყოფით კვალს მათ ფსიქიკაზე?**

**თქვენთვის საინტერესო კითხვებზე გვიპასუხებს ფსიქოლოგი**

**თეა გოგოტიშვილი**

– ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, კრიზისული მდგომარეობა განხილულია როგორც პიროვნების ზრდის საშუალება, ოღონდ როცა არსებობს კრიზისიდან გამოსვლის ხელშემწყობი პირობები. რთული პირობები, თავისთავად, არ წარმოადგენს პიროვნების ტრავმატიზაციის ფაქტორს, თუკი ის მიკროსამყარო, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს, კომპენსაციას უწევს არსებულ პრობლემებს. ასეთ დროს ეს სირთულეები ბავშვზე არ ტოვებს ტრავმის კვალს. აქ, პირველ რიგში, საჭიროა, აქცენტი ბავშვისა და მშობლის ურთიერთობაზე გავაკეთოთ. ამასთანავე, როდესაც ვლაპარაკობთ ასაკობრივ პრობლემებზე, აუცილებელია გავითვალისწინოთ ასაკობრივი დიფერენციაცია.

**– რომელია ყველაზე რთული ასაკი?**

– ფსიქოლოგიურად ყველაზე მნიშვნელოვანია 3-დან ექვს წლამდე და გარდატეხის ასაკი. სამიდან ექვს წლამდე ასაკში სოციალური და ეკონომიკური ფაქტორი მატრავმირებელ ფაქტორად არ განიხილება, რადგან ამ დროს ბავშვის პიროვნული ჩონჩხის ჩამოყალიბებას მიკროსოციუმი განსაზღვრავს. გარდატეხის ასაკში კი მოზარდის ცხოვრებაში მნიშვნელოვნად იჭრება სოციალიზაციის პროცესი.

**– მაშინ, თუ შეიძლება, ვისაუბროთ გარდატეხის მტკივნეულ და პრობლემურ ასაკზე, მისი დაწყებისთანავე ყველაფერი რომ ირევა.**

– თვითონ სიტყვა „გარდატეხა“ მიანიშნებს, თუ რა ხდება ამ დროს ადამიანის ფსიქიკასა და ფიზიოლოგიაში. იწყება სქესობრივი მომწიფება, რასაც თან სდევს სექსუალური ლტოლვა. დღეისათვის აქსელერაციის გამო გარდატეხის ასაკობრივმა ზღვარმა მნიშვნელოვნად დაიწია. თუ ადრე ეს ასაკი 13-14 წლიდან იწყებოდა, ახლა უკვე 10 წლიდანაა სახეზე ამის ფიზიკური ნიშნები, ლაპარაკია სქესობრივი მომწიფების ფიზიკურ ნიშნებზე, რაც პირდაპირი მინიშნებაა ფსიქოლოგიურ გარდატეხაზე.

გარდატეხის ასაკისთვის ტიპიურია ფასეულობათა იმ სისტემის რღვევა, რომელიც ბავშვობაში იყო ჩადებული. უფროსი კარგავს ავტორიტეტს, რაც ამ ასაკისთვის სრულიად ბუნებრივია.

**– ნებისმიერ შემთხვევაში? მიუხედავად იმისა, თუ როგორია უფროსი?**

– ნებისმიერ შემთხვევაში. ამ დროს ხდება მშობლისა და შვილის ურთიერთმიმართების გარდატეხაც. საქმე ისაა, რომ 3-6 წლამდე ასაკში ბავშვს უკვე უყალიბდება მშობლის ხატი, რომელიც გარდატეხის ასაკში ხელმეორე კონსტრუირებას განიცდის, ანუ მშობლის, როგორც პიროვნების გადაფასება იწყება, რაზეც ბევრი ფაქტორი მოქმედებს. შესაბამისად, მშობელი ახალ ადგილს იკავებს ამ განახლების პროცესში.

**– ეს ნორმაა?**

– აბსოლუტური ნორმა. ამიტომაა, რომ ყველა ცივილურ ქვეყანაში მშობლები ფსიქოლოგიურ კონსულტაციას გადიან. მშობლისთვის აუცილებელია სტრატეგიების ცოდნა, რაც განუხრელად უნდა განხორციელდეს ამ პერიოდში. მშობელი უნდა გახდეს შვილის მეგობარი. მთავრდება ურთიერთობა, როდესაც მშობელი კარნახობს შვილს ყველაფერს. აუცილებელია თანასწორი ურთიერთობის დამყარება, სხვაგვარად, კრახი და სრული წარუმატებლობა გარდაუვალია.

ამ პერიოდში მოზარდისთვის ავტორიტეტი მისი თანატოლია. ის მშობელში თავის თანატოლს ვერ ხედავს, რის გამოც მოწიფულობის პერიოდში საკმაოდ ღრმავდება უფსკრული მშობლებსა და შვილებს შორის. თავის მხრივ, მშობლისთვისაც გაუგებარია, როგორ უნდა გახდეს შვილის თანატოლი, იმდენად დიდია ასაკობრივი განსხვავება მათ შორის.

ჰუმანისტური ფსიქოლოგია პირდაპირ იძლევა საამისო მარტივ რეცეპტს, რომელიც თავისთავად გენიალურია, მაგრამ არც ისე ადვილი შესასრულებელი, რადგან უფროსის მხრიდან საკუთარი პოზიციის გადახედვას მოითხოვს.

ძირითადი დებულება, რომელიც უნივერსალურია აღზრდის პროცესში, კონცეპტუალურად ძალიან ახლოსაა ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან, რის გამოც ჩვენთვის განსაკუთრებით ახლობელია. თუმცა გარკვეული კულტუროლოგიური ტრადიციები დაბრკოლებას უქმნის მის განხორციელებას.

პირველი – მშობელი უნდა ცდილობდეს, რომ ძალიან ემპათიური იყოს შვილისადმი. ანუ, შეხვიდე სხვის სხეულში და სხვისი თვალით, გულით, ყურით გაიგო და დაინახო რეალობა. ამ უნარის გავარჯიშება შესაძლებელია. პირველ რიგში, უნდა მოვინდომოთ დაბრუნება იმ ასაკში და თანაც, აუცილებლად იმ ბავშვის ადგილზე, რადგან თითოეული ადამიანი განუმეორებელია. ჩვენ უნდა ვეცადოთ ჩვენივე შვილის „ტყავში შევძვრეთ“, გავხდეთ ის და მისი პოზიციიდან დავიწყოთ სამყაროს ჭვრეტა, რაც ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის ემპათიურობა, რომელიც ზოგისთვის ბუნებრივია, რადგან შეუძლია იყოს გამგები და თანამგრძნობი.

მეორე – ადამიანი, რომელიც კომუნიკაციაში შედის, უნდა იყოს შესატყვისობაში გარე გამოხატულებებსა და შინაგან განცდებთან. ამას ფსიქოლოგიაში ჰქვია კონგრუენტულობა ანუ იყო გულწრფელი ურთიერთობაში, არ იყო თვალთმაქცი, ე.ი.

გამოხატო ის, რასაც გრძნობ, რასაც ფიქრობ და განიცდი. მაგრამ გამოხატულება არ უნდა მოდიოდეს ცდომილებაში შინაგანთან. აი, ეს არის პრობლემა ჩვენს რეალობაში, რადგან ჩვენთან აღზრდის სისტემა ფასადურ, საექსპოზიციო ქცევას გვთავაზობს და აყალიბებს საშინაო და საგარეო ქცევას ადამიანში.

მივედით მესამე პუნქტთან – მშობელი უპირობოდ უნდა იღებდეს ბავშვს, ანუ ბავშვი თავისი კომპლექსების რეალიზაციის წყაროდ არ უნდა აქციოს. ხშირად მშობელი ცდილობს საკუთარი არარეალიზებული სურვილები მოახვიოს თავს ბავშვს, რომლისთვისაც ეს ყველაფერი სრულიად უცხოა. ამ შემთხვევაში მშობელს არ უნდა ბავშვის ბუნებრივი მიდრეკილებების დანახვა და დაჟინებით ცდილობს, თავის თარგზე გამოჭრას ის. ამიტომ ჩემი რჩევა იქნება: ნუ ირგებ შენს თავზე შენს შვილს, პირიქით, შენ თვითონ მოერგე მას.

თუ ეს სამი პუნქტი დაცულია, ე.ი. მეგობრობაც შედგება, რადგან მეგობრობა დაფუძნებულია გაგებაზე, გულწრფელობასა და უპირობო მიღებაზე.

ბავშვს ეუფლება განცდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში გაუგებენ, რაც მისი მხრიდან ტყუილს გამორიცხავს. მშობელი სიტუაციას დაარეგულირებს არა თავსმოხვეული დიდაქტიკით, არამედ აზრთა მეგობრული გაზიარებით. ასეთი თანასწორი ურთიერთობის დამყარება არის იმის უნივერსალური გარანტი, რომ არ გაწყდება მშობელსა და შვილს შორის ის ძალიან ფაქიზი ძაფი, რომლის არსებობაც ხშირად დიდი რისკის ქვეშ დგება.

**– ამ ურთიერთობაში თუ აქვს მნიშვნელობა დედა სახლშია, თუ როგორც დღეს უფრო ხშირად ხდება, გასულია სახლიდან?**

– ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრი არსებობს. ზოგი ფიქრობს, რომ დედა უნდა იყოს სახლში, შვილებთან, რაც არასწორია, რადგან არარეალიზებულ დედას უმძიმესი ფსიქოლოგიური მდგომარეობა აქვს და მის გვერდით ყოფნა გაცილებით მეტ ზიანს მიაყენებს ბავშვს, ვიდრე ეს უკონტაქტობის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს. აქ ხშირად ისმის ასეთი არგუმენტი, რომ ძველად დედა... შეუძლებელია პიროვნება, მისი ცნობიერება კონტექსტიდან ამოგლეჯილად განვიხილოთ. დღევანდელი ადამიანი დიდად განსხვავდება, თუნდაც ერთი წლისწინანდელი ადამიანისგან. დღევანდელობასთან მორგების სირთულე, ზუსტად აქედან მომდინარეობს. როცა პრობლემური ბავშვის დედას ვეუბნები, ბავშვი საბავშვო ბაღშია წასაყვანი, რათა დაძლიოს დედასთან მიჯაჭვულობის პერიოდი, მპასუხობს, რომ სულ სახლშია და მისი ძირითადი საქმე ბავშვის მოვლაა. ბავშვის ბაღში მიყვანა უპატრონობას კი არ ნიშნავს, ეს აუცილებელია სოციალიზაციის პროცესის სწორად აღსაქმელად, რაც ხშირად არ ესმით მშობლებს.



რაც შეეხება კონტაქტის ხანგრძლივობას, რა თქმა უნდა, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გარდატეხის ასაკში. თუმცა ეს კონტაქტი უნდა შემდგარიყო 3-6 წლის პერიოდში, რადგან მთავარი ფასეულობები და პიროვნული ჩონჩხი სწორედ ამ დროს ყალიბდება. შესაძლოა კონტაქტი ხანგრძლივიც არ იყოს, მაგრამ თუ ზემოთ ჩამოთვლილ უნივერსალურ პუნქტებს დაემყარება, მაშინ ნამდვილად სასარგებლო იქნება. როცა პიროვნულობის ბაზისი მყარია, გარდატეხის ასაკში საფრთხე დიდი აღარ არის.

**– ბავშვის გარშემო არსებობს საკმაოდ უფერული გარემო, ამ დროს ტელევიზიით ხედავს სხვა, ცისფერ, უჩვეულო სამყაროს.**

– თქვენ სექსუალურს გულისხმობთ?

**– არა მარტო სექსუალურს, თუმცა არც უამისობაა. ვგულისხმობ იმ ნათელ, ბედნიერ გარემოს, რომელსაც ტელეეკრანზე ვხედავთ. როგორ მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე განსხვავება მის ყოველდღიურ გარემოსა და ტელეეკრანზე ნანახს შორის?**

– სამწუხაროდ, არიან ბავშვები, რომლებსაც ლუკმა-პური ენატრებათ, და ამავე დროს ხედავენ, რომ მის გვერდით სხვები ფუფუნებაში ცხოვრობენ უზრუნველად. ამას ისევ აღზრდის პრობლემებთან მივყავართ. თუმცა ეს დეფიციტი არ ითამაშებს უარყოფით როლს, თუ აღზრდა სწორი კალაპოტით მიდის. ცნობილია, რომ თითქმის ყველა მატერიალურად უზრუნველყოფილი ადამიანი ძალიან დუხჭირ გარემოში იზრდებოდა. აქ იქმნება მოტივაცია, რომ მე უნდა მივაღწიო რაღაცას, არა ქურდობით და ყაჩაღობით, არამედ...

ამიტომ, მთავარია, ამ დეფიციტს სწორი კალაპოტი მიეცეს: მშობელი უნდა იძლეოდეს შრომისმოყვარეობის, პუნქტუალურობისა და თავდადების მაგალითს. შვილს უნდა შთავაგონოთ, ტელევიზორთან არ მოცდეს, რომ დრო ყველაფერზე ძვირფასია და ყველაფერი მიღწევადია, რაც ხელს შეუწყობს ბავშვში მიზანმიმართულობისა და პიროვნული შეუპოვრობის განვითარებას.

მაგრამ თუ მშობელი სხვისი ფუფუნების დანახვისთანავე იტყვის: ეჰ, შვილო, ქვეყანაზე არ არის სამართალი, ჩვენ ასე უნდა გვიჭირდეს და ამათ ამდენი უნდა ჰქონდეთ? რა თქმა უნდა, ასეთ დროს აგური არასწორად იდება და ბავშვიც კომპლექსებით იზრდება. ამიტომ ყველა უარყოფითი მომენტიდან შეიძლება დადებითი მიმართულების აღება. თუმცა საამისოდ საჭიროა დაფიქრება და გარკვეული ცოდნა, რადგან მუშაობს ბუნებრივი გადარჩევა. ვინც პროფესიულად იზრდება, ის გადარჩება და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწევს. დანარჩენები კი... ალბათ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

**ესაუბრა ქეთევან ღოღობერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „იმ დღეს პირველად მე დავწერე ქართული ლექსი“...

საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა, ღირსების ორდენის კავალერმა, პოეტმა ინა დივნოგორცევა-გრიგოლიამ თავისი პირველი შესანიშნავი ნაწარმოებები ჯერ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიის კედლებში შექმნა. ეს იყო რომენ როლანის წიგნის „მიქელანჯელოს ცხოვრების“ გაფორმება, რომელშიც მხატვრული ენის სიმკაცრე, სისადავე, მოხდენილობა და მაღალი ესთეტიკური გემოვნება ერთმანეთს შეერწყა, ყოველივე ეს მხატვარმა მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე შეინარჩუნა.

ინა დივნოგორცევა-გრიგოლიას შემოქმედებით წარმატებად იქცა 1968 წელს შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები. ავტორი ისწრაფვოდა შეექმნა სხვა მხატვართა ნამუშევრებისაგან სრულიად განსხვავებული სახეები და, ამავე დროს, მაქსიმალურად ჩასწვდომოდა პოემის სულისკვეთებასა და დედააზრს, გაეხსნა მისი ჰუმანისტური არსი. ეპიკური წყობითა და სახეთა განზოგადოების ძალით ეს ნამუშევრები ფრესკებს, მონუმენტურ ფერწერას მოგვაგონებს.

ინა დივნოგორცევა-გრიგოლიას წიგნის გრაფიკაში სახვითი ელემენტები ორგანულადაა შერწყმული კარგად შერჩეულ ორნამენტთან და მაღალმხატვრულ შრიფტთან, რაც ნათლად ჩანს მსოფლიო ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებთა მისეულ გაფორმებებში (ლ. ტოლსტოი – „ომი და მშვიდობა“, ბალზაკი – „გამქრალი ოცნებანი“, სერვანტესი – „დონ კიხოტი“, უილიამ თეკერეი – „ამაოების ბაზარი“, პოლ ბურჟე – „ცოდვა სიყვარულისა“, გოეთე – „დრამები“, რაფაელო ჯიოვანოლი „სპარტაკი“ და მრავალი სხვ.).

მხატვრის შემოქმედებითი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპია დამოკიდებულება მეუღლის, მეგობრისა და პედაგოგის, ქართული გრაფიკის დიდოსტატის, საქართველოს სახალხო მხატვრის, შოთა რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატის ლადო გრიგოლიას შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი. ინა დივნოგორცევა-გრიგოლიას მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნები („დაზგური და წიგნის გრაფიკა“, I ტომი, 1990წ. „ლადო გრიგოლია და ქართული შრიფტის ხელოვნების საფუძვლები“ 2003წ.) ქართული კულტურის სულიერ საგანძურს განეკუთვნება.

ქართულ საშრიფტო ხელოვნებასთან ფაქიზი დამოკიდებულება მის პედაგოგიურ მოღვაწეობაშიც აისახებოდა – ბოლო რამდენიმე წელი ასწავლიდა შრიფტის ხელოვნების საფუძვლებს თბილისის დიზაინის აკადემიაში.

მხოლოდ ფერებით როდი გამოხატავდა თავის გრძნობებსა და განწყობას. შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში პოეზია შეუმჩნევლად, თავისთავად მივიდა მასთან. და მაშინ უკვე სიტყვამ „თქვა“ თავისი სათქმელი. ეს არის მღელვარების, მწუხარების, სიხარულის, სიყვარულის და საერთოდ, ცხოვრების გულწრფელი გამოხატულება:

„Стихи ли это?  
Они приходят сами  
Поспешными неровными шагами  
Начём попало оставляя след“.

ასე უბრალოდ აფასებდა ქ-ნი ინა თავის პოეზიას, თუმცა ლექსის მცოდნენი



● კომპოზიცია – „შოთა რუსთაველი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ ინა დივნოგორცევა-გრიგოლიას შემოქმედებას.

„ძირითადად რუსულ ენაზე დაწერილი ლექსები, რა თქმა უნდა, რუსული პოეზიის საკუთრებაა, მაგრამ ჩვენს ქართულ ნიადაგზე, ჩვენს ქართულ სინამდვილეშია აღმოცენებული და ჩვენც გვეკუთვნის“, – წერდა მურმან ლებანიძე, რომლისთვისაც, როგორც თავად აღნიშნავს, სასიხარულო აღმოჩენად იქცა ქ-ნი ინას ლექსები.

აქვე გვინდა შემოგთავაზოთ კოლაუ ნადირაძის თარგმანი, რომელმაც, ვფიქრობთ, სრულიად შეინარჩუნა პოეტის სულიერი და შემოქმედებითი სიმაღლე.



● თამარ მეფე

## ბეთანია

გთხოვ, ბეთანიას წამიყვანო, ჩემო კეთილო!
იისფერ მთაზე შორით რომ ჩანს დამშვენებული,
იგი წრესავით მთებით ირგვლივ გადაკეტილა
მძიმე ლოდებით სიჩუმისა გარინდებული.
თითქოს ზღაპარში იგი ფოთოლთ ცვენას ზეიმობს,
ფიქრში წასული ორი ლანდი იქ დასეირნობს;
თამარის გვერდით დადის ლაშა ჯერ ნორჩი კიდევ,
მსურს მათ ვუამბო, რაღაც ვუთხრა რაც გულში მიდევს,
მსურს გადავხატო მათი სახე, მათი იერი,
ესოდენ ნაზი, მომხიბლავი და მშვენიერი,
გთხოვ, ბეთანიას წამიყვანო, ჩემო კეთილო!
იქ დედამიწის მჭკნარი სუნი ფრესკებზე დაჭქრის,
იქ მაჯისცემა სიცოცხლისა რარიგ ნელია!
დღეს ეგ მჭირდება, დღეს ეგ ჩემთვის სანატრელია!
გთხოვ, ბეთანიას წამიყვანო, ჩემო კეთილო!

ქართული სული, კულტურა, ყოფა იმდენად ორგანული იყო ქ-ნ ინასათვის, რომ ქართულ ენაზეც დაწერა ლექსი.

„არ ვიცი, რატომ, მე დავწერე ქართული ლექსი,
აქ, საბერძნეთში, დელფში, პარნასზე,
მაღალ მთებში, მუზების ახლოს...
იყო ზღაპრული, იდუმალი-დამსხვრეულ კერპში,
და ცოცხალ ქვაში საოცრება დაუმსხვრეველი...
სიმღერასავით მომესმა უცებ ენა ქართული...
იმ დღეს პირველად მე დავწერე ქართული ლექსი...
შევცდი?
არ ვიცი!
მე მეგონა, ვარ მეც ქართველი!...



● შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“. ტარიელი

ინა დივნოგორცევა-გრიგოლიას შემოქმედებითი დანატოვარი დიდია. დახვეწილი გემოვნებითა და მაღალმხატვრული ნიჭით, თავისივე ხელით შექმნილი არაერთი შესანიშნავი წიგნის მაკეტი (ლადო გრიგოლიას „ქართული შრიფტის ხელოვნება“ II ტომი. ლ. გრიგოლიას გაფორმებით ნ. ბარათაშვილის ხუთენოვანი სასაჩუქრე გამოცემა, ლ. გრიგოლიას პორტრეტებისა და ორნამენტების ალბომები) ანდერძად დარჩა ჩვენს საზოგადოებას.

ქალბატონ ინას ბოლო ოცნება, კი მისი პოეზიისა და ფერწერის სრული კრებულის „Тени Палитры“ გამოცემა გახლდათ:

„После всех этих изданий, моя последняя мечта издать книгу моих стихов“.

**მერი ჯაფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაია პლისეცკაია



ამბობენ, ბალერინები არ ბერდებიან. ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ დახედავთ მაია პლისეცკაიას ბოლო ხანებში გადაღებულ ფოტოსურათებს, რომლებზეც ბალერინა ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც ახალგაზრდობისას. წლიდან წლამდე უკეთესი ხდება, რაღაც შთაგონებული, ღრმა სილამაზით ივსება.

იგი უკვე მრავალი წელია სცენაზე გამოდის და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც განსაცვიფრებლად გამოიყურება, რაც მთავარია, ისევ ცეკვავს...

როცა მაია პლისეცკაია როდიონ შჩედრინს მიჰყვებოდა ცოლად, ლილია ბრიკი, რომელიც ძალიან ახლოს იცნობდა ბალერინას, სასიძოს ეხუმრა: „თქვენი არჩევანი მომწონს, მაგრამ მაიას ერთი ნაკლი აქვს – ძალიან ბევრი ნათესავი ჰყავს დედამიწის ზურგზე.“ მართლაც, კბილის ექიმ მიხეილ მესერერის (პლისეცკაიას ბაბუა დედის მხრიდან) ოჯახში თორმეტი ბავშვი იზრდებოდა, რომელთაგან რამდენიმემ ბალეტს დაუკავშირა ბედი.

პლისეცკაიას დედა რახილიც ხელოვნებით გახლდათ გატაცებული, მამას კი – მიხეილ პლისეცკის სრულიად მიწიერი პროფესია ჰქონდა. შპიცბერგენზე გენერალურ კონსულად და ქვანახშირის საბადოების უფროსად მუშაობდა. სწორედ ამ პირქუშ კუნძულზე შედგა პატარა მაიას სცენური დებიუტი დარგომიჟსკის ოპერა „ალში,“ რომელშიც ციცქნა ქალთევზა განასახიერა.

1934 წელს ოჯახი დროებით მოსკოვში ჩამოვიდა და მაია საბალეტო სკოლაში მიიყვანეს, მაგრამ პირველი „საცეკვაო წელი“ ხანმოკლე გამოდგა. მალე მშობლები შპიცბერგენზე დაბრუნდნენ და ქალიშვილიც თან წაიყვანეს, თუმცა მაია იმდენად დარდობდა, რომ გაზაფხულის დადგომისთანავე მამა იძულებული გახდა მოსკოვში დაებრუნებინა.

ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მეცადინეობა დადგენილი წესისა და რიგის მიხედვით მიედინებოდა: პლიე, ფონდიუ, დიდი ბატმანები, გადაყვლეფილი თითები. არადა, ახლოვდებოდა ოცდაჩვიდმეტი წელი, რომელმაც თორმეტი წლის მაიას მაშინ მიუკაკუნა კარზე, როცა გოგონა საპირველმაისო დემონსტრაციისათვის ემზადებოდა. შედეგი – დედის დაპატიმრება, მამის დახვრეტა, დალუქული ბინა.

მაია ბალეტის მსახიობმა, ღვიძლმა დეიდამ სულამიფმა შეიფარა. რომელსაც, ერთის მხრივ, ემადლიერებოდა, რომ თავშესაფარში არ ჩააბარა და საყვარელი საქმიანობის გაგრძელება შეეძლო, მეორეს მხრივ, სულამიფი „გამუდმებით საშინლად მამცირებდა.“

ბალეტი კი თავისი ლამაზი, კაშკაშა ფერებით ძალიან შორს იყო რეალობისა და „გულაგების“ საშინელებისაგან. ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეები დიდი თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობდნენ, მაია ხალისით მირბოდა ძირითადი დასის რეპეტიციებზე და სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალს ლენინგრადელი ბალერინას, ღვთაებრივი ულანოვას არაბესკებს. 1941 წლის 21 ივნისს დიდი თეატრის ფილიალის სცენაზე გამოსაშვები კლასის კონცერტზე ჩაიკოვსკის „ექსპრომტში“ მაია პლისეცკაიას დებიუტი შედგა. დარბაზში გადასახლებიდან დაბრუნებული რახილიც იჯდა. „მოსკოველმა მაყურებელმა ნომერი აღფრთოვანებით მიიღო, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს კონცერტის პიკი იყო. უსასრულოდ ვიხდიდით მადლობას. დედა დარბაზში იჯდა და მე მის ბედნიერ თვალებს ვხედავდი.“ ომის დროს სულამიფის ხელშეწყობით, პლისეცკების ოჯახი სვერდლოვსკში გაემგზავრა და ახლა ნორჩი ბალერინას მოღვაწეობა, ძირითადად, უსაშველო რიგებში დგომით ამოიწურებოდა.

გოგონა ძალიან განიცდიდა უმოქმედობას. ამიტომ ერთ დღესაც თავგანწირული ნაბიჯი გადადგა და მოსკოვში დაბრუნდა. 1943 წელს იგი დიდი თეატრის დასში ჩარიცხეს.

პირველ წარმატებას პლისეცკაიამ „შოპენიანაში“ მიაღწია, მალე გამოუჩნდნენ პირველი თაყვანისმცემლები, ბალეტომანები ახლა უკვე სპეციალურად „პლისეცკაიაზე დადიოდნენ.“ ერთხელ წარმოდგენის შემდეგ მაიას სახელგანთქმული ვაგანოვა მიუახლოვდა და კონსულტაციები შესთავაზა. ეს გახლდათ ის ტრამპლინი, რომელმაც პლისეცკაია ბალეტის ოლიმპზე აიტაცა.

მის ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი ბალეტმა „გედების ტბამ“ ითამაშა. ოდეტა-ოდილიას პლისეცკაია ოცდაათი წლის განმავლობაში ცეკვავდა და ეს პარტია, სულ ცოტა, რვაასჯერ მაინც აქვს შესრულებული. „გედების ტბას“ ზერელედ ვერ იცეკვებ. ყოველი სპექტა-



კლის შემდეგ თავს გამოფიტულად ვგრძნობდი და ძალები მხოლოდ მეორე-მესამე დღეს მიბრუნდებოდა...“

როდიონ შჩედრინი პლისეცკაიამ ლილია ბრიკის ოჯახში 1955 წელს, ჟერარ ფილიპის საპატივცემულოდ გამართულ წვეულებაზე გაიცნო, მაგრამ ხანმოკლე შეხვედრა მხოლოდ სამი წლის შემდეგ გადაიზარდა დიდ გრძნობაში. 1958 წლის აგვისტოში მაია დაფეხმძიმდა და რთული არჩევანის წინაშე დადგა – ბავშვი გაეჩინა და ბალეტი მიეტოვებინა, თუ ცეკვა გაეგრძო. მან მეორე გზა აირჩია.

როდიონ შჩედრინის სახელთან დაკავშირებულია ბალეტები, რომლებსაც პლისეცკაია თამამად უწოდებს „საკუთარს.“ და მაინც, „კარმენზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა, გამუდმებით ჩემში ცხოვრობდა, ხან სიღრმეში ბჟუტავდა, ხანაც ალად ითნთებოდა და გარეთ გადმოფრქვევას ლამობდა...“

როდიონ შჩედრინმა შოსტაკოვიჩის აზრის გათვალისწინებით, ფრანგი კომპოზიტორის, ბიზეს მუსიკა მაქსიმალურად მორგო ქორეოგრაფიულ ინტერპრეტაციებს. ასე დაიბადა „კარმენ-სიუიტა,“ რომელიც კუბელმა ქორეოგრაფმა ალბერტო ალონსომ დადგა.

1971 წელს ბალერინამ „ანა კარენინას“ რეპეტიციები დაიწყო, რომლის მუსიკაც კვლავ შჩედრინს ეკუთვნოდა, ბალეტის იდეა კი ჟაკლინ კენედიმ მიაწოდა, როცა აშშ-ში მისი გასტროლებით აღფრთოვანებულმა უთხრა, ტოლსტოის გმირს მაგონებთო. ტოლსტოის ჩეხოვი მოჰყვა – „თოლია“ და „მანდილოსანი ძაღლით.“

მაია პლისეცკაიას მაღალი წრის ცხოვრებას დღესაც ბევრი შენატრის – იგი ლილია ბრიკის, მისი დის ელზა ტრიოლესა და სიძის ლუი არაგონის უახლოესი მეგობარი გახლდათ. მისთვის ბალეტებს მორის ბეჟარი დგამდა, პიერ კარდენი საკუთარი ხელით სრულიად უსასყიდლოდ ქმნიდა კოსტიუმებს „ანა კარენინასა“ და „თოლიასათვის,“ მის პორტრეტებს შაგალი ხატავდა. რობერტ კენედი კი ყოველწლიურად, ვიდრე ცოცხალი იყო, დაბადების დღეზე, სადაც არ უნდა ყოფილიყო ლეგენდარული ბალერინა, ყვავილების უზარმაზარ კალათასა და უძვირფასეს საჩუქარს უგზავნიდა...

და ყოველივე ამის მიღმა მუდამ იდგა საყვარელი საქმე და ერთგული მეუღლე – ალბათ, სწორედ ამაშია კიდეც მაია პლისეცკაიას „მარადიული ახალგაზრდობის“ საიდუმლო.

**მანანა იმესაშვილი**

# ეკრანი საუკუნის ახალი მბრძანებელი

მსოფლიო მონუსხულივით შეჰყურებს ეკრანს. თითქოს უხილავმა ხელმა ჯადოსნური ჯოხი აიქნია და ეკრანის წინ გააქვავა მთელი სამყარო. მაგრამ ეს ერთი შეხედვით...

საუკუნის დასაწყისში მეცნიერმა ბეხტერეევმა აღმოაჩინა ბგერითი სიგნალებისა და მელოდიების ჯგუფი, რომლის მოსმენისას ადამიანის ცნობიერების ცენტრი ითიშებოდა. ამ დროს მსმენელს მიეწოდებოდა სასურველი ინფორმაცია, რომელსაც კვლავ მოსდევდა მელოდია. მიღებული ინფორმაცია საგულდაგულოდ ილექებოდა ადამიანის ცნობიერებაში. ეს აღმოჩენა გაასაიდუმლოეს და აქტიურად გამოიყენეს სტალინის კულტის შესაქმნელად. დღეს რადიო ტელევიზიამ შეცვალა და ბუნებრივია, გაიზარდა ამ მელოდიის გამოყენების შესაძლებლობები.

ბეხტერეევი აღნიშნავდა, რომ შთაგონებას ადვილად ექვემდებარებიან სუსტი ნებისყოფის ადამიანები. თუმცა ძლიერი ნების მქონე პიროვნებებიც განიცდიან ზეგავლენას დაჰიპნოზებული საზოგადოებისაგან. როგორც ვხედავთ, ნებსით თუ უნებლიეთ, მთელი საზოგადოება ექვემდებარება შთაგონებას.

70-იან წლებში საბჭოთა კავშირში ჩაატარეს ექსპერიმენტი: ექვსკაციან ჯგუფს აჩვენეს ფილმი, შემდეგ მოეწყო მისი განხილვა. ექვსივეს აზრი ემთხვეოდა ერთმანეთს, მაგრამ სრულიად განსხვავდებოდა ფილმის იდეისგან. აღმოჩნდა, რომ ფილმში ჩამონტაჟებული იყო სრულიად განსხვავებული იდეის მატარებელი კადრები. მაყურებელი მას ვერ ამჩნევდა, თუმცა აქტიურად იჭრებოდა მის ცნობიერებაში. ამგვარი ეფექტების გავლენას ხელს უწყობს თანამედროვე ადამიანის გამძაფრებული შეგრძნებები. სახსრების უქონლობის გამო, იგი იძულებულია შეამციროს კვების რაციონი, ნახევრადმშიერი კი ტელევიზორის ყურებისას ძლიერი ემოციური გავლენის ქვეშ ექცევა. მისი ფსიქიკა ან მოდუნებულია, ან ძლიერ აღგზნებული. ასეთ მდგომარეობაში მყოფი პიროვნების სულზე ძალიან ადვილია ზემოქმედება, ტელეჰიპნოზის საშუალებით შესაძლებელი სიცრუის სიმართლედ წარმოჩენა და პირიქით.

წმიდა მამათა ერთსულოვანი მტკიცებით, ბოროტ სულს ყველაზე მეტად ჩვენი ყურადღება სჭირდება, რადგან ეს ის სულიერი ხიდია, რომელიც ადამიანს გარესამყაროსთან აკავშირებს. საკითხავია, რასთან აკავშირებს თანამედროვე კაცობრიობას ეს სულიერი ხიდი – გარესამყაროსთან თუ მავანთა და მავანთა მიერ გამოგონილ სამყაროსთან, სადაც მეძავები, ქურდები, ყაჩაღები და ჯადოქრები დიდების შარავანდედით იმოსებიან, არატრადიციული ორიენტაციის მქონენი დიდი პატივით სარგებლობენ, მათი მოწინააღმდეგეები კი ჩამორჩენილ ადამიანებად წარმოგვიდგებიან.

ჯერ კიდევ 80 წლის წინ პროტოპრესვიტერი გიორგი შაველსკი კინემატოგრაფის შესახებ წერდა:

„კინემატოგრაფს შეეძლო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მაღალი ამოცანების სამსახურში ჩამდგარიყო. სამწუხაროდ, ის აღმოჩნდა ვაჭრების ხელში, რომლებმაც მხოლოდ ერთ მიზანს – მოგებას – გამოდევნებულებმა, ბრბოს ყველაზე ქვენა გრძნობებზე თამაშის იარაღად აქციეს. შედეგი ძალზე სამწუხაროა. იმის ნაცვლად, რომ გაენათლებინა, განევითარებინა, აემაღლებინა მაყურებელი, კინემატოგრაფი აღაგზნებდა და ამძაფრებდა ადამიანთა ქვენა ინსტინქტებსა და ბილწ გრძნობებს. იმის ნაცვლად, რომ გამხდარიყო კულტურის ჭეშმარიტი სკოლა, ის იქცა გარყვნილების სკოლად.“

რაღა შეიძლება ითქვას თანამედროვე კინოსა და ტელევიზიაზე?..

**ნანა ურთაშვილი**

# დაუვიწყარი მოგზაურობა ბრაზილიაში

ბრაზილიის უდიდეს და ულამაზეს ქალაქ სან-პაულოში გაიმართა ენათმეცნიერების ისტორიკოსთა მეცხრე საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც მიწვეული იყო ქართველ მეცნიერთა ჯგუფი. მიწვეულთაგან ორმა მივიღეთ მონაწილეობა კონგრესის მუშაობაში – პროფ. ალ. ფოცხიშვილმა და მე.

ხანგრძლივი ფრენის შემდეგ (6 საათი პარიზამდე, იქიდან კი – 11 სან-პაულომდე) აღმოვჩნდით ბრაზილიის უდიდესი ქალაქის (თითქმის 10-მილიონიანი მოსახლეობა, მეტროპოლიის ფარგლებში – 16 მილიონი) უდიდეს უნივერსიტეტში (8.000 სტუდენტი). ოთხდღიან კონფერენციაზე შევხვდით მრავალ კოლეგას ამერიკის ორივე კონტინენტიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, გულუხვ მასპინძლებს, კონგრესის ორგანიზატორებს – პროფესორებს დიანა ლუზ პესოა დე ბაროს, ედუარდო გიმარაესს, ჟოზე ლუზ ფიორინს, ესმერალდა ვალატი ნეგრაოს და სხვებს. სან-პაულოს დიდმა და კეთილმოწყობილმა უნივერსიტეტმა ორგანიზებულად და გულუხვად უმასპინძლა კონგრესის მონაწილეებს.



სან-პაულომ დიდი შთაბეჭდილება დატოვა კონგრესის მონაწილეებზე. სამუშაო დღე იმდენად დატვირთული იყო (დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე), რომ ქალაქში მხოლოდ საღამოობით ვახერხებდით გასვლას. ქალაქი ფაქტობრივად, ბოლო დღეს დავათვალიერეთ. ვნახეთ ნიუ-იორკზე უფრო დიდი და მშვენიერი ქალაქი, სადაც გრანდიოზული თანამედროვე არქიტექტურული ნაგებობანი ორგანულადაა შერწყმული ადრინდელი საუკუნეების ფრანგულ-პორტუგალიური ბაროკოს სტილის შენობებსა და მოედნებს. ყველაფერს გრანდიოზული მასშტაბები გააჩნია.

სან-პაულოს არქიტექტურის ნიმუშები უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებს სტუმარზე – S (სიგმა) ფორმის გიგანტური შენობა „კოპანი", იტალიური სახლი, რომლის გადასახედი მოედნიდან ხედავ ქალაქის ერთი ნაწილის შთამბეჭდავ პანორამას მისი მონუმენტური შენობებით, ეკლესიებით, გამზირებით, ავტოსტრადებით, ბაღებით, დიდი საუნივერსიტეტო კომპლექსით და სხვ. გაოცებას იწვევს სან-პაულინას გამზირზე მდებარე თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი თავისი გრანდიოზული წითელი სვეტებითა და ფერწერის უმდიდრესი კოლექციით, სადაც უხვად არიან წარმოდგენილნი როგორც აღორძინების ხანის ევროპელი მხატვრები, ასევე იმპრესიონისტები, ექსპრესიონისტები, აბსტრაქციონისტები და მრავალი სხვა მიმდინარეობის თანამედროვე მხატვარი თუ მოქანდაკე. ქუჩები სავსეა ცოცხალი, მომღიმარი, კეთილგანწყობილი ადამიანებით, თუმცა მათი ენა – პორტუგალიური, იშვიათ შემთხვევებში შეზავებული ინგლისურითა და ფრანგულით – ნაკლებად აძლევთ მათ საშუალებას ბოლომდე გამოავლინონ ის კეთილგანწყობა, რომლითაც აღსავსენი არიან ჩამოსული სტუმრების მიმართ.

კონგრესის ბოლო დღეს საინტერესო პაექრობა გაიმართა მათ შორის, ვინც სთავაზობდა თავის ქალაქსა და უნივერსიტეტს შემდეგი კონფერენციის ბაზად. ძირითადი კონკურენცია გაიმართა პროფ. გერდა ჰასლერსა (პოტსდამის უნივერსიტეტი, გერმანია) და პროფ. დუგლას კიბის (ილინოისის უნივერსიტეტი, აშშ) შორის. პატარა საქართველოს მიმართ ინტერესი იმდენად დიდია, რომ მხარეების სადისკუსიო მაგიდასთან მეც მიმიწვიეს, რათა გაეგოთ, თუ როგორია პერსპექტივა თბილისში ანალოგიური საერთაშორისო კონგრესის ჩატარების თვალსაზრისით. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, უპირატესობა ამერიკელს მიანიჭეს – ლინგვისტიკის ისტორიკოსთა მეათე კონგრესი ილინოისის უნივერსიტეტში გაიმართება.

გამოვემშვიდობეთ კონგრესის გულუხვ მასპინძლებს, სხვა მონაწილეებს და ფრანგ და გერმანელ კოლეგებთან ერთად გავემგზავრეთ ოსტაპ ბენდერის საოცნებო რიო-დე-ჟანეიროში.

შედარებით მცირე განზომილებების ოკეანისპირა ქალაქი (5-მილიონიანი მოსახლეობით) საკმაოდ განსხვავდება სან-პაულოსგან – სტატისტიკური მონაცემებით, მოსახლეობის შემადგენლობით, არქიტექტურით, მუდმივი უდარდელობის ატმოსფეროთი, საზეიმო განწყობით, მუსიკალურობით, საერთოდ, ცხოვრების სტილით. არქიტექტურაში მაღალი სასტუმროები და ელიტარული საცხოვრებელი კომპლექსები ჭარბობს, თუმცა იქვე, თითქმის ქალაქის ცენტრში, ულატაკესი რაიონიც არის განლაგებული („ჯურღმულები") დაახლოებით ნახევარმილიონიანი მცხოვრებლით, რომელთა ძირითადი შემოსავალი თვეში 50-100 ამერიკული დოლარის ტოლფასია. ხელმომჭირნე დიასახლისი ახერხებს ამ თანხით ოჯახის რჩენას, ვინაიდან ძირითადი საკვები პროდუქტი (ხილი, ბოსტნეული, პური, რძე) ძალზე იაფია, ისევე როგორც ყოველდღიური ტანსაცმელი – ძირითადად, შორტები, ზღვის ქოშები, უმოკლესი კაბები. მატერიალური მდგომარეობისგან დამოუკიდებლად ყველა მხიარულია, კეთილგანწყობილი, ოპტიმისტური – ეტყობათ, სჯერათ ქვეყნის წინსვლისა და მომავლისა.

ლათინური ამერიკის კონტინენტის ამ უდიდეს ქვეყანას მართლაც ყველაფერი გააჩნია სწრაფი განვითარებისათვის. ქვეყანა, რომელიც აწვდის მსოფლიოს დედამიწის მარაგის 65% ძვირფას და ნახევრად ძვირფას ქვებს, რომელსაც აქვს კარგად განვითარებული მრეწველობა და საკმარისი სახსრები ძველი მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად და გრანდიოზული ქალაქების ასაშენებლად; ქვეყანა, რომელსაც ჰყავს შრომისმოყვარე, ოპტიმისტურად განწყობილი მოსახლეობა, სწრაფი ნაბიჯით მიდის უკეთესი მომავლისაკენ.

ცეცხლოვან რიოში დავათვალიერეთ ჯერ ნახევარკუნძული ქრისტეს უშველებელი ქანდაკებით, რომელიც ქალაქს გადაჰყურებს და თითქოს ლოცავს მას. ქვის გიგანტი ადამიანებს სათნოებით და მოწიწების გრძნობით აღავსებს, მისკენ მიმავალი რკინიგზა ორი მატარებლით (ჩვენი ფუნიკულიორის უფრო რთული ვარიანტი) გაკვირვებს: საოცარია, როგორ მოხერხდა ამ მოშიშვლებულ, ციცაბო, რთული რელიეფის კლდეზე რკინიგზის გაყვანა და შემდეგ რამდენიმე მონის ხელით 15 წელიწადში კლდოვანი მთის ფერდობებზე ტროპიკული ტყის გაშენება.

ვნახეთ რიოს ეგზოტიკური ბოტანიკური ბაღიც. ქალაქის გულში აღმოვჩნდით ხალხური რეწვის შესანიშნავ გამოფენა-გაყიდვაზე, სადაც მრავალი ეგზოტიკური სუვენირი იყო გამოფენილი – ხელით ნაქსოვი ფარდაგები, ძაფის, ხის, მეტალის, ნახევრად ძვირფასი ქვების სუვენირები, რომელთა ფასი ძალზე დაბალია (იმგვარივე ნაწარმი ელიტარულ მაღაზიებში ათმაგ და ოცმაგ ფასებში იყიდება).

რიო ცნობილია თავისი 13 პლაჟით – ჩვენ კაპაკაბანას ცნობილ პლაჟთან ვცხოვრობდით, სადაც ხშირად ტარდება მაღალი მოდის მსოფლიო ჩვენებები და ფესტივალები. ვნახეთ ორკილომეტრიანი ქუჩა ტრიბუნებით, სადაც ყოველი წლის თებერვალში იწყება ორთვიანი ტრადიციული ბრაზილიური კარნავალი. ტრიბუნებზე მჯდომი მაყურებლები და ჟიური აფასებენ ჯგუფების ცეკვას, კოსტიუმებს, მოკაზმულ ავტოპლატფორმებს, შემდეგ კი მხიარული, თვალისმომჭრელი ცოცხალი ნაკადი მიედინება რიოს სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბნისაკენ. ტრიბუნებზე ადგილი 40-დან 700 ამერიკულ დოლარამდე ღირს. ძვირადღირებული ბილეთების ფასში შედის მაყურებლის მომზადებაც თვით საკარნავალო სვლაში მონაწილეობისათვის. სასტუმროების მომსახურების ფასი იმ პერიოდში გასამმაგებულია. ძვირადღირებული, მაგრამ დაუვიწყარი შთაბეჭდილება იქმნება!

საკარნავალო ქუჩიდან გავემგზავრეთ ძველი და ახალი ეკლესიების სანახავად. პორტუგალიური ბაროკოს ტიპის ნაგებობანი ევროპაშიც მრავლადაა, მაგრამ ის საოცარი კონუსისებური გიგანტური სან-სებასტიანის კათოლიკური ტაძარი ერთია და უნიკალური. მის არქიტექტორს ესოდენ უჩვეულო ტაძრის ასაგებად რომში მოუხდა გამგზავრება პაპისგან ნებართვის მისაღებად. მონუმენტური ბეტონისა და მეტალის გრანდიოზული ვიტრაჟებიანი კონსტრუქცია – თანამედროვე ბრაზილიური ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუშია. ეს საოცარი ნაგებობა, რომელშიც შერწყმულია გოთიკისა და ტრადიციული სამხრეთამერიკული პირამიდების ელემენტები, გაკვირვებს, გავსებს მაღალი ღმერთის პატივისცემით, მისი სიდიადისა და ადამიანის სიმცირის შეგრძნებით.

საოცარია, რატომ უვლიან გვერდს ჩვენი ტურისტული კომპანიები ასეთ ქვეყანას. ბრაზილიაში მოგზაურობა ბევრად უფრო შთამბეჭდავი და ნაკლებადღირებულია, ვიდრე შეერთებულ შტატებსა თუ კანადაში, მით უმეტეს, იქაურ ძვირფას ქვებსაც თუ გავითვალისწინებთ, ესოდენ უყვართ ქართველ ქალბატონებს.

ერთ დილას ჩემს სასტუმრო ოთახში ზარის ხმა გაისმა. რუსულად მესაუბრებოდა ვინმე დიანა, – თქვენი გვარი ოფისში გადმომცესო. დიანა ნახევრად ქართველი, ნახევრად ოსი გოგონაა, რომელიც 3 წელია რიოში ცხოვრობს. მისი ოჯახი იქ დაახლოებით 8 წლის წინ დაფუძნდა. მის ხმაში გაკვირვება ისმოდა – პირველად ვხვდები ქართველებს ბრაზილიაშიო. მთხოვა შევხვედროდი. დავეთანხმე – საინტერესოა რიოში მცხოვრები ერთადერთი ქართული ოჯახის წარმომადგენლის ნახვა. კოლეგაც დამემგზავრა.

დიანა მანქანით მოვიდა. იგი „ამსტერდამ საუერ“-ის სისტემის თანამშრომელია. ეს ძვირფასი ქვების მაღაზიებისა და მუზეუმების მფლობელი უმდიდრესი კომპანიაა ბრაზილიაში, რომელსაც ყველა დიდ ქალაქში აქვს განშტოებები. სან-პაულოში ვერ მოვასწარით ასეთი მუზეუმის ნახვა, ამიტომ დიანას წინადადება მივიღე. გზად გავარკვიე, რომ ჩემმა გვარმა დიანამდე გიდის საშუალებით მიაღწია. ჯგუფის არც ერთი სხვა წევრის გვარი არ იყო გადაცემული ფირმისათვის. მივხვდი, რომ გიდი ხელმძღვანელობდა ერთი მოსაზრებით – ის სამკაულების მოყვარული და პოტენციური მყიდველების გვარებსა და ტელეფონების ნომრებს გადასცემდა ფირმას. ამით ორივე მხარე სარგებლობდა – თვითონაც და ფირმაც. ეს ჩემთვის ნათელი იყო. ჯგუფის დანარჩენ ქალბატონებს სამკაულები თითქმის არ ეკეთათ, ამიტომ ფრანსისკომ მე დამადგა თვალი. ძალიან კარგი. ამის წყალობით ვნახეთ უნიკალური ქვების მუზეუმი.

მუზეუმიდან დერეფნის საშუალებით გადადიხარ მაღაზიაში, რაც არსებითად ტურის დამაგვირგვინებელი ნაწილია. ჩინელმა მენეჯერმა გამოფინა უამრავი სამკაული – ყველაზე იაფი ათმაგად მეტი ღირდა, ვიდრე ქალაქის სხვა მაღაზიებში და მით უმეტეს ხალხური რეწვის გამოფენაზე. მენეჯერმა ყელზე ამეთვისტოს სამკაული გამიკეთა, რომელიც 800 დოლარი ღირდა (შეღავათიანი ფასით). ის მხოლოდ სამახსოვროდ გადაღებულ სურათზე შემომრჩა.

დიანას ფარული გეგმა ჩემთვის თავიდანვე ნათელი იყო, მაგრამ რა მექნა, მისი ხათრითაც კი ვერაფერი შევიძინეთ იმ მაღაზიაში. გუნება გაუფუჭდა. ვიცოდი, ამის შემდეგ არ გამოჩნდებოდა, თუმცა მანამდე წერილების წაღებასაც მთხოვდა და ქართველ დედასაც ხშირად ახსენებდა, რომელსაც სახლში უნდა მივეპატიჟეთ. გასაგები იყო, რომ აღარც წერილებს მოიტანდა და აღარც დედას შეგვახვედრებდა. ბ-ნი ალექსანდრე კი ბოლო დღემდე ელოდა, სურდა ნოდარ დუმბაძის წიგნი ეჩუქებინა. დიანა და მისი ოჯახი დუმბაძის წიგნების საკითხავად არ გადასახლებულან ბრაზილიაში. კაპიტალისტური ქვეყნის მკაცრი კანონებით უნდა იცხოვრონ, რათა თავი ირჩინონ. ხელი მაინც შევუწყვე – მენეჯერთან და თანამშრომლებთან ძალიან შევაქე დიანას თითქმის დავიწყებული რუსულ-ქართული და მისი ენერგიულობა; დარწმუნებული ვარ, მენეჯერმა ეს დაიმახსოვრა, თუმცა ორივეს ერჩივნა ერთი ათასდოლარიანი სამკაული მაინც მეყიდა. სხვა დროს იყოს.

ქრისტეს ქანდაკებასთან სხვა შეხვედრაც გვქონდა – რუს გიდთან, სოხუმელ ტატიანა ელფიმოვასთან, რომელიც რუსი მენავთობეების ჯგუფს ახლდა. აშკარად გაეხარდა ქართველების ნახვა და მათთან დალაპარაკება. სოხუმის კვლევითი ინსტიტუტიც გაიხსენა და მისი დირექტორიც ბ-ნი სალუქვაძე. ბ-ნ ალექსანდრეს მრავალ კითხვას პასუხობდა, თუმცა შიშობდა ჯგუფის წევრების განაწყენებას. თავის, როგორც გიდის, რეპუტაციას და სამსახურს რისკავდა რუსი ტატიანა იმისათვის, რომ ქართველის ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა, თბილისელ გოგონას კი წერილების დაწერა და მოტანა დაავიწყდა... სოხუმელ ტატიანას ნოსტალგია ჰქონდა სოხუმზე, საქართველოზე, თბილისელი დიანა კი მთლიანად იყო ჩაფლული ფინანსურ პრობლემებში და კარიერასთან დაკავშირებულ გეგმებში.

რიოში ყოფნის ბოლო შტრიხიც ნიშანდობლივი იყო ამ ქალაქისთვის – გიდმა შემოგვთავაზა „პლატფორმის“ შოუს ნახვა. ეს ერთგვარი მინი კარნავალია. მხოლოდ ერთი დარბაზით შემოფარგლული. ნახევრად გაშიშვლებული, თვალისმომჭრელ საკარნავალო კოსტიუმებში გამოწყობილი მოცეკვავე ქალები და არანაკლებ კოლორიტულად გამოწყობილი მათი პარტნიორები, ცეცხლოვანი


თამარ ცინცაძე პერუანელ ყმაწვილთან

რიტმები, ტამტამები, მაყურებლის ჩაბმა ცეკვა-სიმღერაში ძალზე შთამბეჭდავია.

და ბოლო შეხვედრა, რომელიც მნიშვნელოვან მოგონებად დამრჩა. რიოდან პარიზში გამომგზავრების დღეს პლაჟზე გავედით. სუვენირებით მოვაჭრეებიც იქვე გაჩნდნენ. მათ შორის გამოირჩეოდა 16-17 წლის პერუანელი ახალგაზრდა თხელი, მოქნილი სხეულით, ინკებისათვის დამახასიათებელი ლამაზი, ნატიფი სახით, გრძელი გაშლილი თმით. სხვა მოვაჭრეებისაგან განსხვავებით, მისი მანერა მომაბეზრებელი არ იყო. თავის ხელნაკეთ სამკაულებს თავს არ გახვევდა. ბიჭის თავშეკავებულობით მოხიბლულებმა სწორედ მისგან შევიძინეთ სუვენირები. გამოველაპარაკე. სხვებისგან განსხვავებით, რომლებმაც საერთოდ არ იცოდნენ, რა ქვეყანაა საქართველო და სიტყვას „ჯორჯია“ ამერიკის შტატს უკავშირებდნენ, ამ პერუანელმა ახალგაზრდამ მაშინვე იკითხა – ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაო? ეს ნახევრად შიშველი, მოშავო-მოწითალო კანის, შავი, ირიბად გაჭრილი თვალების ინტელიგენტური და მშრომელი, დაუზარელი ბიჭი ამ ქვეყნის და კონტინენტის სიმბოლოდ აღვიქვი. არ მავიწყდება ეს ლამაზი, სხარტი, გონებაგახსნილი, საკუთარ პატარა „ბიზნესზე“ დაყრდნობილი, დამონებული და გაძარცვული ხალხის შთამომავალი, დღეს დამოუკიდებელი და თავისუფალი, მოძრავი, ცვლილებების მოლოდინში მყოფი ახალგაზრდა. ეს შეხვედრა ლათინური ამერიკის კონტინენტის გაცნობის ლოგიკური და მაჟორული დასრულება იყო.

**თამარ ცინცაძე**

პროფესორი, ამერიკანისტი



# ფრთხილად – სოკო!

უკანასკნელ ათწლეულში საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, აღინიშნება სოკოვან დაავადებათა (მიკოზების) ზრდა. ბოლო 5 წლის მონაცემებით, კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტში კონსულტირებული დერმატოლოგიური ავადმყოფებიდან ყოველი მე-4-5 სოკოვანი დაავადებითაა ავად.

განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული ტერფების მიკოზი, მოიმატა ონიქომიკოზების (ფრჩხილების სოკოვან დაავადებათა) რიცხვმაც. დასნებოვნება ხდება დაავადებულ ადამიანთან ან მის ნივთებთან (ფეხსაცმელთან, თეთრეულთან) კონტაქტით. დაავადების ხელშემწყობი ფაქტორებია ოფლიანობა, მიკროტრავმები (მანიკურის ან პედიკურის გაკეთების, ვიწრო ფეხსაცმლის ხმარების დროს). ხშირია გამწვავება ზაფხულის პერიოდში, ზამთარში დაავადება განიცდის რემისიას („ჩაწყნარებას"), თუმცა მისი გამომწვევი სოკო-პარაზიტი კვლავ ბუდობს კანზე და მისთვის სასურველი პირობების შექმნის შემთხვევაში აქტიურდება.

კლინიკური სურათი მრავალფეროვანია. დაავადება უპირატესად იწყება თითებს შუა ნაოჭებში კანის დაზიანებით. პროცესი თანდათან ვრცელდება დანარჩენ კანზე და ფრჩხილის ფირფიტაზე. დაზიანებული ადგილების კანი სქელია, დაფარულია ქატოსებრი ქერცლით. ფრჩხილების დაზიანება უმეტესად იწყება თავისუფალი კიდიდან. ის ყვითლდება, სქელდება, ადვილად იფხვნება. ზოგიერთ შემთხვევაში ფრჩხილის ფირფიტა იმდენად სქელდება, რომ მტკივნეულია ფეხსაცმლის ტარების დროს.

დროთა განმავლობაში ხდება პროცესის გავრცელება, ანუ გენერალიზაცია, როდესაც კანისა და ფრჩხილების ფირფიტის დაზიანებასთან ერთად მიკოზის კერები აღინიშნება სხეულის სხვადასხვა ადგილას, რასაც სხვადასხვა მიზეზით ორგანიზმის იმუნური ძალების დასუსტება, ანტიბიოტიკების, კორტიკოსტეროიდული პრეპარატების და ციტოსტატიკების ხანგრძლივი და დიდი დოზებით მიღება იწვევს.

დღეისათვის ტერფების მიკოზის მკურნალობა სირთულეს არ წარმოადგენს. კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტში შემუშავებულია მისი მკურნალობის ეფექტური სქემა და იგი ითვლება სავსებით განკურნებად დაავადებად. მკურნალობის ხანგრძლივობა და საშუალებანი დამოკიდებულია დაავადების კლინიკურ ფორმაზე და მისი დაწყება შეიძლება ნებისმიერ დროს, როგორც გამწვავებისას, ასევე რემისიის პერიოდში.

დაავადების გავრცელებული ფორმისა და ონიქომიკოზის შემთხვევაში მიზანშეწონილია სისტემური ანტიმიკოზური პრეპარატების (იტრაკონაზოლი, ტერბინაფინი, კეტოკონაზოლი) გამოყენება.

ადგილობრივად გამოიყენება ანთების საწინააღმდეგო, ამქერცლი და ანტიმიკოზური ხსნარები და მალამოები კლინიკური სურათის მიხედვით. მიზანშეწონილია დაავადებული ფრჩხილის დარბილება კერატოლიზური საშუალებებით და მისი უმტკივნეულო მოცილება, რის შემდეგაც ავადმყოფს ენიშნება ადგილობრივი მკურნალობა ანტიმიკოზური ხსნარებითა და მალამოებით. დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხსაცმელებისა და წინდების დეზინფექციას, რათა თავიდან ავიცილოთ რეინფექცია.

მკურნალობა საჭიროა გაგრძელდეს არა მხოლოდ [illegible]ლებამდე, არამედ სრულ კლინიკურ და ლაბორატორიულ განკურნებამდე, ექიმის სისტემატური მეთვალყურეობის ქვეშ. მხოლოდ ამ შემთხვევაში გვაქვს სრული განკურნების გარანტია.

ტერფების მიკოზის თავიდან ასაცილებლად საჭიროა დავიცვათ გარკვეული ჰიგიენური ნორმები და პროფილაქტიკური ღონისძიებანი:

– წყლის პროცედურების შემდეგ კარგად უნდა შეიმშრალოთ ტერფები, განსაკუთრებით თითებს შუა არეები.

– საუნაში, აბანოში, სპორტდარბაზებში იქონიეთ საკუთარი ქოშები, არ იაროთ ფეხშიშველმა, არ ისარგებლოთ სხვისი ფეხსაცმლით.

– ფეხსაცმელი უნდა იყოს თავისუფალი და კარგად მორგებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული ტერფის კანისა და ფრჩხილების ტრავმატიზაცია და ოფლის ჭარბი გამოყოფა.

– იცხოვრეთ ცხოვრების ჯანსაღი წესით.


**თინა ქიტუაშვილი**

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი,
კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტის დირექტორი
სამეცნიერო და სასწავლო დარგში


# პედიატრის რჩევები ახალგაზრდა დედებს



ბავშვის დაბადებიდან პირველი 28 დღე „ახალშობილის პერიოდად" ითვლება, რაც პატარას ადაპტაციისათვის ჭირდება.

ახალშობილისათვის აუცილებელია განსაკუთრებული მოვლა, რაშიც ყველა დედა უნდა ერკვეოდეს.

ბავშვის დღის რეჟიმი (კვება, ტუალეტი, სეირნობა და ძილი) მრავალი ინდივიდუალური ფაქტორის გათვალისწინებით უნდა შედგეს. აუცილებელია მოამზადოთ პატარასათვის საჭირო ნივთები და მოაწყოთ ოთახი ან კუთხე. აუცილებელია ამ ნივთების ჩამონათვალში შედიოდეს ბავშვის საწოლი და ეტლი, ბამბის ან თივის ლეიბი, საბანი, თეთრეული, ბავშვის წონის შესაბამისი ერთჯერადი საფენები (პამპერსი), პატარა აბაზანა, რბილი ღრუბელი. წყლისა და ოთახის თერმომეტრი, ბავშვის საპონი, შამპუნი, ზეთი. გარდა ამისა, დაგჭირდებათ პიპეტი, წყალბადის ზეჟანგი, ბრილიანტის მწვანე, გაზგამყვანი მილი, ოყნის ბალონი და სხვა.

ბავშვის ტანსაცმლის გამოსაცვლელად გამოიყენეთ მოხერხებული მაღალი მაგიდა.

ოთახი სადა, პატარა, მყუდრო, ნათელი და თბილი უნდა იყოს (20-23°C). შეეცადეთ ოჯახში შეინარჩუნოთ სიწყნარე და სიმშვიდე.

ახალშობილს ყოველ დილას კვების წინ უტარდება ტუალეტი: სახე ანადულარ, თბილ წყალში დასველებული ბამბით გაუსუფთავეთ. ცხვირის ღრუ და ყურები – დახვეული ბამბის ფთილით. პირის ღრუს გასუფთავება არ ესაჭიროება. ჭიპი მუშავდება წყალბადის ზეჟანგით და ბრილიანტის მწვანით პირველი 2 კვირის განმავლობაში.

ბანაობა სასურველია ყოველდღე ან დღეგამოშვებით, უმჯობესია ძილის ან ბოლო კვების წინ. წყლის ტემპერატურა 37°C უნდა იყოს. აბაზანაში ჩასხმული წყალი შეაფერადეთ კალიუმის პერმანგანატის ხსნარით. იმ შემთხვევაში, თუ ახალშობილის კანი მშრალია, იხმარეთ ორკბილას ნახარში.

სიცოცხლის მე-10 დღიდან ახალშობილი ყოველდღიურად ასეირნეთ თუ რასაკვირველია, ქარიანი ამინდი არ არის.

ახალშობილობის პერიოდში მოსალოდნელია სახეზე გამონაყარი, ნასიცხი კისერზე, იღლიებსა და საზარდულის არეში, ცხვირის ცემინება, სიელმე, ნიკაპის კანკალი, სარძევე ჯირკვლების შეშუპება და გამკვრივება, კანის სიყვითლე, სისხლჩაქცევები თვალის თეთრ გარსზე და სხვა. ასეთი მოვლენები ნუ შეგაშფოთებთ, მაგრამ მაინც აცნობეთ ამის შესახებ თქვენს ექიმს. პირველ თვეებში ამოღებინება, ამოქაფება და ამობოყინება ხშირი მოვლენაა და საშიში არ არის, თუმცა შესაძლებელია ამოღებული მასა სასულეში გადავიდეს, ამიტომ ზურგზე ან გვერდზე მწოლიარე ბავშვს თავი ცოტა ამაღლებულზე უნდა ჰქონდეს.

როდესაც ბავშვი მშიერია, ამას ჩვეულებრივ ტირილით გვაგებინებს, მაგრამ ტირილი ყოველთვის შიმშილს არ ნიშნავს. პატარა შეიძლება მაშინაც ტიროდეს, როდესაც სცივა, ჩასველებულია, მუცელი ტკივა და ა.შ.

როგორც წესი, ბავშვი კვების რეჟიმს თვითონ იწესრიგებს, მაგრამ თქვენ თვითონაც უნდა დაეხმაროთ კვების, ძილის და სიფხიზლის პროცესების თანმიმდევრობით დარეგულირებაში. ძუძუთი კვებისას მთავარია დავიცვათ ძირითადი წესი: ვაჭამოთ მოთხოვნილების მიხედვით! იმ შემთხვევაში, თუ იძულებული ხართ ახალშობილი გადაიყვანოთ ხელოვნურ კვებაზე, უნდა მოხდეს საკვების რაოდენობის ზუსტი განსაზღვრა და ჩამოყალიბდეს კვების ზუსტი რეჟიმი 3-3,5 სთ-ის ინტერვალით.

ძუძუთი კვებას მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია: დედის რძე ადვილად მოსანელებელია და ისეთი პრობლემები კუჭ-ნაწლავის მხრივ, როგორიცაა მეტეორიზმი, შეკრულობა ნაკლებადაა გამოვლენილი. დედის რძეში საუკეთესო თანაფარდობითაა შეხავებული ბავშვისათვის საჭირო ყველა ნივთიერება.

ძუძუთი კვება ხელს უწყობს ბავშვის ენის და სახის კუნთოვანი აპარატის განვითარებას, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორი მეტყველებისა და კბილების სწორი წყობისთვის. დედის რძე იცავს ბავშვს ინფექციისა და ალერგიისაგან. ძუძუთი კვება ხელს უწყობს მშობიარობის შემდგომი სისხლდენის სწრაფ შეწყვეტას, მოსახერხებელია, სტერილურია და ამავე დროს ეკონომიურია, რადგან ხელოვნური საკვები საკმაოდ ძვირია.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობის გათვალისწინებით, ყველა დედა ვალდებულია, თუ, რასაკვირველია, ძალიან სერიოზული მიზეზი არ არსებობს ამისათვის, კვებოს თავისი პირმშო დედის რძით.


**ია დავითაია**

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი,
კ. ჩაჩავას სახელობის სამეცნიერო კვლევითი-ინსტიტუტის
ახალშობილთა განყოფილების ხელმძღვანელი


# როგორ მოვიქცეთ შაკიკის დროს?



შაკიკით ბევრი ადამიანია დაავადებული, თუმცა ექიმები ყოველთვის ვერ ეხმარებიან მათ, რაც დაკავშირებულია შაკიკის გამომწვევი მიზეზების არასწორ განსაზღვრასთან. ყოველი ვიწრო სპეციალისტი ამ დაავადებას თავისი კუთხით განიხილავს.

ესენის უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტები თვლიან, რომ თუ პაციენტს გავაგზავნით ათი სხვადასხვა დარგის ათ სხვადასხვა ექიმთან, მაშინ სავსებით შესაძლებელია, რომ ის დაბრუნდეს ათი სხვადასხვა დიაგნოზით.

თერაპევტები ამ დაავადებას უკავშირებენ დაბალ არტერიულ წნევას და მკურნალობაც ამ დიაგნოსტიკური კონცეფციის შესაბამისად ინიშნება.

გინეკოლოგები შაკიკს უკავშირებენ ჰორმონალურ დარღვევებს და პაციენტებს ესტროგენებს ან ორალურ კონტრაცეპტივებს უნიშნავენ. ყველაზე მცდარია ორთოპედის დიაგნოზი. მათ მიაჩნიათ, რომ შაკიკი განპირობებულია ხერხემლის დაავადებით, კერძოდ, ოსტეოქონდროზით, რის გამოც, არცთუ იშვიათად, მტკივნეულ სამკურნალო პროცედურებს ნიშნავენ.

ოკულისტები ამ დაავადებას ბადურაზე სინათლის არასწორ არეკვლას უკავშირებენ, ფსიქიატრები შაკიკის გამომწვევ მიზეზად ფარულ დეპრესიას ასახელებენ.

შაკიკი აღმოცენდება მაშინ, როცა ორგანიზმი ითხოვს დასვენებას. შაკიკში პპოვებს გამოხატულებას ძლიერი ემოციური განცდები. ამ დროს საჭიროა რეგულარული და სრულყოფილი ძილი, სტრესის თავიდან აცილება.

შაკიკი, ერთის მხრივ, გვაწუხებს და, ამავე დროს, ორგანიზმს იცავს ცხოვრებისეული გარემოებების ზედმეტი ზეწოლისა და დრამატიზებისაგან, „მოგვიწოდებს" დასვენებისაკენ.

კანადელმა, ესპანელმა და ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანებში, რომლებსაც აწუხებთ შაკიკი, 2-ჯერ მეტია ინსულტის განვითარების რისკი.

განსაკუთრებით დიდია ინსულტის რისკი იმ პაციენტებში, რომელთა შეტევას წინ უსწრებს მხედველობითი აურა (შეტევამდე რამდენიმე საათით ადრე თვალების წინ იწყება სინათლის ნათება, ჩნდება სინათლის სპირალები, ზიგზაგები). ქალებში, რომლებიც დაავადებულები არიან შაკიკით, ინსულტის განვითარების რისკი 8-ჯერ მეტია ორალური კონტრაცეპტივების მიღების ფონზე.

ზუსტი ახსნა შაკიკსა და ინსულტს შორის კავშირის შესახებ ჯერჯერობით არ არის ცნობილი. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ინსულტის მაღალი რისკი დაკავშირებული უნდა იყოს შაკიკის დროს ტვინში სისხლის ნაკადის დაქვეითებასთან.

ამერიკელი მეცნიერების აზრით, შაკიკი თავისთავად წარმოადგენს რისკ-ფაქტორს ინსულტის განვითარებაში.

მკურნალობა გულისხმობს, პირველ რიგში, მაპროვოცირებელი ფაქტორების გამოვლენას, როგორიცაა თამბაქო, ალკოჰოლი, უძილობა, სტრესი, გადაღლა. საკვებად თირამინის შემცველი პროდუქტების გამორიცხვას (შოკოლადი, ყველი). ზოგჯერ შეტევა პროვოცირდება სისხლძარღვების გამაფართოებელი პრეპარატებით (ნიტროგლიცერინი ან დიპირიდამოლი).

შაკიკის მკურნალობა მოითხოვს სწორ დიაგნოსტიკურ მიდგომას, მისი სხვადასხვა ფორმის დიფერენცირებისა და ადექვატური მკურნალობის დანიშვნის მიზნით.

შაკიკს არისტოკრატების დაავადებასაც უწოდებენ, ამ დაავადებით შეპყრობილი იყვნენ ცნობილი ადამიანები: ცეზარი, დარვინი, ნობელი, ჰაინე, პო, ჩაიკოვსკი, შოპენი, ფროიდი და სხვები.


**ია რუხაძე**

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი,
თსსუ ნევროლოგიის კათედრის
ექიმი-ნევროლოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედის ლოცვა



ჭეშმარიტად დიდია ძალა დედის ლოცვისა, ამიტომ ჩვენც ვილოცოთ, დედებო, ჩვენი შვილებისათვის!

ჰოი, სამებაო ერთარსებაო და განუყოფელო, მამაო, ძეო და წმიდაო სულო! გევედრები შენ, უფალო, დაიცევ შვილნი ჩემნი (სახელები) ყოვლისაგან ჭირისა, რისხვისა და იწროებისა, მტერთაგან ხილულთა და უხილავთა და უცნაურისა სიკვდილისაგან, და ღირს ჰყავ ისინი ზეცისასა შენსა სასუფეველსა. დაუსაბამოისა მამისა, თანადაუსაბამოით შენით ძითურთ და ყოველად-წმიდით და სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ, თაყვანს-გცემ არსობით და გევედრები, ნუ დახშავ საუნჯეთა შენთა შვილთა ჩემთათვის (სახელები). ნუ მოიძულებ, მეუფეო, რამეთუ ხელთა შენთა ქმნულნი არიან. დაიცევ შვილნი ჩემნი (სახელები) ამა სოფლისა ამაოებათა ხიბლისაგან, არამედ სრულიად აღავსნე გულნი მათნი სულითა შენითა წმიდითა, რათა ყოველნი მათნი საქმენი წარემართონ სულიერთა შენთა კეთილთა მიმართ და საუკუნო ცხოვრებად.

ამინ! ამინ! ამინ!

ჰოი, დიდო მთავარანგელოზო მიქაელ! შეეწიე შვილთა ჩემთა (სახელები), დაიცევ ისინი ყოვლისაგან ძვრისა, რღვნისა, ცეცხლისა, მახვილისა, ქარისაგან მომსვრელისა და ყოვლისაგან ბოროტისა და სიკვდილ შემოსილისა წყლულებისა, დაიცევ ისინი, დიდო მთავარანგელოზო მიქაელ, მხედართმთავარო უფლისაო, ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ამინ!

ჰოი, ყოვლადწმინდაო დედუფალო ღვთისმშობელო! იხსენ და დაიცევ შვილნი ჩემნი (სახელები) ცილისწამებისაგან, ყოვლისაგან ჭირისა და უეცარი სიკვდილისაგან. შეიწყალენ შვილნი ჩემნი ჟამთა დღისათა, განთიადისა და მწუხრისა და ყოველთა ჟამთა შინა, მძინარენი დაიცევ, დაიფარე და შეზღუდე. დაიცევ შვილნი ჩემნი, დედუფალო, ყოველთაგან მტერთა ხილულთა და არახილულთა, ყოველთა ჟამთა და საქმეთა ექმენ შვილთა ჩემთა, დედაო, გადაულახავ კედლად და მტკიცე შემწედ, ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

# ადამიანი – თავის უფალი თუ თავის მონა?

ბოლო დროს საგრძნობლად მოუმრავლდა მრევლი ეკლესიას. ადამიანები განწმენდისაკენ, სულიერი სიმშვიდისა და თავისუფლებისაკენ ილტვიან. თუმცა ყველას როდის ძალუძს თავისუფლების ჭეშმარიტი სარწმუნოებრივი გაგება.

ფრიდრიხ პერსის აზრით, მხოლოდ ის ადამიანი მოიპოვებს თავისუფლებას, ვინც თავის მართვას ისწავლის. თითქოს რა ადვილად გასაგებია ყველაფერი, მაგრამ ცოტას თუ შეუძლია საკუთარი ,,მეს“ და გრძნობების მართვა საზოგადოებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

და მაინც, რაში მდგომარეობს ქრისტიანული მოძღვრებით თავისუფლების არსი! როგორ ესმით ეს ცნება დღეს ადამიანებს? ამ კითხვაზე პასუხის მოძიება საკმაოდ რთული აღმოჩნდა, თუმცა მაინც შევეცადეთ...

საზოგადოების დიდი ნაწილი თავისუფლებას ეკონომიკურ უზრუნველყოფაში ხედავს, ზოგიც – იურიდიულად მინიჭებულ თავისუფლებაში, უფრო თამამნი კი თავისუფლებას ყოველგვარი ზნეობრივი ფასეულობებისაგან გათავისუფლებაში ხედავენ.

თავისთავად თავისუფლება საზოგადოების გავლენისაგან თავისუფლებას გულისხმობს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ მოიაზრება როგორც საკუთარი სინდისისაგან თავისუფლება, რაც ხშირ შემთხვევაში თავაშვებულებაში, უზნეობაში გადადის.

თავაშვებულება და თავისუფლება კი ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია, რადგან ერთია თავის უფლად ყოფნა (უფლობა) და მეორე – პიროვნული ,,მე“ – სთვის განუსაზღვრელი უფლებების მინიჭება.

,,შეიცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება განგათავისუფლებთ თქვენ“ (იოანე 8,32), – ამბობს მაცხოვარი იესო ქრისტე და საქართველოს ისტორიაში მართლაც იყო დრო, როცა ერი და ბერი ქრისტეს მცნებებით ცხოვრობდა, როცა თავისუფლებას ,,სურვილთთმობაში“ ხედავდნენ და, როცა ყოველივე ამის შედეგად ადამიანების სულიერმა განვითარებამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. თამარის ეპოქაზე მოგახსენებთ, რომელიც ოქროს სტრიქონებით ჩაიწერა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიაში, და რომელიც, სამწუხაროდ, ალბათ აღარც განმეორდება.

ქრისტიანული ცნობიერებით თავის უფალი მაშინ არის ადამიანი, როცა ის ბატონობს საკუთარ ,,მე“-ზე. ამ სიტყვაში სრულიად არის გამოხატული ცხოვრების ჭეშმარიტი გზის არსი. საკუთარი თავის (მეს) ვნებებზე ბატონობაში მდგომარეობს ქრისტიანობის შინაარსი, თუ შინა-არსი: ,,სათნოებათა ყოველთა თავი მორჩილება არს და ნებისა თვისისა განკვეთა“ – ნათქვამია იოანე და ექვთიმე ათონელების ცხოვრებაში (გ. მთაწმინდელი).

თავისებურად ესმით თავისუფლების არსი წმინდა მამებს. მათთვის ეს ნება იგივეა, რაც ღმერთთან ყოფნა, უფრო მეტიც, ღვთის მონობა და აბსოლუტური გათავისუფლება მიწიერი ზრახვებისაგან.

მოგეხსენებათ, ადამიანის ცხოვრება სულისა და ხორცის მუდმივი ჭიდილია. როცა ადამიანი ინარჩუნებს სულიერებას, იგი ღვთისაკენ მიიზიდება, ხოლო თუ კარგავს, მაცდურის საკუთრება ხდება. ,,რამეთუ ხორციელი ფიქრები სიკვდილია, ხოლო სულიერი ფიქრები – სიცოცხლე და მშვიდობა“ (რომ. 6,21).

როგორც სახარება გვასწავლის, ხორციელ თავისუფლებას დეგრადაციისაკენ, პირუტყვებრივ დაცემამდე მივყავართ (აქ უნებურად მახსენდება არისტოტელე, რომელიც სწორედ ასეთ ადამიანს უწოდებდა ,,საზოგადოებრივ ცხოველს“), სულიერს კი ამაღლებამდე, ღვთაებრივ განწმენდამდე.

ამდენად, ადამიანმა თავად უნდა გააკეთოს არჩევანი, იყოს თავის უფალი, თუ თავის მონა!

**თინათინ ბუზიაშვილი**
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სტუდენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა




**ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში მედიცინის მამამთავარმა ჰიპოკრატემ ტემპერამენტის თავისებურებების გათვალისწინებით განსაზღვრა ადამიანის ოთხი ტიპი: 1) სანგვინიკი; 2) ქოლერიკი; 3) ფლეგმატიკი; 4) მელანქოლიკი. თანმიმდევრობით განვიხილოთ თითოეული მათგანი, რომლებშიც აუცილებლად ამოიცნობთ საკუთარ თავს.**

სიტყვა „სანგუის“ ლათინურია, ნიშნავს სისხლს. ჰიპოკრატე ფიქრობდა, რომ ამ ტემპერამენტს განსაზღვრავს ორგანიზმის სითხეებს შორის სისხლის სიჭარბე. აქედან შემოღებულია სახელწოდება სანგვინიკური. ამ ტიპის ადამიანში გრძნობები ადვილად აღმოცენდება, შედარებით უმნიშვნელო მოვლენაც კი მასში ემოციას იწვევს, მაგრამ ემოცია ასევე ადვილად ქრება. სანგვინიკის გრძნობები არაა ღრმა და მტკიცე. იგი უდარდელია, ოპტიმისტურადაა განწყობილი მოვლენების მიმართ, ყველაფერს დადებითი კუთხიდან აფასებს, უარყოფითის დანახვა უბრალოდ არ სურს. ადამიანების მიმართაც უფრო სიმპათიითაა განწყობილი, ვიდრე ანტიპათიით და მათში ლამაზ თვისებებს ეძებს. მისთვის უცხოა გულჩათხრობილობა. პირიქით, ზედმეტად გულწრფელიცაა. სანგვინიკი მოძრავი, დინამიური ადამიანია. მას იმპულსური, უშუალო მოქმედება ახასიათებს. მისი მოძრაობები, ჟესტიკულაცია სწრაფია.

გალაკტიონის პოეტური აზრების ქროლვა კომენტარს არ საჭიროებს. ყველა ტაეპი სანგვინიკის კუთვნილებაა.

„წინ, მეეტლევ!
ეგ ცხენები გააქანე, გააქანე!
მსურს, რომ ერთხელ კიდევ ვნახო
გაზაფხულის მთები მწვანე,
მსურს, რომ დაფნით გადავხლართო
მძიმე ფიქრთა ოკეანე!..
... საალერსოდ ისევ მიწვევს გაზაფხულის მთები მწვანე...
მაშ, გარეკე ეგ ცხენები,
სადმე შორს, შორს წაიყვანე,
გამაქანე,
გამაქანე!“

სანგვინიკი ადვილად აღგზნებადია. გადაჭარბებით ემოციური პიროვნებაა. იმას, რასაც სხვები ვერც კი ამჩნევენ, სანგვინიკისათვის შეიძლება მთელი სიცოცხლის ფასი ჰქონდეს. სანგვინიკის სწრაფ ჟესტიკულაციას თან ერწყმის მისი სულის სისწრაფე. მისი გრძნობები არაა ღრმა. არ გამოირჩევა სხვის მიმართ ერთგულებით. თუ მას უარყოფენ, შეურაცხყოფენ და ტკივილს მიაყენებენ, სულ ცოტა ხნით იწუწუნებს, რადგან სანგვინიკი გამოუსწორებელი ოპტიმისტია. თუ მელანქოლიამ შეიპყრო, ცხოვრების რომელიმე პერიოდში დიდხანს არ დაიტვირთავს თავს ტანჯვით და ცდილობს, როგორმე სინათლისაკენ, აღმავლობისაკენ მიმავალ გზას შეუდგეს.

*(გალაკტიონი)*

„მაგრამ ვის ველი, ან რად ვლონდები,
განა არა მაქვს წინ მომავალი,
რად ჩავიგონო გზის უმიზნობა,
რად ავარიდო სიცოცხლეს თვალი?“

... და ისევე სწრაფად გადაეშვება ჩვეული, აჩქარებული ტემპით ცხოვრების რია-რიაში.

„ქოლე“ ბერძნულად ნაღველია. ქოლერიკული ტემპერამენტის ტიპის ადამიანებსაც ახასიათებს გრძნობების სწრაფი და ადვილი აღმოცენება. უმეტესად აფექტურადაა განწყობილი. სანგვინიკისაგან განსხვავებით, უფრო ხანგრძლივი და ღრმა გრძნობები გააჩნია. მისთვის დამახასიათებელია უარყოფითი გრძნობებისაკენ მიდრეკილება, უკმაყოფილება, წუწუნი. კრიტიკულია როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართ. ქოლერიკსაც ხშირად ახასიათებს აჩქარებული მოძრაობა და სისწრაფე. ქოლერიკული ტემპერამენტის ტიპი განეკუთვნება იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც მუდამ უკმაყოფილონი არიან ცხოვრების ყოველდღიურობით:

*(მუხრან მაჭავარიანი)*

„როდემდე უნდა დავიბანო პირი ყოველდღე!
ყოველ საღამოს დავწვე ხოლმე უნდა როდემდე?
მეჭიროს უნდა ყველაფერზე როდემდე თვალი?!
ანდა როდემდე უნდა მქონდეს იმედი ხვალის.
როდემდე?!

**დალი ორმოცაძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# კულინარია



## რეცეპტები გელა ჩარკვიანისაგან



### „ბეფ-სტროგანოვი"

სოსისი ან სარდელი დაჭერით პატარა ნაჭრებად და ზეთში შეწვით. ცალკე ტაფაზე მოშუშეთ ხახვი, დააყარეთ სოსისს და განაგრძეთ შუშვა. დაუმატეთ კუბიკებად დაჭრილი მჟავე კიტრი, ტომატის პასტა ან ნაჭრებად დაჭრილი კანგაცლილი პამიდორი, ნიორი და შავი პილპილი გემოვნებით. მოასხით არაჟანი და ზემოდან მოაყარეთ გახეხილი მშრალი ყველი. გარნირად მოაყოლეთ შემწვარი ან მოხარშული კარტოფილი კარაქთან ერთად.

### თართის სალათი

200 გრამი მოხარშული თართი დაჭერით პატარა ნაჭრებად. 3 ცალი მოხარშული კარტოფილი, ერთი ნედლი კიტრი, ერთი პამიდორი, 100 გრამი მწვანე სალათის ფოთლები, ერთი მჟავე კიტრი, 50 გრამი მწვანე ხახვი დაჭერით და მოაყარეთ მარილი. შეურიეთ თართის ნაჭრები. ნახევარ ჭიქა მაიონეზს შეურიეთ ერთი სუფრის კოვზი ძმარი და სალათი შეკმაზეთ. ზემოდან მოაწყვეთ შავი და მწვანე უკურკო ზეთისხილი.

### კენკრა არაყით

250 გრამ არაჟანს დაუმატეთ 50 გრამი შაქრის ფხვნილი. ჭურჭელი ჩადგით ყინულიან წყალში და თქვიფეთ, ვიდრე მოცულობაში ორნახევარჯერ არ გაიზრდება და ქაფს მოიყენებს. დაუმატეთ ვანილი და ჩაყარეთ შიგ 150-150 გრამი გარჩეული და გარეცხილი მარწყვი, მაყვალი და ჟოლო.

## „საქართველოს ქალის" სამზარეულო

### ბოლოკის სალათა

1 კგ. ბოლოკი გარეცხეთ, გააცალეთ კანი ისე, რომ ცოტა სიწითლე გაჰყვეს, გახეხეთ მსხვილ სახეხზე, მოაყარეთ მარილი. როცა წყალს შეიყენებს, კარგად გაწურეთ. დაუმატეთ წვრილად დაჭრილი კამა და დაჭრილი ქათმის თეთრი ხორცი (100-150გრ), მოასხით 200გრ მაიონეზი და კარგად აურიეთ.

### ხორციანი ღვეზელი

**მასალად საჭიროა:**

**ცომისათვის** – 500 გრამი მარგარინი, 4 ჩაის ჭიქა ფქვილი, 1 ჭიქა წყალი, ნახევარი ჩაის კოვზი მარილი.

**ფარშისათვის** – 1/2კგ საქონლის ან შერეული ხორცი, 1/2 ჩაის ჭიქა ბრინჯი, 3 კვერცხი, 3 თავი ხახვი, ქონდარი, პილპილი, მარილი.

**მომზადების წესი:**

ხორცი მოხარშეთ (არ ჩაგეხარშოთ), გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, ხორცის ნახარშზე მოხდილ ცხიმში ჩაშუშეთ 3 თავი ხახვი, დაუმატეთ ფარში, პილპილი, ქონდარი, მარილი (გემოვნებით), მოხარშული, წყალგადავლებული ბრინჯი და დაკეპილი მოხარშული კვერცხი.

ჯამში ჩაჭერით მარგარინი, დააყარეთ პურის ფქვილი და კარგად დაკეპეთ დანით, დაუმატეთ 1 კვერცხი, 1 ჩაის ჭიქა წყალი, 1 ჩაის კოვზი სოდა. მოზილეთ ცომი, გაყავით ორ ტოლ ნაწილად, გააბრტყელეთ, შუაში მოათავსეთ ხორცის ფარში, დააფარეთ ცომის მეორე ფენა. ზემოდან გადაუსვით კვერცხის გულში გათქვეფილი 1 სუფრის კოვზი მაწონი და დაჩხვლიტეთ ჩანგლით.



ინა დივნოგორცევა-გრიგოლია – „კურტიზან ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე“

# ქორეოგრაფიის ავტორი

ნა ჯალაცობიშვილი











ეროვნული ბიბლიოთეკა